ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

11 მარტიდან!

„ახალი თაობა“ + საოჯახო სამზარეულო ტომი 6

2 ლარი და 30 თეთრი




ორშაბათი, 11 მარტი, 2013 №58 (6059) ფასი: 30 თეთრი

# რის სანაცვლოდ სთავაზობს „ქართული ოცნება“ ნაციონალებს ამნისტიას



გვ.3

## აკაკი მინაშვილი: „თინა ხიდაშელს პოლიტიკური პროცესები ფეხბურთი ჰგონია“

გვ.3

რა რეკომენდაციას გვაძლევს ვენეციის კომისია



## სანდრო ბრეგაძე: „სააკაშვილმა საქართველოს ბიუჯეტიდან მილიარდები წაიღო“

გვ.4



რატომ არის შაშკინი ახალაიაზე უარესი



გვ.2

## რატომ უსმენდა სააკაშვილი ნანა კაკაბაძის სატელეფონო საუბრებს



## პატრიარქის გადაწყვეტილებით, ყოველდღე საქართველოსთვის პარაკლისი აღევლინება

გვ.2



## სანდრო თვალჭრელიძე: „საკონსტიტუციო ცვლილებებს მხარს სააკაშვილიც დაუჭერს“

გვ.6

## როგორი და როგორ უნდა აშენდეს ხუდონ ჰესი

გვ.5

ხუდონ ჰესის არსებული სქემა




ხუდონ ჰესის ახალი სქემა




9 771987 938006

**5** ვალერი ხაბურძანია: „კიწმარიშვილი შევარდნაძის ხელისუფლებას დაჰპირდა, რომ მისი პოლიტიკური დამსამარებელი იქნებოდა“

**6** „კიდევ 49 წიგნი, რომელიც უნდა წაიკითხო, სანამ ცოცხალი ხარ“

**4** ნიკოლოზ მჟავანაძე: „იპოთეკარების პრობლემა იუსტიციის სამინისტრომ უნდა მოაგვაროს“

**3** ევროპარლამენტარების მწვავე წერილს ხელს სააკაშვილის მრჩეველი აწერს

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# რატომ უსმენდა სააკაშვილი ნანა კაკაბაძის სატელეფონო საუბრებს

ნონა ცაბაძე

**პოლიტიკურ ასპარეზზე ყოფილი უშიშროების მინისტრი ვალერი ხაბურძანია გამოჩნდა. ის ღიად და პირდაპირ აცხადებს, რომ პრორუსული პარტიის ჩამოყალიბებას აპირებს და საზოგადოების მხარდაჭერის იმედიც აქვს.**

**ხაბურძანიას პოლიტიკურ გეგმებს სხვა დროს მიმოვიხილავთ, ჩვენი ყურადღება კი მისმა ერთმა განცხადებამ მიიქცია — როდესაც რევოლუციის გზით სააკაშვილი და მისი გუნდი მოვიდა ხელისუფლების სათავეში, პირველი დავალება, რაც სააკაშვილისგან მივიღე, ის იყო, რომ ნანა კაკაბაძისთვის უნდა მომესმინა, რაც მე არ გავაკეთე, - განაცხადა ხაბურძანიამ.**

**თუ რატომ იყო სააკაშვილი ასე დაინტერესებული ნანა კაკაბაძის საუბრების მოსმენით, ამის გასარკვევად თავად ნანა კაკაბაძეს დავუკავშირდით:**

***— ქალბატონო ნანა, როგორ ფიქრობთ, რატომ დააინტერესეთ ასე მწარედ ნაციონალები, რა ხდებოდა?***

— არა, ეს ინტერესი მარტო იმ დღიდან არ დაწყებულა, როდესაც ეგენი ხელისუფლებაში მოვიდნენ. თქვენ იცით, რომ როდესაც ნაციონალური მოძრაობა ხელისუფლებაში მოდიოდა, მთავარი და გადამწყვეტი როლი ამ საქმეში შეასრულა ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციამ. ეს არასამთავრობო ორგანიზაცია იყო თავისუფლების ინსტიტუტი. თავისუფლების ინსტიტუტი, რომელიც მანამ, სანამ იყო შევარდნაძის მმართველობის პერიოდი, ეს ადამიანები თითქოს იყვნენ ოპოზიციაში, ანუ ისინი იყვნენ კრიტიკულად განწყობილნი შევარდნაძის ხელისუფლების მიმართ. ეს იყო მთავარი მოტივი, რის გამოც ჩემი ორგანიზაცია და თავისუფლების ინსტიტუტი ძალიან მჭიდროდ დაახლოვდა. ჩვენ დავინახეთ, რომ ეს ადამიანები იყვნენ კრიტიკულები და ამიტომ ჩვენი ურთიერთობები შემდგომ გადაიზარდა არა მარტო საქმიან, არამედ მეგობრულ ურთიერთობებში და შეიძლება ითქვას, რომ ფაქტიურად ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელები, ლევან რამიშვილი და გიგა ბოკერია, ჩვენს ოფისში უფრო მეტ დროს ატარებდნენ, ვიდრე საკუთარ ოფისებში. მე მეგონა, რომ ჩვენი ურთიერთობები იყო მჭიდრო და მეგობრული, მაგრამ დროთა განმავლობაში გამომჟღავნდა, რომ ესენი იყვნენ კრიტიკულნი არა მთლიანად ხელისუფლების, არამედ კონკრეტული ერთი ჯგუფის მიმართ, რომელსაც შევარდნაძე და მისი გარემოცვა წარმოადგენდა. ხოლო ის ნაწილი, რომელიც თავისუფლების ინსტიტუტის მხარდამჭერი იყო, სააკაშვილი-ჟვანიას გუნდი, რომლებიც თავის თავს რეფორმატორებს უწოდებდნენ, მათი პოლიტიკის მიმართ ფაქტიურად კრიტიკა არ ყოფილა. თუმცა, მინდა გითხრათ, რომ ისინი ხელისუფლებაში ყოფნის დროს, არანაკლებ იყვნენ თანამონაწილენი და შეიძლება ავტორებიც იმ დანაშაულებრივი ქმედებებისა, რაც შევარდნაძის მმართველობის დროს ხდებოდა. ისინი ებრძოდნენ მხოლოდ მათ, ვინც თავისუფლების მიერ კონტროლირებადი არ იყო და არ ერჩოდნენ დანარჩენებს, რომლებიც მათ დაკრულზე ცეკვავდნენ და მათ ერთიანი გუნდი შექმნეს. ეს მუშაობა წლების წინ დაიწყეს მათ.

***— რა მუშაობა?***

— ის, რომ ძალაუფლებას დაუფლებოდნენ ნებისმიერი მეთოდით და ნებისმიერი ფორმით. თუმცა ამას ძალიან კარგად ნიღბავდნენ წლების განმავლობაში. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ თითქმის სულ ერთად ვიყავით, ეს იმ პერიოდისთვის ნაკლებად იყო შესამჩნევი. მე ვფიქრობდი, რომ აქ, უბრალოდ, პირადი მეგობრობა იყო, თუმცა შემდეგ თანდათანობით იკვეთებოდა, რომ ისინი ერთად ქმნიდნენ რაღაც ალტერნატიულ ძალას, რომელსაც ძალაუფლება უნდა აეღო ხელში. აქ თითქოს ცუდი არაფერია, რომ პოლიტიკაში მოსვლას გეგმავდნენ, მაგრამ ეს ადამიანები პოლიტიკაში მოსვლას ნებისმიერი გზით გეგმავდნენ.




***— რა დროს გაიყო თქვენი გზები?***

— გაიყო როდის, პირველად ჩემთვის 2001 წელს გახდა ცნობილი, რომ თავისუფლების ინსტიტუტში იწერებოდა შევარდნაძის საარჩევნო სიტყვა და პროგრამა და ამას წერდა დათო ზურაბიშვილი. როდესაც მე ეს გავიგე, რომ ამითი იყო დათო დაკავებული და ეს კეთდებოდა, პირველი აღშფოთება მაშინ გამოვხატე, რას ნიშნავს ეს მეთქი. პირველად მაშინ მენიშნა, რომ ისინი იმ მომენტში შევარდნაძეს გვერდში დაუდგნენ არა იმიტომ, რომ შევარდნაძე მოსწონდათ ან არ მოსწონდათ, იმიტომ, რომ სააკაშვილი არ იყო ასაკობრივად იმხელა, რომ გაპრეზიდენტებულიყო, ამიტომ, იმისთვის, რომ ვინმე სხვას არ ჩაეგდო ეს თანამდებობა და ქვეყნის მართვის სადავეები, ისინი იმ მომენტში გვერდში ედგნენ შევარდნაძეს. 2001 წელს, საპრეზიდენტო არჩევნების დროს, ისინი მის საპრეზიდენტო შტაბს ხელმძღვანელობდნენ და მის პროგრამას წერდნენ. აი, ეს იყო პირველი კონფლიქტი. თუმცა, თუ რისთვის უჭერდნენ ისინი იმ დროს შევარდნაძეს მხარს, ეს ყველაფერი, ცხადია, არ ვიცოდი. უკვე 2002 წელს ძალიან მკაფიოდ გამოიკვეთა ის, რომ თავისუფლების ინსტიტუტი აპირებდა ძალაუფლების ხელში ჩაგდებას და ამას აკეთებდა იმ პოლიტიკოსებთან ერთად, ვინც ე.წ. რეფორმატორთა გუნდს წარმოადგენდა. სწორედ მათი დახმარებით ხდებოდა ათასგვარი საბოტაჟი ხელისუფლების მეორე ნაწილის წარმომადგენლების მიმართ. ასე ვთქვათ, ფეხის დადება იმისათვის, რომ ხალხის თვალში კიდევ უფრო მეტი სიძულვილი გამოეწვიათ შევარდნაძის მმართველობისადმი. ხალხისთვის შევარდნაძის რეჟიმი ისედაც მიუღებელი იყო, მაგრამ კიდევ უფრო დიდი აღშფოთება რომ გამოწვეულიყო ხალხში, ათასგვარ სიბინძურეს მიმართავდნენ. სწორედ ამ დროს ხდება უკვე ძალიან აშკარად მზადება რევოლუციისთვის. შეიქმნა არასამთავრობო ორგანიზაციების დემოკრატიული კოალიცია, თუ არ ვცდები, ექვსი ორგანიზაცია ვიყავით იქ გაერთიანებული და, როგორც ჩანს, სწორედ ეს ექვსი ორგანიზაცია უნდა ყოფილიყო ამ რევოლუციის წარმმართველი ძალა. მე ამ კოალიციის შექმნაში მაშინვე დავინახე საფრთხე და ის, რომ სამოქალაქო სექტორის გამოყენება ხდებოდა არამიზნობრივად და ძალაუფლების ხელში ასაღებად. ეს ჩავთვალე მიუღებლად და იმ მომენტიდან პირდაპირ ღია ომი გაჩაღდა ჩემსა და მათ შორის.

***— შემდეგ რა ხდება?***

— მოხდა ისე, რომ კოალიცია დაიშალა. ცალკე შეიქმნა კმარა რაღაც ორგანიზაციებისგან და ახლა თავს შევიკავებ ამ ორგანიზაციების დასახელებისაგან. ის დაფინანსება, რომელიც სოროსის ფონდიდან უნდა წამოსულიყო ამ კოალიციაზე, გადაწყდა, რომ ეს უნდა წასულიყო კმარაზე, რომელიც ამ არასამთავრობო ორგანიზაციებმა შექმნეს. ესეც რომ გაიშიფრა, შემდეგ უკვე ქმნიან მოძრაობა კმარას, სადაც აერთიანებენ უკვე თუთბერიძისნაირებს და მას და უკვე ხდება მისი დაფინანსება. ხოლო ამის დაფინანსების პროექტი დაუმტკიცეს გიგი უგულავას ორგანიზაციას.

***— ქალბატონო ნანა, ცნობილი არასამთავრობო ორგანიზაციებისგან შეიქმნა კმარა?***

— დიახ, ყველაზე ცნობილი ორგანიზაციებისგან იმ პერიოდში, რომელი ორგანიზაციები დღესაც ფუნქციონირებენ. ეს ორგანიზაციები მერე წაყვნენ კიდევაც რევოლუციაში. მათ შორის ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, რა თქმა უნდა. წაყვნენ თავისუფლების ინსტიტუტს და მიიღეს ამ დანაშაულებრივ პროცესებში მონაწილეობა. ბუნებრივია, იმ მომენტშივე, როგორც კი მე ეს დავწერე გაზეთში და მე ვამხილე ეს პროექტიც და ეს მიზნებიც, გიგა ბოკერია მოვიდა ჩემთან ოფისში, გაზეთი ეჭირა ხელში და მეუბნება: შენ უკვე ღია ომი გამოგვიცხადე ჩვენ. ჩვენ გადაგიკეტავთ ყველანაირ სასუნთქ საშუალებას და ყველანაირ დაფინანსებასო. მაგ პერიოდში აბსოლუტურად ბოლომდე აკონტროლებდნენ ყველა ფონდს. არ იყო არც ერთი საერთაშორისო ფონდი, რომელშიც უშუალოდ მათი წარმომადგენლები არ მსხდარიყვნენ. ვანო მერაბიშვილიც კი იჯდა ფონდ ჰორიზონტში და ღებულობდა გადაწყვეტილებებს, ვის უნდა მიეღო ფული. ასევე გიგი უგულავა, გიორგი პაპუაშვილი, ყველანი, მთელი მათი შემადგენლობა, ანა ჟვანია, ვარძელაშვილი, რა თქმა უნდა, თვითონ ლევან რამიშვილი, ყველანი ესენი ისხდნენ ფონდებში და ბოლომდე აკონტროლებდნენ ყველა ფონდს. ეს იყო ღია მუქარა, თუმცა მე ვუთხარი, რომ ჩემს ცხოვრებაში ეს არ არის მთავარი და გადამწყვეტი არის ის, რასაც მე ვფიქრობ, რომ უნდა ვემსახურებოდე. ეს იყო ჩვენი დაშორების მიზეზი და ბუნებრივია, მაშინვე მითხრეს, რომ ჩვენ ვიქნებით შენი დაუძინებელი მტრებიო. სწორედ იმ დღიდან დაიწყო ჩემ მიმართ შეტევები, თავდასხმები, კომპრომატები და ასე შემდეგ. ჩვენ ვიყავით აქეთ მხარეს საცოდავად დარჩენილი ერთი ორგანიზაცია, რომელიც იყო ცნობადი, დანარჩენი ყველა ცნობილი ორგანიზაცია თან წაყვა, გარდა კიდევ გია გაჩეჩილაძის და გია ჟორჟოლიანისა; მათაც ჰქონდათ იმ დროს ორგანიზაციები, თუმცა ეს ორგანიზაციები არ იყო იმ დროს ცნობადი და მთელი თავდასხმა და მთელი დარტყმები მივიღე მე პიროვნულად და ჩემმა ორგანიზაციამ. დაპირებისამებრ ასე მოხდა, მათ შესანიშნავად იმუშავეს ფონდებში და ფონდის ხელმძღვანელებიც კი გამოიყენეს ჩემ წინააღმდეგ. ეს ფონდები მაშინ პირდაპირი მხარდამჭერები იყვნენ მაშინდელი რევოლუციის.

***— რატომ შეეშინდათ ასე თქვენი?***

— როდესაც ჩვენ ერთმანეთთან ახლოს ვიყავით და ვმეგობრობდით, ჩვენ ყველამ კარგად ვიცოდით, ვისი შესაძლებლობები სად გადიოდა და მათ მე აღმიქვეს, როგორც სერიოზული მტერი და პრეტენდენტი მათთვის და ჩათვალეს, რომ ყველაზე ძლიერი დარტყმები უნდა მოეყენებინათ ჩემთვის და ეს ასეც მოხდა.

## პატრიარქის გადაწყვეტილებით, ყოველდღე საქართველოსთვის პარაკლისი აღევლინება



სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსისა და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესისა და უნეტარესი ილია მეორეს გადაწყვეტილებით, ყოველდღე საქართველოსთვის პარაკლისი აღევლინება.

ამის შესახებ მისმა უწმინდესობამ გუშინ, სამების საკათედრო ტაძარში, საკვირაო ქადაგებისას ბრძანა.

„არც ერთი დღე არ დაღამდეს ისე, რომ რაღაც სიკეთე არ გავაკეთოთ გაჭირვებულთათვის. ღმერთმა მოგვცეს ჩვენ მადლი და ძალა, რომ დავინახოთ გაჭირვებული ადამიანი, დავინახოთ და დავეხმაროთ მას. მე ვფიქრობ, რომ ჩვენ უნდა გავაძლიეროთ ჩვენი ლოცვა და ჩვენ მივიღეთ შემდეგი გადაწყვეტილება — ყოველდღე, წმინდა სამების ტაძარში იქნება პარაკლისი“, — ბრძანა პატრიარქმა.

**პირველი**

## ვანო მერაბიშვილი მთავრობას ეკონომიკის გაჯანსაღებისთვის საგანგებო ზომების მიღებისკენ მოუწოდებს



„ნაციონალური მოძრაობის“ გენერალური მდივანი ვანო მერაბიშვილი მთავრობას ეკონომიკის გაჯანსაღებისთვის საგანგებო ზომების მიღებისკენ მოუწოდებს.

მერაბიშვილი ფეისბუქის თავის ოფიციალურ გვერდზე საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ მორგან სტენლის შეფასებას აქვეყნებს.

„მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა 2012 წლის მეოთხე კვარტალში მკვეთრად შემცირდა და დეკემბერში ნეგატიური -0.8% შეადგინა. მთლიანად 2012 წელს, მშპ-ის ზრდა ნაცვლად დაგეგმილი 6,7%-სა, სულ 6,1% იყო. მართალია, იანვარში ვითარება რამდენადმე გაუმჯობესდა, მაგრამ ზრდის სტაბილურობა კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. 2013 წლის ზრდის პროგნოზს 5,6%-დან 5%-მდე ვამცირებთ. ბიუჯეტი დაგეგმილია 7%-იანი ეკონომიკური ზრდის ოპტიმისტური პროგნოზით. ჩვენ ვხედავთ საფრთხეს, რომ დაგეგმილი შემოსავლები ვერ შეგროვდება და ქვეყნის ფისკალური დეფიციტი დაგეგმილი 2,8%-ის ნაცვლად, მშპ-ის 3,5% მიაღწევს. მზარდი ფისკალური დეფიციტი და საპროცენტო განაკვეთის შემცირება მოვლენების განვითარების პოპულისტურ სცენარზე მიგვანიშნებს. პოლიტიკური არასტაბილურობა პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს შეამცირებს“, — ნათქვამია შეფასებაში.

„მსოფლიოს ერთ-ერთი უმსხვილესი ბანკის მიერ გამოთქმული შემაშფოთებელი პროგნოზები კიდევ ერთხელ მაიძულებს მოვუწოდო მთავრობას, ეკონომიკის გაჯანსაღების მიზნით საგანგებო ზომები მიიღოს. თუ ახლანდელი ნეგატიური ტენდენციები კიდევ რამდენიმე თვე შენარჩუნდა, საქართველოს ეკონომიკა და ჩვენი მოქალაქეების კეთილდღეობა სერიოზული საფრთხის წინაშე აღმოჩნდება“, — მიიჩნევს ვანო მერაბიშვილი.

**პირველი**

## საკონსტიტუციო ცვლილების კენჭისყრის ზუსტი თარიღი 18 მარტს გახდება ცნობილი

საკონსტიტუციო ცვლილების კენჭისყრის ზუსტი თარიღი 18 მარტს გახდება ცნობილი.

ამის შესახებ პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა აშშ-ში გამგზავრებამდე განაცხადა.

„საკონსტიტუციო ცვლილებებზე კენჭისყრის ზუსტი თარიღი გამოცხადდება 18 მარტს, როდესაც პარლამენტის ბიუროს სხდომა გაიმართება. ამ დღეებში ჩატარდება იურიდიული კომიტეტის სხდომა, რომელიც უკვე შეაჯერებს იმ ტექსტს, რომელიც დეკემბერში იქნა ინიცირებული“, — განაცხადა უსუფაშვილმა.

შეგახსენებთ, რომ საკონსტიტუციო ცვლილება, რომელიც პარლამენტში არის ინიცირებული, მთავრობის დათხოვნის შემთხვევაში, პრეზიდენტს ახალი მთავრობის შემადგენლობის ერთპიროვნულად დანიშვნის უფლებას უზღუდავს.

**პირველი**

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა ღვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოჩაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ევროპარლამენტარების მწვავე წერილს ხელს სააკაშვილის მრჩეველი აწერს

შორენა მარსაგიშვილი

წინა კვირაში ევროპარლამენტარებმა საქართველოს პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილს წერილი გამოუგზავნეს. ამ წერილმა ნაციონალური მოძრაობა ძალიან გაახალისა. გუშინ კი გაირკვა, რომ ამ წერილზე ერთ-ერთი ხელის მომწერი მიხეილ სააკაშვილის მრჩეველი ყოფილა.

ამ წერილს ხელს ევროპარლამენტის 23 წევრი აწერს. უსტარში საქართველოში მიმდინარე მოვლენებზეა საუბარი. წერილის ავტორები საქართველოში არსებულ პოლიტიკურ მოვლენებს შემაშფოთებელს უწოდებენ. მათი აზრით, ქვეყნის პრეზიდენტისთვის პრემიერ-მინისტრის მიერ გაგზავნილი ღია წერილი შეშფოთების საფუძველს იძლევა. ევროპარლამენტარები მიიჩნევენ, რომ საქართველომ ევროპული მომავლისკენ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა და ამ დისტანციის დაშორება არ უნდა მოხდეს.

– არც ერთ ადამიანს არ უნდა მიეცეს საშუალება, დახუროს საქართველოსთვის ევროპული კარი. იმისთვის, რათა საქართველო იყოს ევროკავშირის პარტნიორი ქვეყანა, უნდა გაგრძელდეს იგივე პრინციპების დაცვა. ქართული დემოკრატიის უუნარობას მიესალმებიან მხოლოდ ისეთი ადამიანები, რომლებიც სიტყვის თავისუფლებას და კანონის უზენაესობას ეწინააღმდეგებიან. აშკარაა, რომ მიმდინარეობს ზეწოლა პარლამენტის წევრებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებზე, სასამართლოზე, საზოგადოებრივ მაუწყებელზე, აგრესიული რიტორიკა და ბრბოს პოლიტიკურ ოპონენტებთან დაპირისპირება, ასევე უმცირესობების მიმართ სიძულვილის ენის ხშირი გამოყენება საქართველოს ევროპულ ოცნებას აშორებს. მიუღებელია, ოფიციალურმა პირებმა გამოიყენონ სიძულვილის ენა და მოუწოდონ ხალხს ძალადობისკენ. ზეწოლითა და შანტაჟით ვაიძულოთ ოპოზიციონერი დეპუტატები, შეცვალონ პოზიცია. ეს ეწინააღმდეგება ევროპულ ღირებულებებს, რომ არაფერი ვთქვათ ადამიანის უფლებებზე, – ნათქვამია ევროპარლამენტართა მიერ გავრცელებულ წერილში.

გუშინ საქართველოს მწვანეთა პარტიამ ამ წერილთან დაკავშირებით საგანგებო განცხადება გაავრცელა. მწვანეების განმარტებით, წერილის ერთ-ერთი ხელმომწერი პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მრჩეველი იყო.

– ჩვენ საერთოდ არ მივაქცევდით ყურადღებას ამ დაკვეთილი წერილის პოპულისტურ შინაარსს, მაგრამ „ნაციონალების“ მიერ მედიაში გაჟღერებულმა სიცრუემ, რომ თითქოს წერილს ევროპის „მწვანეებიც“ აწერენ ხელს (რომელთა კეთილგანწყობილი პოზიცია ჩვენ მიმართ საყოველთაოდ ცნობილია), იძულებელი გაგვხადა, ზოგიერთი ხელმომწერის ვინაობით და პარტიულობით დავინტერესებულიყავით. პირველი, რაც გვინდა განვაცხადოთ, ისაა, აბსოლუტური სიყალბეა, თითქოს წერილს ევროპის „მწვანეებმა“ მოაწერეს ხელი. ევროპარლამენტში ევროპის „მწვანეები“ წარმოდგენილია პოლიტიკური ბლოკის საშუალებით, რომელსაც „მწვანეები და ევროპის თავისუფალი ალიანსი“ ჰქვია. მასში გაწევრიანებულია 59 დეპუტატი და შედგება „ევროპის მწვანეთა პარტიის“, „ევროპის თავისუფალი ალიანსის“, 2 პარტიის, რომლებიც არ არიან საერთო ევროპული პარტიების შემადგენლობაში და 6 დამოუკიდებელი დეპუტატისაგან. იმ 23 ხელმომწერიდან ერთი ინდრეკ ტარანდი მართლაც შედის ამ გაერთიანებში, თუმცა როგორც უპარტიო და დამოუკიდებელი დეპუტატი ესტონეთიდან. არც ამაზე გავამახვილებდით ყურადღებას, რომ არაერთი მნიშვნელოვანი ნიუანსი, რაც მთლიანად შიფრავს „ნაციონალების“ საერთაშორისო ორგანიზაციებში მოქმედების ტაქტიკას. ინდრეკ ტარანდი 2007 წელს გახლდათ საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მრჩეველი და დღემდე მის ლობისტად რჩება, – ნათქვამია „საქართველოს მწვანეთა პარტიის“ განცხადებაში.

# რის სანაცვლოდ სთავაზობს „ქართული ოცნება“ ნაციონალებს ამნისტიას

შორენა მარსაგიშვილი

მეოცნებეები ხელისუფლებაში სამართლიანობის აღდგენის პირობით მოვიდნენ. ამ წლების განმავლობაში ქვეყანაში ბევრი უსამართლობა მოხდა. ბევრს ქონება წაართვეს, ბევრი ქვეყნიდან გააძევეს, ბევრსაც საერთოდ ყველაზე მთავარი – სიცოცხლე მოუსპეს. ამიტომაც არის, რომ მოსახლეობის უდიდესი ნაწილი სოციალური პრობლემების მოგვარებაზე მეტად სამართლის აღდგენას ითხოვს.

არჩევნების მოგების შემდეგ მეოცნებეები დიდი რიხით ამბობდნენ, რომ ყველა დამნაშავეს აგებინებდნენ პასუხს. თუნდაც იმიტომ, რომ შემდეგში მათ არ ჩაედინათ უკანონობა. არადა, ყველა ძალიან მალე დარწმუნდა, რომ სამართალი ვერც ამათ ხელში შეჭამს პურს. სამართალი ამათაც დიეტაზე დასვეს და პურის ნაცვლად ქატოს აჭმევენ.

სამართალდამცავ სტრუქტურებში კი ათასობით საჩივარია შესული. მთავარი პროკურორი წინა ხელისუფლების ნამოქმედარს ყოველდღე ძილისპირულივით გვიყვება. ამ საშინელებებს უკვე მივეჩვიეთ. იმასაც შევეგუეთ, რომ დაკავებულებს გირაოს სანაცვლოდ ათავისუფლებენ. თავის გასამართლებელი საბუთიც აქვთ, ჩვენ კი ვიჭერთ, მაგრამ კუბლაშვილი უშვებსო.

ამ მიმართულებით ნაციონალებმა მაგრად აჯობეს მეოცნებეებს. ერთი ამბავი აქვთ ატეხილი და მთელ მსოფლიოს მოსდეს, როგორ ავიწროვებს ახალი ხელისუფლება ოპოზიციას. არადა, შევიწროვებულისა მათ არაფერი ეტყობათ. ამის მიუხედავად დასავლეთი ახალ ხელისუფლებას თავშეკავებისკენ მოუწოდებს. საინტერესოა, იგივე ხალხი ნაციონალებს რატომ არ მოუწოდებდა თავშეკავებისგან? იმედია, არავინ იტყვის, რომ აქამდე საქართველოში პოლიტიკური ოპონენტების დევნას ადგილი არ ჰქონია.

ახლა ნაციონალი დეპუტატები დაკითხვაზე მისვლასაც კი არ კადრულობენ. ნაციონალების დროს კი დეპუტატების სახლებში ატარებდნენ სპეცოპერაციას. ამის ნათელი მაგალითი ბონდო შალიკიანის ისტორიაა. დეპუტატ ვალერი გელაშვილს კი დღისით, მზისით სასიკვდილოდ სცემეს.

პოლიტიკური ოპონენტების დევნის მაგალითების გახსენება შორს წაგვიყვანს. ნამდვილად არაა ლამაზი, როცა ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებს აკავებენ. მაგრამ რა ქნას იმ ხალხმა, ვისაც ამ წლების განმავლობაში ამდენი რამ დაატყდა თავს.

ახლა ირკვევა, რომ მეოცნებეები ნაციონალების რაღაცა სახის ამნისტიას სთავაზობენ. მანამდე თავად ნაციონალებმა მოითხოვეს ამნისტია. ეკონომიკური ამნისტიის საკანონმდებლო ინიციატივით თვით პრეზიდენტი სააკაშვილიც კი გამოვიდა. მისი თქმით, ყველა იმ საგადასახადო და ეკონომიკურ



დავალიანებაზე ამნისტია გამოცხადდეს, რომელიც მეწარმეებს 2013 წლამდე გააჩნდათ. აღნიშნული კანონი პარლამენტში იყო ინიცირებული, თუმცა უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ არ დაამტკიცა. მეოცნებეების განმარტებით, ეს ინიციატივა ნაციონალების ბიზნესის გადარჩენას ისახავდა მიზნად.

ნაციონალებმა ეს უარი არად ჩააგდეს და სააკაშვილის წარდგენილი ინიციატივის შესწორებას აპირებენ. ეს სასიხარულო ინფორმაცია ერს დეპუტატმა ზურაბ ჯაფარიძემ ამცნო.

– ამ ყველაფრის მიზანი იყო, რომ ერთგვარი სტაბილურობის განცდა შეექმნა ზოგადად ქვეყანაში, რაც ჩვენი ეკონომიკის წინსვლას შეუწყობდა ხელს, რადგან მდგომარეობა და ეკონომიკის ტენდენციები მაინცდამაინც სახარბიელო არ არის. ჩვენ ვფიქრობდით, რომ ამ ინიციატივის გასვლის შემთხვევაში ეს იქნებოდა კარგი სტიმული ქართული ეკონომიკისთვის. ვაპირებთ უკვე პატარ-პატარა შესწორებებით მივმართოთ პარლამენტს და იმედი გვაქვს, რომ პარლამენტი მას დაამტკიცებს და ეს ქართული ეკონომიკისთვის კარგი სტიმული იქნება, – განაცხადა ჯაფარიძემ.

საკანონმდებლო ორგანო მარტის მიწურულს საკონსტიტუციო ცვლილებებს უყრის კენჭს. უმრავლესობამ ცვლილებებისთვის მხარდაჭერისკენ უმცირესობას არაერთხელ მოუწოდა. თავიდან ნაცმოძი თანახმა იყო. მერე გაირკვა, რომ ისინი ცვლილებებს მხარს მხოლოდ ამნისტიის შემდეგ დაუჭერდნენ. ამის გამო შეთანხმება არ შედგა.

9 მარტს გამართულ შეხვედრაზე კი პარლამენტის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ რაღაცა სახის ამნისტია უკვე დადგა დღის წესრიგში.

– იმ ოცი ათასი საჩივრის განხილვას, რომელიც სხვადასხვა უწყებებშია შემოსული, სისტემა ვერ მოახერხებს, რის გამოც, დღის წესრიგში დგას რაღაცა სახის ამნისტია. ამნისტია კარგად უნდა იყოს დასაბუთებული, რათა არც ერთ ადამიანს არ დარჩეს შთაბეჭდილება, რომ სიმართლე არ გაირკვა და ვინმე დაუსჯელი დარჩა.

შევიკრიბეთ, რათა განვიხილოთ საჭირბოროტო საკითხები, მაგალითად, თუ როგორ გავუმკლავდეთ იმ უსამართლობას, რაც წლების განმავლობაში იყო ჩადენილი, რა კონკრეტული მექანიზმები არსებობს ამისთვის. ამ მიმართულებით, როგორც ცნობილია, საქართველოს სამართალდამცავი სისტემის წარმომადგენლები აქტიურად მუშაობენ, იხილავენ შემოსულ საჩივრებს, მაგრამ იმ თხუთმეტი და ოცი ათასი საჩივრის განხილვას, რომელიც სხვადასხვა უწყებაშია დაგროვილი, სისტემა ვერ მოახერხებს და მას სასამართლომდე ვერ მიიყვანს, რის გამოც, დღის წესრიგში დგას რაღაცა სახის ამნისტია, ოღონდ, ის უნდა იყოს ძალიან კარგად დასაბუთებული. ამიტომ, დღეს მოვიწვიეთ მსოფლიო დონის ექსპერტები და ისინი მოგვცემენ ძალიან მაღალი დონის რეკომენდაციებს კონკრეტულ მოდელებთან დაკავშირებით, – განაცხადა დავით უსუფაშვილმა.

მისივე განმარტებით, ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ ამნისტიის პარალელურად დაზარალებული პირების უფლებები სრულად იყოს დაცული.

– ჩვენი მსჯელობის საგანია, როგორ მოვახერხოთ, რომ დაზარალებული პირების უფლებები იქნეს დაცული. მოსახლეობას ჰქონდეს სრული განცდა, რომ სიმართლე გაირკვა და დაუსჯელი არავინ დარჩა. თუმცა სასჯელის ფორმებსა და ზომებთან დაკავშირებით საჭიროა მივიღოთ რჩევები მსოფლიო პრაქტიკიდან გამომდინარე, – აღნიშნა პარლამენტის თავმჯდომარემ.

იუსტიციის მინისტრი, დიპლომიანი თეა წულუკიანი ამნისტიაზე ცოტა სხვა აზრისაა. ის პარლამენტს ურჩევს, პოლიტიკური ამნისტიის შესახებ კანონის ნაცვლად, დეკლარაცია მიიღოს.

– პოლიტიკურ ამნისტიასთან დაკავშირებით შიდა საუბრები მიმდინარეობს, თუმცა კონკრეტული შედეგის შესახებ ჯერ ვერაფერს გეტყვით, რადგან ამაზე საუბარი ნაადრევია. პირადად ჩემი მოსაზრებაა, რომ პარლამენტმა კანონის მაგივრად დეკლარაცია მიიღოს პოლიტიკური ამნისტიის შესახებ, რაც შემდეგ უკვე პროკურატურის დონეზე დაკონკრეტდება იმისდა მიხედვით, თუ რა მიმდინარე საქმეებია იქ შესული. კანონის მიღება მეჩვენება პრობლემურად, თუმცა მიმაჩნია, რომ ესეც შესაძლებელია და ჩვენ ამასთან დაკავშირებით პარლამენტთან ვითანამშრომლებთ, – განაცხადა თეა წულუკიანმა.

# აკაკი მინაშვილი: „თინა ხიდაშელს პოლიტიკური პროცესები ფეხბურთი ჰგონია“

## რა რეკომენდაციას გვაძლევს ვენეციის კომისია



შორენა მარსაგიშვილი

**პარლამენტი „საერთო სასამართლოების შესახებ კანონზე“ იწყებს მსჯელობას. მეოცნებეებს იმედი აქვთ რომ ამ კანონს უპრობლემოდ მიიღებენ. მიხეილ სააკაშვილმა გასული წლის მიწურულს განაცხადა, რომ ამ კანონს ვეტოს დაადებს. ვეტო სააკაშვილმა ამნისტიის შესახებ კანონს დაადო. პარლამენტმა სააკაშვილის დადებული ვეტო დაძლია. მეოცნებეებს ვეტოს დადებისა უკვე აღარ ეშინია. რადგანაც მას მერე მათი რიგები კიდევ უფრო გაიზარდა.**

ვეტოს იმედად არც ნაციონალები არიან. ამ ეტაპზე მათ უფრო მეტად ვენეციის კომისიის დასკვნა ეიმედებათ. „საერთო სასამართლოების შესახებ კანონთან“ დაკავშირებით ვენეციის კომისიამ დასკვნა უკვე დადო. ამ დასკვნის წაკითხვა ამ კვირაში გახდება შესაძლებელი. მანამდე კი ნაცმოძიცა და ოცნებაც ამტკიცებს, ვენეციის კომისიამ საჩვენო დასკვნა დადოო.

დეპუტატ თინა ხიდაშელის მტკიცებით, ოცნებამ ამ ამბავში ნაციონალებს 10:0 მოუგო. ეს ინფორმაცია აკაკი მინაშვილმა უარყო და ხიდაშელს ფეხბურთისადმი ტრფიალი დაუგმო.

– ვენეციის კომისიის დასკვნაში კიდევ ერთხელ არის ხაზგასმული, რომ იუსტიციის საბჭოს მთელი შემადგენლობის დაშლა არის დაუშვებელი. ეს არის ფუნდამენტური პრინციპი, რომელიც ეხება სასამართლოს თავისუფლებას და დამოუკიდებლობას. „ქართული ოცნების“ მიზანი, რომელიც კანონპროექტში დევს, იყო, რომ იუსტიციის საბჭოს დაშლა უნდა მომხდარიყო, რაც გამოირიცხა. მინდა, გამოვეხმაურო ქალბატონ თინა ხიდაშელის განცხადებას. მას მთელი ეს საქმიანობა ფეხბურთის თამაში ჰგონია, რაღაც ანგარიშებზე საუბრობს, ძალიან პრიმიტიული მიდგომაა, ჩემი აზრით. მთელი ეს კანონმდებლობა უნდა ემსახურებოდეს სახელმწიფო ინტერესებს. სამწუხაროდ, „ქართული ოცნების“ და იუსტიციის სამინისტროს მიერ შემოთავაზებული კანონპროექტი ემსახურება იმას, რომ მთლიანად შეიზღუდოს სასამართლოს დამოუკიდებლობა, – განაცხადა ევროპიდან დაბრუნებულმა მინაშვილმა.

ვენეციის კომისიის დასკვნას კიდევ ერთხელ გამოეხმაურა თინა ხიდაშელი. მისი განცხადებით, იუსტიციის საბჭოს წევრთა აბსოლუტური უმრავლესობა განახლდება. ხიდაშელმა დაადასტურა, რომ ისინი თავიდან იუსტიციის საბჭოს დაშლას აპირებდნენ. ვენეციის კომისია უარზე დადგა. ხიდაშელის თქმით, კომპრომისის მისაღწევად რამდენიმე დღე იმუშავეს.

– იუსტიციის საბჭო ორი ჯგუფისგან შედგება – პირველი, ეს არის პოლიტიკური დანიშვნები, რომელზეც გვეთანხმება ვენეციის კომისია და ამბობს, რომ ეს უნდა შეიცვალოს; მეორე, ეს არის სასამართლო დანიშვნები, სადაც იმ მახინჯი პრაქტიკიდან გამომდინარე, რაც ქვეყანაში იყო, ასევე ორმაგი წესი მოქმედებდა. ანუ, სასამართლო დანიშვნებიდან რამდენიმე ადამიანი დემოკრატიული წესით არის დანიშნული, იმიტომ რომ არჩეულია მოსამართლეთა კონფერენციის მიერ, დანარჩენი კი – არადემოკრატიული წესით. ვენეციის კომისია ამბობს, რომ ახალი წესები, ანუ კონფერენციის მიერ არჩევნები, ანუ ჩვენი კანონპროექტით შეთავაზებული წესები უნდა გავრცელდეს ყველა იმ წევრზე, რომელიც არ არის თავის დროზე ამ დემოკრატიული წესით მოხვედრილი იუსტიციის საბჭოში. ეს იმას ნიშნავს, რომ იუსტიციის საბჭოს წევრთა აბსოლუტური უმრავლესობა, ერთი-ორი გამონაკლისის გარდა, ახალი ადამიანები იქნებიან, რომელთა ნაწილს პარლამენტი აირჩევს, მეორე ნაწილს – მოსამართლეთა კონფერენცია, – განაცხადა ხიდაშელმა.

ვენეციის კომისიის დასკვნაზე დიდ იმედებს ამყარებს უზენაესი სასამართლოც. კოტე კუბლაშვილის სამწყსოში იმედოვნებენ, რომ პარლამენტი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობაში არ ჩაერევა. უზენაესმა სასამართლომ ამასთან დაკავშირებით საგანგებო განცხადებას ავრცელებს.

– ვენეციის კომისიამ რამდენიმეთვიანი მუშაობის შედეგად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეფორმირებასთან დაკავშირებით იუსტიციის სამინისტროს მიერ მომზადებულ საკანონმდებლო ცვლილებებზე, საკუთარი დასკვნა წარმოადგინა. უზენაესი სასამართლო მიესალმება სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე პროცესში ვენეციის კომისიის ჩართულობას. მისასალმებელია ის გარემოება, რომ ვენეციის კომისიამ სასამართლოს მიერ წარმოდგენილი შენიშვნები გაითვალისწინა, კერძოდ, ვენეციის კომისია მიიჩნევს, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დაკომპლექტების ახალი წესის ამოქმედება ავტომატურად იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ძველი შემადგენლობის უფლებამოსილების შეწყვეტას არ უნდა იწვევდეს. ვენეციის კომისიის დასკვნის მიხედვით, ამ ცვლილების ამოქმედება ახალი მთავრობის ან საპარლამენტო უმრავლესობის მიერ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მისთვის არასასურველი შემადგენლობის საკანონმდებლო ცვლილებების გზით შეცვლის გაუმართლებელ და სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის ხელმყოფ პრეცედენტს შექმნიდა. ასევე, ვენეციის კომისია განმარტავს, რომ „სასამართლოების თავმჯდომარეებს, თავმჯდომარის პირველ მოადგილე-

გაგრძელება მე-5 გვერდზე

# სანდრო ბრეგაძე: „სააკაშვილმა საქართველოს ბიუჯეტიდან მილიარდები წაიღო“

## რატომ არის შაშკინი ახალაიაზე უარესი

ნონა ცაბაძე

### ინტერვიუ სანდრო ბრეგაძესთან



***— ბატონო სანდრო, თანდათან ცნობილი ხდება თუ რამდენი მილიონია გაფლანგული თავდაცვის უწყებაში და რამდენი იარაღი სიმპათიების მიხედვით ჩამორიგებული... თქვენი აზრით, ამაზე პასუხი არავინ უნდა აგოს?***

— ჩვენ, ადამიანები, ვინც წლების განმავლობაში ოპოზიციაში ვიყავით და შეურიგებლები სააკაშვილის რეჟიმის წინააღმდეგ, მუდმივად ვსაუბრობდით მთელი ამ წლების განმავლობაში იმის თაობაზე, რომ სერიოზული პრობლემები იყო აბსოლუტურად ყველა სფეროში. ფაქტობრივად ჩავთვალოთ, რომ რეალურად ეს იყო ფასადი, რომლის უკანაც არაფერი არ იდგა. სააკაშვილის ხელისუფლება იდგა მხოლოდ და მხოლოდ ფასადების შელამაზებაზე, პიარსა და ლობისტების მიერ გაწეულ მუშაობაზე უცხოეთში, თორემ რეალურად ქვეყანაში არაფერი არ კეთდებოდა. ჩვენ ერთი რამე უნდა გავითავისოდ, რომ სააკაშვილმა და მისმა მთავრობამ საქართველოს ბიუჯეტიდან წაიღეს იმაზე ბევრად მეტი თანხა, ვიდრე ყველა წინა მთავრობამ ან მთავრობის მეთაურმა. ეს ცალსახაა. აქ საუბარია არა მილიონებზე, არამედ აქ საუბარია მილიარდებზე, რომელი მილიარდებითაც, ჩვენდა სამწუხაროდ, ჩვენი სახელმწიფოს ბიუჯეტი გაიძარცვა და რეალურად ხელში შეგვრჩა არაფერი. თუნდაც სამხედრო ნაწილები რომ ავიღოთ, ჩვენ ვნახეთ, რომ ფაქტობრივად დანგრევის პირას არის. შეგვრჩა ჩამოშლილი ფასადები პლეხანოვის გამზირზე და თბილისის სხვადასხვა ქუჩებში, თუნდაც იგივე ბათუმში. შეგვრჩა აბსოლუტურად ჩამოშლილი ინფრასტრუქტურა და მოპარული მილიარდები. რეჟიმი აუცილებლად უნდა გასამართლდეს, როგორც რეჟიმი და არა როგორც ცალკეული პიროვნებები. რეჟიმს უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა როგორც ფინანსური, ასევე მორალური და სამართლებრივი. ჩვენს ქვეყანაში არაფერი არ კეთდებოდა, არაფერი არ შენდებოდა, გარდა იმისა, რომ სააკაშვილი და მისი გარემოცვა პირად მოთხოვნილებებს იკმაყოფილებდნენ. ახლა მე, როდესაც ვნახე ახალაიას მოსასვენებელი ოთახები და ასე შემდეგ და ასე შემდეგ, გამიჩნდა ასეთი განცდა, რომ უნახავმა რა ნახაო. მთელი ცხოვრების განმავლობაში რაც ადამიანებს ნანახი არ ჰქონდათ. მათ თავიანთი ბავშვური ოცნებების ასრულება დაიწყეს. ეს არის ბავშვობაში კომპლექსებით სავსე ადამიანების ბრბო, რომელმა ადამიანებმაც თავიანთი ყმაწვილკაცობის დროინდელი ოცნებები აისრულეს.

***— სწორედ ამიტომ ითხოვენ ასე გამწარებულები ეკონომიკურ ამნისტიას, რომ მოპარული ქონება შეინარჩუნონ?***

— სააკაშვილს მილიარდები აქვს წაღებული საქართველოს ბიუჯეტიდან და, რა თქმა უნდა, მათი მთავარი საზრუნავი არის, რომ ყველა ის უკანონო ქონება, რომელიც მოიპარეს, შეინარჩუნონ. ეს არის დღეს მათი მთავარი ამოცანა. მათ სამშობლო რომ არ უყვართ, არანაირი იდეოლოგია რომ არა აქვთ, არანაირი მრწამსი რომ არა აქვთ, ეს ცხადზე ცხადია. ისინი ამ ამნისტიას ასე გამწარებით იმიტომ ითხოვენ, რომ საკუთარი ნაქურდალი მილიარდები შეინარჩუნონ. შენ წლების განმავლობაში ქონება მოპარო ქვეყანას, მერე გამოხვიდე და თქვა, რომ ამნისტია გამომიცხადეო, ესე არ გამოვა.

***— ბატონო სანდრო, პოლიტიკურ პროცესებს რაც შეეხება, გვახსოვს ჩვენ, რომ გასული კვირა დაიწყო პრემიერის და პრეზიდენტის შეხვედრით, შემდეგ პრემიერი უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარესაც შეხვდა. ხელისუფლება ცდილობს მოლაპარაკების გზით დაალაგოს სიტუაცია. თქვენი აზრით, რამდენად შედეგიანი იქნება ეს ყველაფერი?***

— ბიძინა ივანიშვილის და მიხეილ სააკაშვილის შეხვედრამ რაც გვაჩვენა და კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა იმაში, რომ ბიძინა ივანიშვილი არასერიოზულად უყურებს მიხეილ სააკაშვილს. სააკაშვილს უყურებს, როგორც მესამე კლასელ ხულიგან მოსწავლეს, რომელიც მთლად ვერ არის თავის გონებაზე და ფანჯრებს ამტვრევს სკოლაში. ბიძინა ივანიშვილის კომენტარებშიც გამოჩნდა, რომ სააკაშვილს არასერიოზულ პოლიტიკურ ფიგურედ განიხილავს და ეს ესეც არის, სააკაშვილის სერიოზულად განხილვა როგორ შეიძლება. სააკაშვილი იყო შემთხვევით მოვლენილი პოლიტიკური ფიგურა, რომელმაც საქართველოს პრეზიდენტობა დაირქვა და რამდენიმე ხნის განმავლობაში მოსახლეობა უბრალოდ ვერ გაერკვა თუ ვინ იყო ეს ადამიანი. ივანიშვილის და სააკაშვილის შეხვედრა უნდა განვიხილოთ ისე, როგორც სკოლის დირექტორის და მოსწავლის შეხვედრა, სადაც ივანიშვილმა სააკაშვილი დატუქსა. რაც შეეხება კუბლაშვილთან შეხვედრას, ამ შემთხვევაში შემიძლია გითხრათ, რომ კუზიანს სამარე გაასწორებს. მას იმდენი არასწორი გადაწყვეტილებები აქვს მიღებული, მან იმდენად დაანგრია სასამართლო სისტემა, იმდენად დამოკიდებული გახადა პროკურატურაზე, რომ ამის გამოსწორება მე ცოტათი სათუო საქმედ მიმაჩნია. ჩვენ ვიცით, რომ სავლე პავლედ გადაიქცა, მაგრამ სავლეს ამის სურვილი ჰქონდა, კუბლაშვილს კი რაღაც ამ სურვილს ვერ ვატყობ. მე პირდაპირ შემიძლია გითხრათ, რომ კუბლაშვილი არის ერთ-ერთი ყველაზე დიდი დამნაშავე ქართული სახელმწიფოებრიობის წინაშე. შეიძლება ითქვას, რომ კუბლაშვილი ადეიშვილსა და მერაბიშვილზე ნაკლები დამნაშავე არ არის, მეტი თუ არა. ეს არის ადამიანი, რომლის სასამართლოს მიერ მიღებული უკანონო გადაწყვეტილებებით ათასობით ადამიანი უკანონოდ იხდიდა სასჯელს, უამრავი ადამიანი აწამეს და დახოცეს. მე არ ვიცი, ამ ადამიანთან კოჰაბიტაცია როგორ შეიძლება. როდესაც მას ვუყურებ, ყოველთვის მიჩნდება შეგრძნება, რომ მისი ხელები სისხლიანია.

***— ასეთი შეფასებებიც მოვისმინეთ, რომ ივანიშვილმა კუბლაშვილს თავის გადარჩენის შანსი მისცაო... თქვენ რამდენად ფიქრობთ ასე და იქნებოდა თუ არა ივანიშვილის მხრიდან ეს ინიციატივა?***

— შეთავაზება არა, ეს უფრო მოთხოვნა იქნებოდა და სწორი მოთხოვნაც არის. მე არა მგონია, კუბლაშვილი დათანხმდეს ამას, ჰგონია ვინმეს, რომ კუბლაშვილი სანამ თავმჯდომარეა, მოსამართლეებს შეეშვება და მოსამართლეებს მის რეჟიმს გაასამართლებინებს?! ეს ხომ ჯაჭვური რეაქციით წავა და კუბლაშვილიც ამ ჯაჭვის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. თქვენ როგორ ფიქრობთ, ის საკუთარი ხელით გაითხრის სამარეს? არამ რა თქმა უნდა. მე არა მგონია, კუბლაშვილმა ეს მოთხოვნა გაითვალისწინოს, ის იმდენად არის სააკაშვილზე გადაბმული, რომ ეს შეუძლებელი იქნება. დარწმუნებული ვარ, კუბლაშვილი, ადრე თუ გვიან, პასუხს აგებს მართლმსაჯულების წინაშე. კუბლაშვილი არის პირსისხლიანი ჯალათი.

***— როგორ ფიქრობთ, დადგება კუბლაშვილის იმპიჩმენტის საკითხი თუ დაელოდებიან მისი ვადის ამოწურვას?***

— ანაქრონიზმია, რომ კუბლაშვილი სასამართლოს თავმჯდომარე იყოს. ალბათ უახლოეს პერიოდში ისიც მოსცილდება სასამართლოს სისტემას. კუბლაშვილმა იმ სასამართლოს სისტემის შექმნით, რომელიც მან შექმნა სააკაშვილთან ერთად, ჩაიდინა ყველაზე დიდი დანაშაული, რა დანაშაულიც შეიძლება მოიფიქროს ადამიანმა სახელმწიფოს წინაშე. კუბლაშვილი დამნაშავეა ქართველი ერის და ქართული სახელმწიფოებრიობის წინაშე. მან პასუხი უნდა აგოს ქართველი ერის წინაშე. კუბლაშვილის შთამომავლობა მეცოდება, ის ისეთი სახელით შევა საქართველოს ისტორიაში.

***— ბატონო სანდრო, საზოგადოება გახდა მოწმე იმისა, თუ როგორ გაათავისუფლა სასამართლომ სააკაშვილის რეჟიმის ყველა წევრი. ზოგი უპირობოდ, ზოგიც სიმბოლური გირაოს სანაცვლოდ. რატომ არ უშვებენ ახალაიას? საუბარია, რომ ბაჩო ახალაია თავად სააკაშვილმა გაწირაო, რამდენად იზიარებთ ამ მოსაზრებას?***

— არა, სააკაშვილი ვერ გაწირავს, ეს კოზანოსტრაა, ეს მაფია. ვერ გაწირავენ ერთმანეთს. ერთი გაწირავს მეორეს და ის მეორე იმავე წუთში პირს დააღებს და ისეთებს იტყვის, რომ შეიძლება თმები ყალყზე დაგვიდგეს. არა, ბაჩო ახალაია ელემენტარულად ყველაზე დაცულად თავს იგრძნობს ქართულ ციხეში. ბაჩო ახალაიას საქართველოს ტერიტორიაზე თმის ღერიც რომ ჩამოუვარდეს, ეს იმ წუთშივე საქართველოს ხელისუფლებას დაბრალდება. უცხოეთში კი ბაჩო ახალაია გაცილებით მარტივად ხელში ჩასაგდები იყო. უცხოეთში ბევრი ქართველია მის მიერ უკანონოდ ნაწამები და უკანონოდ დაპატიმრებული. ახალაიას შეეშინდა შურისძიების და ამიტომ ზის ციხეში, ის ციხეში თავს დაცულად გრძნობს. ახალაია მოერიდა შურისძიებას. ესე არიან დანარჩენები, ვინც გაქცეულები არიან, მათაც უნდათ ჩამოსვლა და ციხეში ჩაჯდომა თავის გადასარჩენად.

რაც შეეხება გამოშვებებს, მე კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ ადამიანს თუ აქვს ჩადენილი ეკონომიური დანაშაული, ან თუ აქვს ქრთამი აღებული, მათ გირაოთი გამოშვებას მე მხარს დავუჭერდი. ეს არის ევროპული პრაქტიკა და ეს ასეც უნდა იყოს. ჩვენ დავინახეთ, რომ პროკურატურა უგულავას შემთხვევაშიც არ შევიდა დაპატიმრების მოთხოვნით, შევიდა გირაოს მოთხოვნით. ჩვენი პროკურატურა აყალიბებს ევროპულ სტანდარტებს, სადაც პატიმრობა გამოიყენება მხოლოდ და მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში. მე არ ვემხრობი ყველას დაჭერას და ყველას ციხეში ჩაყრას. არიან სისხლმოწყურებული ადამიანებიც, მაგრამ ცხელ გონებაზე არაფრის გაკეთება არ შეიძლება. საპატიმრო ღონისძიება უნდა გამოვიყენოთ უკიდურეს შემთხვევაში, ამას ჩვენ უნდა შევეგუოთ. თუმცა ის ჯალათები, რომლებმაც ამდენი დანაშაულები ჩაიდინეს, ისინი აუცილებლად უნდა გასამართლდნენ და ჩაჯდნენ ციხეში.

***— ბატონო სანდრო, დიმიტრი შაშკინის საქართველოში დაბრუნების შესახებ რას ფიქრობთ, ისიც ფიქრობს, რომ ქართულ ციხეში უფრო დაცულად იგრძნობს თავს? რატომ ჩამოვიდა ის?***

— ესენი არიან ხალხი, რომლებსაც არსად წასასვლელი არა აქვთ. მათ იმდენი საშინელებები აკეთეს, რომ არსად არ გრძნობენ თავს უსაფრთხოდ. თქვენ რა გგონიათ, შაშკინი რომ იყო სასჯელაღსრულების მინისტრი, მაშინ არ ხდებოდა ეს საშინელებები? მაშინ ხდებოდა თუ ხდებოდა. შაშკინი არის ისეთივე პირსისხლიანი ჯალათი, როგორი ჯალათიც იყო ბაჩო ახალაია. შაშკინს ისე უყვარს საქართველო და ისე შესტკივა გული, როგორც ახლა მე მიყვარს ბანგლადეშის რომელიღაცა პროვინცია. ესენი არიან ის ადამიანები, რომლებიც დანაშაულებრივი კავშირებით არიან ერთმანეთზე გადაბმულები.

# ნიკოლოზ მჟავანაძე: „იპოთეკარების პრობლემა იუსტიციის სამინისტრომ უნდა მოაგვაროს“

გულიკო ბალაძე



ახალი ხელისუფლების კიდევ ერთი სატკივარი ე.წ. კერძო იპოთეკარებია. ნაციონალური მოძრაობის სამართლებრივმა და სოციალურმა პოლიტიკამ ქვეყანაში „კერძო იპოთეკარების“ და, საერთოდ, გარკვეული თანხის სანაცვლოდ საკუთარი ბინებისა და სახლების დამგირავებელთა მთელი არმია გააჩინა, რომლებიც ახლა ბინებისა თუ სახლების დაკარგვის საშიშროების წინაშე დგანან. ამიტომ დახმარებას ახალ ხელისუფლებასა და ბიძინა ივანიშვილს სთხოვენ, რადგან წინასაარჩევნოდ მათ დახმარების დაპირება გასცეს.

„უფლებადამცველთა გაერთიანების“ თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძე აღნიშნავს, რომ თუ ხელისუფლება კერძო იპოთეკარებს არ დაეხმარება, ისინი საცხოვრებელ ბინებს დაკარგავენ. ასევე არაა გამორიცხული, მათ აქციებიც გამართონ და მათი რიცხვი ცოტა არ არის.

ნიკოლოზ მჟავანაძე ამ დღეებში ბათუმში იმყოფებოდა. იქ კერძო იპოთეკარებმა მცირერიცხოვანი აქციაც გამართეს ბათუმის იუსტიციის სახლთან.

— ბათუმში შევხვდით კერძო იპოთეკასთან დაკავშირებით დაზარალებულ მოსახლეობას, აჭარის მთავარ პროკურორ ლევან გზირიშვილს და ბათუმის პროკურორს. დაწყებულია გამოძიება ერთ კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით. პროკურორთან შეხვედრა ერთ კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით გვქონდა. იკვეთება კერძო იპოთეკართან სისხლის სამართლის დევნის დანაშაულებრივი სქემა, ანუ ერთი მოვალე დაზარალებულად არის ცნობილი და გამოძიება დაწყებულია.

ბათუმში ბევრი კერძო იპოთეკარია. დაჭერები რომ ხორციელდებოდა, საპროცესო შეთანხმებებისთვის ფულს ისინი კერძო იპოთეკარებიდან ღებულობდნენ, შემდეგ ვერ იხდიდნენ. გარდა ამისა, საკურორტო სეზონისთვის აიღეს ვალები, როცა სააკაშვილმა 2008 წელს განაცხადა, მილიონობით ტურისტი ჩამოვაო და არავინ ჩამოსულა. ამან ეს ხალხი ჩააგდო სავალალო მდგომარეობაში, — განაცხადა ნიკოლოზ მჟავანაძემ.

ნიკოლოზ მჟავანაძის ინფორმაციით, უბედურება ისაა, რომ ამ ხალხის ქონებას უცხო ქვეყნის მოქალაქეები იძენენ ძალიან იაფად.

— ყველაზე დიდი უბედურება კიდევ ისაა, რომ ამ ქონებას უცხო ქვეყნის მოქალაქეები ეპატრონებიან. აქაურები ვერ ყიდულობენ. ახლა ბათუმში, ბარათაშვილის ქუჩაზე 23 ათას დოლარად გაიყიდა ბინა კერძო იპოთეკასთან დაკავშირებით. ჩვენ მივაღწიეთ იმას, რომ ერთი თვე კიდევ მიეცეს მოვალეს, რომ გადაიხადოს და დაიბრუნოს ბინა. ამ ბინის საბაზრო ფასი ღირს 80 ათასი, განაცხადა ნიკოლოზ მჟავანაძემ.

პრესკონფერენციაზე ასამდე კაცი იყო მოსული იუსტიციის სახლთან და ყველას სატკივარი ეს არის. ნიკოლოზ მჟავანაძე ამბობს, რომ ეს ადამიანები ფულის ჩუქებას კი არ ითხოვს, არამედ დაპირების შესრულებას.

კერძოდ, რა მოთხოვნა აქვთ ამ კერძო იპოთეკარებს? როგორც ნიკოლოზ მჟავანაძე აცხადებს, ისინი ითხოვენ სახელმწიფოს მხრიდან გრძელვადიანი დაბალპროცენტიანი სესხების გაცემას.

— კერძო იპოთეკარებს უნდათ გრძელვადიანი სესხები დაბალ პროცენტში. ასეთ შემთხვევაში მოხდება მათი დაკმაყოფილება. დაბალპროცენტიანი, გრძელვადიანი სესხის აღებით, საქმეც ექნებათ და ამით თავიანთ ბინებსაც გადაარჩენენ. ხელისუფლებამ დანაპირები უნდა შეასრულოს. აჭარის მთავრობის თავმჯდომარის დაკმაყოფილება შესაძლებელია იმ ფორმით, რომ 2 მილიონია გასაცემი ქობულეთში, 5 მილიონი კი ბათუმშიო, რაც აბსურდია, ვინაიდან გაცილებით მეტ თანხებზეა საუბარი. ამიტომ არასწორი ინფორმაცია აქვთ, — განაცხადა ნიკოლოზ მჟავანაძემ.

***— ბატონო ნიკოლოზ, კერძო იპოთეკარებისთვის აღნიშნული თანხა ბიუჯეტმა უნდა გასცეს?***

— არ ვიცი. არ არის გამორიცხული, კერძო ბანკებთანაც გაფორმდეს შეთანხმება. არ ვიცი, როგორ დარეგულირდება, მაგრამ ეს ხალხი ითხოვს სესხის ხელშეკრულებებს დაბალ პროცენტში და გრძელვადიანი გრაფიკით. ასე დაფარავენ თანხებს. ამაზე ხელისუფლება, მე მგონი, უნდა დათანხმდეს, რადგან ეს იყო წინასაარჩევნოდ „ქართული ოცნების“ დაპირება.

***— ამ ხალხმა კიდევ ახალი სესხი რომ მიიღოს, როგორ გადაიხდიან? შეუძლიათ თუნდაც გრძელვადიანი სესხი დაფარონ?***

— შეუძლიათ.

***— რით დაფარავენ?***

— ყველას აქვს თავისი მცირე სასტუმრო, ბიზნესი, უმრავლესობა მუშაობს, უმრავლესობას თავისი შემოსავალი აქვს. იქ ხალხია, რომლებიც ტურისტული სეზონითაც სარგებლობენ. უბრალოდ, კერძო იპოთეკარების პროცენტებმა იმხელა თანხებს მიაღწია, რომ ვერ იხდიან. გრძელვადიანი სესხი უნდა გაიცეს დაბალპროცენტიანი.

***— სესხს რა ვადით ითხოვენ?***

— თითოეულს ინდივიდუალურად უნდა მიდგომა. ზოგს შეიძლება ორი წლით მიეცეს, ზოგს 3-5 წლით. თან კერძო იპოთეკარებთან დაკავშირებით საქმე უფრო რთულადაა, რადგან არის შემთხვევები, როცა მათ ბინებს უყიდიან და ამის შესახებ კარგა ხნის შემდეგ გებულობენ. მაგალითად, ბათუმში იყო შემთხვევა, როცა ერთ კერძო იპოთეკარს ბინა გაუყიდეს და ამის შესახებ კერძო აღმასრულებელმა ამის შესახებ არც კი აცნობა, რაც კანონის დარღვევაა. ამიტომაც დაიწყო გამოძიება. ქონების გაყიდვის სხვადასხვა დანაშაულებრივი სქემებია, ანუ აქ საქმე გვაქვს კრიმინალთან. ამიტომაც ვფიქრობ, რომ სახელმწიფოსაგან დაზარალებულ ხალხს ისევ სახელმწიფო უნდა დაეხმაროს, რადგან ეს თანხები ადამიანებს საპროცესო შეთანხმების გასაფორმებლად სჭირდებოდათ, რომელიც უკანონოდ ფორმდებოდა. ვფიქრობთ, ეს მოსახლეობა გადასარჩენია. ხალხი რეალურად, ძალიან დიდი განსაცდელის წინაშეა, იმიტომ, რომ თითქმის ყოველდღიურად, მათი ბინებიდან გამოსახლებები ხორციელდება. ერთ-ერთ გამოსახლებას ჩვენც შევსწარით და შევძელით მისი გადადება.

***— იუსტიციის სახლთან რატომ გამართეთ აქცია?***

— იუსტიციის სახლთან აქცია იმიტომ გავმართეთ, რომ ვითხოვთ იუსტიციის მინისტრმა მოახდინოს აღნიშნული სიტუაციის დარეგულირება იმ კუთხით, რომ გამოსახლებები გარკვეულწილად გაჩერდეს.

***— ანუ ამ ხალხის თხოვნაა, ხელისუფლება დაეხმაროს.***

— ხელისუფლება კი არ დაეხმაროს, არამედ დანაპირები შეასრულოს. ჩვენ არ ვითხოვთ იმას, რაც არ ყოფილა გაცხადებული. წინასაარჩევნოდ იცოდა „ქართულმა ოცნებამ“, რომ ამ ადამიანებს ჰქონდათ სესხები აღებული და უთხრეს, დაგეხმარებითო. თუ ეს ტყუილი იყო, უნდა თქვან, წინააღმდეგ შემთხვევაში, უნდა გააკეთონ ის, რასაც დაპირდნენ ამ ხალხს. სიტუაცია ისეთია, ცოტა ხანში აჭარაში, ბათუმში ქართველები უმცირესობაში იქნებიან. უმეტესად წარმოდგენილი იქნებიან უცხო ქვეყნის მოქალაქეები. ხელისუფლებამ ამას ხელი არ უნდა შეუწყოს იმიტომ, რომ იქ ათასობით ადამიანია დაზარალებული, ვალებს ვერ იხდიან,

გაგრძელება მე-6 გვერდზე

## ვალერი ხაბურძანია: „კიწმარიშვილი შევარდნაძის ხელისუფლებას დაჰპირდა, რომ მისი პოლიტიკური დამსამარებელი იქნებოდა"

უშიშროების ყოფილი მინისტრის ვალერი ხაბურძანიას განცხადებით, „რუსთავი 2"-ის ყოფილი დირექტორი ეროსი კიწმარიშვილი შევარდნაძის ხელისუფლებას დაჰპირდა, რომ მისი პოლიტიკური დამსამარებელი იქნებოდა და ეს შეასრულა კიდეც.

როგორც ხაბურძანიამ გადაცემა „პრეს-პრესში" სტუმრობისას, 2003 წელს, როდესაც „ნაციონალური მოძრაობა" არჩევნებში პირველი ადგილის დაფიქსირებას ითხოვდა, მაშინდელი ხელისუფლებიდან ავთანდილ ჯორბენაძე მოლაპარაკებებს უშუალოდ მიხეილ სააკაშვილთან მართავდა, სულხან პაპაშვილი – ზურაბ ჟვანიასთან, ხოლო თვითონ – ეროსი კიწმარიშვილთან, რომელიც არა მედიის, არამედ პოლიტიკური პროცესის ნაწილი იყო.



ხაბურძანიამ ასევე კომენტარი გააკეთა გავრცელებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით, რომლის თანახმადაც ეროსი კიწმარიშვილი შევარდნაძის ხელისუფლებისგან 1 მლნ მოითხოვა, რათა რევოლუციური პროცესები პირდაპირ ეთერში არ გადაეცა.

„ეს არასწორია. ხმები იყო იმის შესახებ, რომ ეროსი კიწმარიშვილი რაღაც ფინანსურ დახმარებას ითხოვდა და ითხოვდა ასევე „ოერტეს" არხს. მას თანხმობაც მისცეს, მაგრამ შემდეგ შეცვალეს გადაწყვეტილება. სამწუხაროდ, ჩვენ, ხელისუფლებამ გადავაგდეთ იგი, ჯორბენაძე იყო ამით დაკავებული. ამან გააბრაზა ძალიან ეროსი კიწმარიშვილი და განაცხადა, მე ვიქნები თქვენი პოლიტიკურად დამსამარებელიო და კიდეც შეასრულა ეს", – განაცხადა ხაბურძანიამ. **პირველი**

## აკაკი მინაშვილი: „თინა ხიდაშელს პოლიტიკური პროცესები ფეხბურთი ჰგონია"

დასაწყისი მე-3 გვერდზე

ებს, მოადგილეებს, პალატებისა და კოლეგიების თავმჯდომარეებს და ყველა იმ პირს, რომელსაც აღნიშნული პოზიციები ეკავათ ბოლო 1 წლის განმავლობაში, არ უნდა შეეზღუდოთ უფლება საკუთარი კოლეგების მიერ არჩეულ იქნენ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებად. ვენეციის კომისიის აღნიშნული რეკომენდაცია ეწინააღმდეგება იუსტიციის სამინისტროს მიერ წარმოდგენილ ინიციატივას, რომლის შესაბამისად, ზემოთ ჩამოთვლილ მოსამართლეთა წრეს იუსტიციის საბჭოში არჩევის შესაძლებლობა ეზღუდებოდა. უზენაესი სასამართლო იმედოვნებს, რომ საქართველოს პარლამენტი გაითვალისწინებს ვენეციის კომისიის დასკვნას და არ ჩაერევა სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებელი ორგანოს, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, საქმიანობაში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უზენაესი სასამართლო მზადყოფნას გამოთქვამს წამყვანი როლი შეასრულოს სასამართლო ხელისფლების შემდგომი რეფორმირების პროცესში. ამმხრივ უზენაესი სასამართლო მიესალმება იუსტიციის სამინისტროს მიერ შემოთავაზებული საკანონმდებლო ცვლილებების რიგ დებულებებს. უზენაესი სასამართლო მზადყოფნას გამოთქვამს სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებულობის გაძლიერებისა და შემდგომი რეფორმირების წარმატებულად წარმართვის მიზნით ყველა დაინტერესებულ მხარესთან ითანამშრომლოს, – აღნიშნულია უზენაესი სასამართლოს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

### ჟოზეფ კეი გია ხუხაშვილისა და დეპუტატ გიორგი ვაშაძისაგან ბოდიშის მოხდას მოითხოვს!

## ღია წერილი

არ შემიძლია, არ დავეთანხმო გადაცემა „პოზიციის" 5 მარტის ერთ-ერთ რესპონდენტს – რეჟიმის დამარცხება უფრო იოლია, ვიდრე სისტემის. მაგრამ ამ თემას კიდევ უფრო თუ განვაზოგადებთ, სისტემურად, გეგმაზომიერად სტერეოტიპების დამსხვრევა თავად ვერ მოგვიხერხებია. **როგორც გია ხუხაშვილმა ბრძანა, „მორალური" და „პროფესიული" კრიტერიუმებიდან გვესაუბრება თურმე მთელი ცხოვრება; თუმცა, არავინ უნდა გაბედოს მასთან შეკამათება!**

ტოტალურ, დიქტატორულ რეჟიმში უკვე ვიცხოვრეთ – ვიღაცამ ამას სიცოცხლე, თავისი სახელი, იმიჯი და ფინანსები შესწირა.

მესმის, რომ მედალს ორი მხარე აქვს მაგრამ, არსებობს ერთი მაგრამ...

თითოეული ჩვენთაგანის ცოდვა-მადლი სხვაგან აიწონება, თუმცა, არც აქ ვაპირებ დუმილს. ამის დიდი გამოცდილება მაქვს და მივხვდი, დუმილი ყოველთვის არ აღიქმება ძლიერებად და სიმართლედ, ჩემი დუმილი ვიღაცეებს საშუალებას აძლევს, თალღითი მიწოდოს! თავად კი ცივილური თანაცხოვრების ფორმულას გვთავაზობენ – ბოდიში მოიხადოს ყველამ და მხოლოდ ამის შემდეგ შედგება კოჰაბიტაციაო!

კი, ბატონო! – მე, ჯოზეფ კეი, ბოდიშს ვიხდი, რომ მიხეილ სააკაშვილს და მის ბანდას არსებობა გავუხანგრძლივე! ბოდიში იმისთვის, რომ ძმის გარდაცვალების შემდეგ მისი ნების აღსრულება ჩემთვის ღირსების საქმედ იქცა, საფრთხე, რომელიც მის და ჩემს ოჯახს ელოდა, უფრო რეალურად შევაფასე! ბოდიში, ოჯახური კონფლიქტის ქუჩაში გამოფენა რომ არ მინდოდა!

**ბოდიში იმისთვის, რომ სააკაშვილის მთავრობასთან ერთად ხუხაშვილი და მისთანანი ჩემგან მონსტრს ქმნიდნენ და ხმა არ ამოვიღე! ბოდიში, თვითმკვლელობაზე რომ არ წავედი და ჩემი ახლობლების თავისუფლება და სიცოცხლე საფრთხის ქვეშ არ დავაყენე!** ბოდიში იმ 200 მილიონისთვის, 2003 წლიდან საქართველოში რომ დავაბანდე! გადასახადებისათვის, რომელსაც ვიხდიდი! რამდენიმე ათასი ადამიანისათვის, რომელიც დავასაქმე! ბოდიში, დასმულ კითხვას პირდაპირ, გულწრფელად რომ ვუპასუხე...

აღარ გავაგრძელებ. **ერთი ვიცი, ჭორაობა არც ექსპერტობაა და არც კაცობა! მეც მაქვს რამდენიმე კითხვა და არა ჭორის დონეზე – არა მგონია, გია ხუხაშვილი დავით კეზერაშვილის ყოფილ კაბინეტში ბიზნესმენებს მეწარმეთა შესახებ კანონის გაჯანსაღებასა და ქვეყნისთვის სასარგებლო საინვესტიციო გარემოს შექმნაზე სასაუბროდ იბარებდეს ან იქნებ „თაღლითის" ახალ დეფინიციას აყალიბებს?!**

იმ ახალგაზრდა ნაციონალს (მგონი ვაშაძეა გვარად) და გია ხუხაშვილს იმის დამტკიცება მოუწევთ, რასაც აცხადებენ ან ცილისწამებისთვის თქვენს ეთერში ბოდიში მოიხადონ! თუ არადა, სასამართლოში მოუწევთ პასუხის გაცემა, იქ გავარკვიოთ მტყუანმართალი.

**ჩემს ცხოვრებაში დუმილის დრო დამთავრდა!**

**პატივისცემით,**
**ჯოზეფ კეი**

# როგორი და როგორ უნდა აშენდეს ხუდონ ჰესი

ხუდონჰესთან დაკავშირებით იმდენჯერ დაიწერა, უხერხულიც კია, კიდევ ერთხელ მივაპყროთ მკითხველის ყურადღება ამ საკითხს. მაგრამ,დღეს, როცა ახალი მთავრობის მიერ გაცხადებულია ახალი მიდგომები ქვეყნის საერთო ეკონომიკური და ენერგეტიკის დარგის განვითარების საქმეში, გადავწყვიტეთ, რომ ხუდონჰესი ერთხელ კიდევ გახდეს ფართო განხილვის საგანი. ამასთან, შემოგთავაზოთ ჩვენი ხედვა ამ პროექტის დღემდე წარუმატებლობის მიზეზების და მისი წარმატებით რეალიზაციის გზების თაობაზე.

წარუმატებლობის ძირითადი მიზეზი ისაა, რომ წინა მთავრობების როლი, ამ მეტად მნიშვნელოვან პროექტთან მიმართებაში, დღემდე შემოიფარგლებოდა მხოლოდ ინვესტორის მოწვევით და გასული საუკუნის 80-იან წლებში შექმნილი პროექტის გადაცემით. უცხოელი ინვესტორი კი, თავისათავად, ვერ გაერკვა (ან ძალიან დიდი დრო სჭირდებოდა) ობიექტთან დაკავშირებულ ისეთ საკითხებში, როგორიცაა პროექტის ოპტიმიზაცია ენერგოსისტემის მოთხოვნების შესაბამისად, ლიცენზიების და ნებართვების მოპოვების პროცედურები, საზოგადოებასთან ურთიერთობა, საჭირო მიწის ფართობის შესყიდვა, პროექტთან დაკავშირებული რისკების შეფასება და სხვა. ჩვენი აზრით, ეს საკითხები ახალმა მთავრობამ უნდა მოაგვაროს და პროექტი ისეთ საინვესტიციო კონდიციამდე მიიყვანოს, რომ ინვესტორს აქციების ყიდვის მეტი საზრუნავი არაფერი დარჩეს. ამისათვის, ჩვენი შეფასებით, საქართველოს მხარემ უნდა დახარჯოს პროექტის საერთო ღირებულების 20-30%. ასეთი მიდგომა ჰესების მშენებლობასთან დაკავშირებით წინა ხელისუფლებას შევთავაზეთ 2003 წელს („საქართველოს რესპუბლიკა", 29 ნოემბერი, 2003). მაგრამ არ იქნა გათვალისწინებული და დღემდე გრძელდებოდა მარტივი მიდგომა – „ყველაფერი გააკეთოს ინვესტორმა და ყველაფერი მისი იყოს". შედეგიც სახეზეა – ხუდონის და ნამოხვანის ჰესები „ადგილიდან არ დაძრულან".

დღეს, ჩვენი იმედი, ხუდონჰესის და სხვა მნიშვნელოვანი პროექტების წარმატებული რეალიზაციის საწყისად, ემყარება პრემიერ-მინისტრის მიერ გაცხადებულ პრინციპს – „ინვესტორები ხალისით მოდიან მაშინ, როცა პროექტებს 25%-ით თვითონ აფინანსებს".

ასეთი, სწორი ფინანსირების პრინციპთან ერთად, საჭიროა, რომ ტექნიკურ ნაწილშიც დავადგეთ სწორ გზას. კერძოდ, პირველ ყოვლისა, უნდა გავაცნობიეროთ, რომ ხუდონჰესის არსებული პროექტი დამუშავებულია გასული საუკუნის 80-იან წლებში, პროექტირების იმდროინდელი ნორმებისა და სტანდარტების შესაბამისად და ვერ პასუხობს ჰესების მშენებლობის თანამედროვე მოთხოვნებს, ვერ უძლებს საზოგადოების კრიტიკას. აღიარებული ფაქტია, რომ ახლანდელი ნორმები ნაკლებად ითვალისწინებდა გარემოს დაცვის საკითხებს. ამიტომ, მას შემდეგ, რაც წინა პლანზე წამოიწია ბუნებასა და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების საკითხებმა, თვით რუსეთშიც მოხდა იმდროინდელი პროექტების გადაფასება ეკოლოგიური მიზანშეწონილობის მხრივ. კარგი მაგალითია მდ. ტუნგუსზე მშენებარე ტურუხანჰესის ისტორია (უროკი ოდნოი ექსპერტიზი, „ნაუკა ი ჟიზნ", №8, 1993). ამ ჰესის მშენებლობით, ბუნებაზე მიყენებული ზარალი პროექტში შეფასებული იყო 8 მილიონ მანეთად, სისტემური ეკოლოგიური შეფასებით კი ზარალმა შეადგინა 9 მილიარდი მანეთი – განსხვავება 1000-ჯერ მეტი! შესაბამისად, მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილების პრეზიდიუმმა მიიღო ჰესის პარამეტრების მნიშვნელოვანი ცვლილების გადაწყვეტილება. აღნიშნულის მსგავსად, ხუდონის პროექტიც „უნდა მოვარგოთ დღევანდელ რეალობას".

სტატიის ავტორებს, წლების განმავლობაში, შეხება გვქონდა ხუდონჰესის პროექტთან და მისი საინჟინრო მომსახურება ჩვენთვის სამსახურებრივი მოვალეობა იყო. 2007 წელს ენერგეტიკის სამინისტროს შევთავაზეთ ქვემოთ წარმოდგენილი „ ხუდონჰესის განხორციელების ახალი სქემა". სქემა ითვალისწინებს ხუდონჰესის პროექტის გადაწყვეტას, დამოუკიდებელი საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საერთო ფონზე და არა მხოლოდ ენერგეტიკული ეფექტურობის ნიშნით. კერძოდ:

- კაშხალი და წყალსაცავი გადატანილია ენგურის ვიწრო ხეობაში, მდ. ნენსკრას შესართავიდან ზემოთ 630 მ. ნიშნულზე. ამით ხაიშის დასახლება რჩება „ხელუხლებელი" და იხსნება პროექტის მიმართ საზოგადოების უარყოფითი დამოკიდებულების „მთავარი მიზეზი".
- თავიდან ვიცილებთ სამი ხეობის (მდ. ენგურის, ნენსკრას და ხაიშურას) დატბორვას, რაც ეკოლოგიური თვალსაზრისით გაცილებით მომგებიანი ვარიანტია.
- შეთავაზებულ აგილზე არსებობს საუკეთესო ტოპო-გეოგრაფიული და გეოლოგიური პირობები, კარგი გეომეტრიული მახასიათებლების კაშხლის ასაშენებლად.
- ახალი სქემის მიხედვით, შესაძლებელია, რომ გამოყენებული იქნეს უკვე დაწყებული მიწისქვეშა ნაგებობები, წყალი მიიღოდებული იქნეს სადაწნევო გვირაბით (ენგურჰესის სადაწნევო გვირაბის მსგავსად) და საერთოდ, მშენებლობა განხორციელდეს საქართველოში უკვე ცნობილი და პრაქტიკულად აპრობირებული მეთოდით.

**„ახალ სქემასთან" დაკავშირებით, საინტერესოა აღინიშნოს, რომ:**

1. 2005 წელში სქემა გავაცანით ხუდონჰესის პროექტით დაინტერესებული ფირმების ფინანსთა და ლამაიერის წარმომადგენლებს მათი ხაიშში ყოფნის დროს, რომლებმაც დაადასტურეს ვარიანტი, როგორც ალტერნატივის მიზანშეწონილობა და შემდგომ შესწავლის საჭიროება და რაციონალური გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელი პირობა.

2. 2006 წელს, საპროექტო ფირმა „შტუკეს" მოწვეულმა სპეციალისტმა განიხილა მდ. ენგურზე ჰესების მშენებლობის ახალი შესაძლო 5 ვარიანტი, მათ შორის ხუდონის არსებული პროექტი და ახალი სქემა. თითოეული ვარიანტი შეფასდა 25-კითხვიანი ტესტით. შედეგების შეჯამებით გამოვლინდა, რომ ყველაზე მეტი ქულა დაიმსახურა წარდგენილმა ახალმა სქემამ.

3. 2007 წელს „ახალი სქემა შევთავაზეთ" ენერგეტიკის სამინისტროს, რომელმაც იგი განსახილველად გადაუგზავნა ენერგეტიკისა და ენერგეტიკულ ნაგებობათა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს და ენერგეტიკის ეროვნულ აკადემიას. სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა სქემა საინტერესოდ მიიჩნია და საჭიროდ ჩათვალა მისი შემდგომი შესწავლის გაგრძელება. ეროვნულმა ენერგეტიკულმა აკადემიამ კი გამოაგზავნა 8 წევრის აზრი, რომლებმაც ახალი სქემის განხილვა არ მიიჩნიეს საჭიროდ (ძირითადად მშენებლობის ხანგრძლივობის გაზრდის მიზეზით).

ბოლო დღეებში გავრცელდა ინფორმაცია, გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ, ხუდონჰესის პროექტთან დაკავშირებით ამერიკელი სპეციალისტების დაქირავების თაობაზე. რაც არ მიგვაჩნია სწორ მიდგომად. დაგვემოწმება საქმეში ჩახედული ყველა, ვინც იცის, რამდენი უცხოელი პირი და ორგანიზაცია იყო მოწვეული ხუდონისა და ნამახვანის პროექტებთან დაკავშირებით და რა მივიღეთ! რამდენი დრო და ფული დაიკარგა უქმად, რამდენი წუხილია გამოთქმული საერთოდ მინისტრების ასეთი მარტივი მიდგომების გამო (ფიქრი ყველაზე ძნელი საქმეა საქართველოში, „ბიზნესი და ეკონომიკა", №16 – სექტემბერი, 2007).

ჩვენ, სტატიის ავტორები, ენერგეტიკის სფეროში ვმუშაობთ ბოლო ორი ათეული წლის განმავლობაში ინჟინრის პოზიციაზე. ამიტომ, კარგად ვიცით, რა ცოდნა და გამოცდილებაა დაგროვილი განახლებადი ენერგეტიკის (ჰიდროენერგეტიკის) და ენერგეტიკული კომპლექსის ახალი ტექნოლოგიების სფეროში (ცნობისათვის: ენერგეტიკის სამინისტროსა და საქენერგოგენერაციაში არსებობდა ახალი ტექნოლოგიების, მცირე ჰესების და არატრადიციული ენერგეტიკის დეპარტამენტები). აქვე გაგიაზროთ ის უნიკალური გამოცდილება, რომელიც ქვეყანაში დაგროვდა ენგურის და სხვა დიდი ჰესების მშენებლობა-ექსპლუატაციის ნახევარსაუკუნოვან პერიოდში და ალბათ დაგვეთანხმებით, რომ ხსნილი საკითხის გადაწყვეტების შემთხვევაში, შევძლებთ თვითონ გავერკვეთ, „როგორი და როგორ უნდა აშენდეს ხუდონჰესი". ამასთან დაკავშირებით, თუ შენს სახით გთავაზობთ ჩვენს ხედვას.

1. მთავრობამ, დაქირავებული ექსპერტების (და არა უბრალოდ და უპასუხისმგებლო კომისიების) საშუალებით და ადგილობრივ თვითმმართველობასთან შეთანხმებით, უნდა განიხილოს და გადაწყვიტოს, პრინციპულად რომელ სქემას აირჩევს: არსებულ პროექტს – ხაიშის გასახლებით და სამი ხეობის დატბორვით, თუ „ახალ სქემას" – ხაიშის შენარჩუნებითა და საერთოდ სვანეთის მოსახლეობის ადგილზე დასაქმებით. ეს განხილვა უნდა მოხდეს რეგიონის საერთო სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პერსპექტივების ფონზე. შესაბამისად, ფიგურალური როლი უნდა მიენიჭოს ადგილობრივი თვითმმართველობის (საზოგადოების), ეკონომიკის, ენერგეტიკის, გარემოს დაცვის, ჯანდაცვისა და სხვა სამინისტროების პოზიციებს.

2. შერჩეული სქემის ტექნიკური პარამეტრების (სიმძლავრე, წყალსაცავის მოცულობა) განსაზღვრა მოხდება ენერგოსისტემის მოსალოდნელი (პერსპექტივაში შესაძლო) მუშაობის რეჟიმიდან გამომდინარე. აქ გათვალისწინებული უნდა იქნეს ენერგობაზრის, ელექტროგადაცემისა და ცენტრალური სადისპეტჩეროს პოზიციები, თუ როგორ როლს მიანიჭებენ ხუდონჰესს საერთო ენერგეტიკულ სისტემაში, შიგა და გარე ენერგობაზარზე.

3. მთავრობამ (შესაძლოა საპარტნიორო ფონდმა) ღია კონკურსის წესით უნდა დანიშნოს პროექტის მენეჯმენტის განმახორციელებელი ჯგუფი, რომელიც გაუძღვება პირველი ეტაპის სამუშაოებს: ნებართვები, ლიცენზიები, პროექტრებისა და კვლევა-ძიების სამუშაოები.

4. აღნიშნული სამუშაოების შემდეგ, მთავრობა, საერთაშორისო პრაქტიკაში მიღებული წესით დაამტკიცებს პროექტს. უკვე ცნობილი იქნება ჰესის მშენებლობის ღირებულება (პრაქტიკულად მისაღები სიზუსტით), ვადები, გამომუშავებული პროდუქციის (ელენერგიის) რეალიზაციის ბაზარი და სხვა, ინვესტორისათვის საინტერესო საკითხები.

5. შეირჩევა მშენებლობის გენერალური კონტრაქტორი და დაიწყება ჰესის მშენებლობის მოსამზადებელი სამუშაოები. მხოლოდ ამის შემდეგ უნდა გამოცხადდეს ინვესტორის მოწვევა (ინვესტორი შეიძლება იქნეს რამდენიმე, წილის მაქსიმუმ 30%-ის ფლობით).

ჩვენი აზრით, ზემოთ აღწერილი გზით შეიძლება, რომ განხორციელდეს ხუდონჰესისა და სხვა სახელმწიფო მნიშვნელობის პროექტები წარმატებულად, საქართველოც გამოიღებს ღირსეული პარტნიორი და ყველა პროექტში ჩვენი სახელმწიფო ინტერესებიც იქნება გათვალისწინებული.

პ.ს. ავტორები სიამოვნებით მიიღებენ სტატიასთან დაკავშირებით გამოხმაურებებს და ინტერესით ჩაერთვებიან დისკუსიაში.

**სიმონ ბახტურიძე, ინჟინერი – ენერგეტიკის დარგში მუშაობის 18-წლიანი გამოცდილებით.**

**სიმონ ზარამიძე, ინჟინერი – საერთო მუშაობის სტაჟი – 40 წელი, ხოლო ენერგეტიკის დარგში – 21 წელი.**

**ვახტანგ კოპაძიძე – ინჟინერ-ენერგეტიკოსი, ენერგეტიკის დარგში მუშაობის 41-წლიანი გამოცდილებით.**

# „კიდევ 49 წიგნი, რომელიც უნდა წაიკითხო, სანამ ცოცხალი ხარ“

## „მედია პალიტრა“ ახალ პროექტს იწყებს

ნათია ხურცილავა

„მედია პალიტრა“ აგრძელებს პოპულარულ სერიას „50 წიგნი, რომელიც უნდა წაიკითხო, სანამ ცოცხალი ხარ.“ „მედია პალიტრის“ კრეატიული დირექტორის მარიკა დარჩიას განცხადებით ამჯერად, პროექტი – „კიდევ 49 წიგნი, რომელიც უნდა წაიკითხო, სანამ ცოცხალი ხარ“, მრავალრიცხოვანი მკითხველის თხოვნით გრძელდება.

წიგნების რაოდენობა 100-მდე გაიზარდა 50 წიგნს პლუს ბიბლია და კიდევ 49 წიგნი. პროექტი „ასი წიგნი თქვენს თაროზე“ 11 მარტიდან აიღებს სტარტს.

„კიდევ 49 წიგნი, რომელიც უნდა წაიკითხო, სანამ ცოცხალი ხარ“ პროექტის პირველი ტომი ერიხ მარია რემარკის „ჟამი სიცოცხლისა და ჟამი სიკვდილისათი“ იწყება.

აღნიშნული პროექტის პრეზენტაცია გუშინ პრესისთვის სტამბა „კოლორში“ მოეწყო. პრესტურის წარმომადგენლებმა თავად მიიღეს მონაწილეობა პროექტის პირველი ტომის შეფუთვაში.



**მარიკა დარჩია, „მედია პალიტრის“ კრიატიული დირექტორი:**

– სამი წლის წინა, ეს ძალიან მნიშვნელოვანი და პოპულარული საერთაშორისო პროექტი გადავწყვიტეთ, რომ საქართველოშიც ყოფილიყო. ამ პროექტს საზღვარგარეთ ასე ჰქვია: „50 წიგნი, რომელიც უნდა წაიკითხო, სანამ გარდაიცვლები“. ჩვენ, როდესაც აღნიშნულ პროექტს შევუერთდით, გადავწყვიტეთ, რომ სახელწოდება უფრო გაგვეკეთილშობილებინა და დავარქვით „50 წიგნი, რომელიც უნდა წაიკითხო, სანამ ცოცხალი ხარ.“ პროექტი მოქალაქეების გამოკითხვის შედეგზეა დაფუძნებული. ეს არის ლიტერატურული მეხსეიერების სარკე, რომელიც იმ დროს აქვს ამ თუ იმ ქვეყნის საზოგადოებას. პროექტი 10-15 წლის შემდეგ მეორდება, რომ ნათელი იყოს ლიტერატურული გემოვნების ცვლილება. ჩვენი ქვეყნის ლიტერატურული მეხსიერება და გემოვნება უკვე აისახა 50 წიგნში, რომელიც უკვე მკითხველის ხელთ არის.

– ***რამ განაპირობა ახალი პროექტი?***

– ძალიან დიდმა მოთხოვნილებამ, რომელიც მკითხველშია. დიდი მოთხოვნა იყო ბიბლიაზე. ვერ გავკადნიერდებოდით და ბიბლიას ამ რიგითობაში ვერ ჩავსვამდით. საპატრიარქოსთან გამართული კონსულტაციის შემდეგ გადაწყდა ბიბლია ცალკე გამოგვეცა, როგორც მთავარი წიგნი. მკითხველის მოთხოვნით გადაწყდა, რომ იგივე ავტორების სხვა ღირებული ნაწარმოებებიც გამოგვეცა და გადავწყვიტეთ გამოსულიყო სერია: „კიდევ 49 წიგნი, რომელიც უნდა წაიკითხო, სანამ ცოცხალი ხარ.“ გამოვიდა „100 წიგნი შენს თაროზე“. ეს პროექტი დღეიდან ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებისკენ იწყებს სვლას. 11 მარტს, ახალი სერიის პირველ ტომს, ერიხ მარია რემარკის „ჟამი სიცოცხლისა და ჟამი სიკვდილისა“ გაზეთ „კვირის პალიტრასთან“ ერთად მიიღებს მკითხველი. გამოკითხვა გრძელდება, ეს ცოცხალი პროცესია, შესაბამისად ყველა ავტორი და ნაწარმოები ჯერ ცნობილი არ არის.

– ***გამოკითხვა როგორ ხდება?***

– ფეისბუქის გვერდის მეშვეობით, ასევე გაზეთში არსებული ამოსაჭრელი კუპონებითა და კუპონების დარიგებით, რომლის პასუხებიც ხდება ჩვენთვის ცნობილი. ასე მიმდინარეობს ეს პროცესი, რომელსაც მართლაც ელოდებიან ჩვენი მოქალაქეები. ამ პროექტმა ადამიანები რეალურად შემოატრიალა წიგნებისკენ.

– ***ჩვენი საზოგადოება ადეკვატური არის მსოფლიოს სხვა საზოგადოების გემოვნებასთან, ემთხვევა გამოკითხვის შედეგები?***

– ემთხვევა. ამ გამოკითხვებში ძირითად კლასიკაა წამყვანი. მსოფლიოს სხვა ქვეყნებშიც და ჩვენთანაც დასახელებულია მაგალითად შექსპირი, სერვანტესი, დანტე, გოეთე, ბალზაკი, დიუმა, რემარკი. ვიმეორებ, დიდი სხვაობა ამ გემოვნებაში არ არის თუ არ ჩავთვლით ეროვნულ ლიტერატურას, მაგალითად, ქართველისთვის ქართული ლიტერატურაა მნიშვნელოვანი, იტალიელისთვის იტალიური და ა.შ. ეს მართლაც არის მნიშვნელოვანი პროექტი, რომ ადამიანები წიგნისკენ შემობრუნდნენ.

**დავით ბეგიაშვილი, გამომცემლობა „კოლორის“ გენერალური დირექტორი:**

– ეს არის პროექტის „50 წიგნი, რომელიც უნდა წაიკითხო სანამ ცოცხალი ხარ“ გაგრძელება. პროექტი ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანია, როგორც მკითხველისთვის, ისე ჩვენი წარმოებისთვის, რადგანაც რამდენიმე ათეული ადამიანია დასაქმებული ამ პროექტის განსახორციელებლად. საკმაოდ მაღალი ტირაჟი აქვს აღნიშნულ პროექტს, რადგან მოთხოვნადია მკითხველებში. წიგნი გაზეთ „კვირის პალიტრასთან“ ერთად გამოდის. ამ წიგნების შეძენა გაზეთთან ერთად უფრო იაფი არის მომხმარებლისთვის და შესაბამისად მომხმარებელი მომგებიან პოზიციაშია. ერთად შეუძლია ადამიანს გაზეთი და თან მსოფლიო საგანძური შეიძინოს. ეს წიგნები იყიდება „ბიბლუსისა“ და სხვა წიგნის მაღაზიებში. უნდა აღვნიშნო, რომ ძალიან დიდი მოთხოვნაა რეგიონებში, შესაბამისად წიგნების დიდი ნაწილი, შეიძლება ითქვას, საქართველოს რეგიონებში გადის, რადგანაც, როგორც გითხარით, საკმაოდ დიდი მოთხოვნაა.

## ნიკოლოზ მჟავანაძე: „იპოთეკარების პრობლემა იუსტიციის სამინისტრომ უნდა მოაგვაროს“

დასაწყისი მე-4 გვერდზე

ბინები იყიდება და ის უცხო ქვეყნის მოქალაქეების ხელში გადადის. ესეც გასათვალისწინებელია, რადგან მალე შეიძლება საპროტესტო აქცია გაიმართოს. ზოგს რომ ჰგონია იქ 10-20 კაცი იქნება, 10-20 კაცია დაზარალებული, ძალიან ცდება. დაზარალებული ბევრია და საპროტესტო აქციაზე დიდი მასა იქნება წარმოდგენილი.

– ***ნაციონალებს კვლავ რომ გაემარჯვათ, ამ ადამიანებს რა ელოდათ?***

– რა თქმა უნდა, აქამდე ამ ხალხის ბინებიც გაყიდული და სხვა ბევრი უბედურებაც იქნებოდა. ახლა ლაპარაკობენ, კერძო ოპოთეკარებს კი არა, ესეც არასწორი პოლიტიკაა. ბანკებს ხელისუფლების მითითება სულაც არ სჭირდებათ, ისინი ისედაც გარკვეულ დათმობაზე მიდიან. სახელმწიფო ამ ხალხს ფულს კი არ ჩუქნის, შეიძლება ბანკის მეშვეობით მოხდეს ანგარიშსწორება. მთავარია გადაწყვეტილება იქნას მიღებული, თორემ სქემის მოფიქრება შესაძლებელია. ამას წინათ ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრა ყოფილა. ბიძინა ივანიშვილს ჰგონებია, რომ ეს ხალხი იმ ფულის ჩუქებას მოითხოვს. როგორც ჩანს, ბატონ ბიძინა ივანიშვილამდეც არ მიდის სწორი ინფორმაცია. როდესაც მან გაიგო, რომ ის ხალხი ითხოვს სესხებს და არა ამ თანხის ჩუქებას, იმ ადამიანებს დაჰპირდა, რომ ამ საკითხზე იმუშავებს.

# სანდრო თვალჭრელიძე: „საკონსტიტუციო ცვლილებებს მხარს სააკაშვილის დაუჭერს“

ნათია ხურცილავა

### ინტერვიუ პოლიტოლოგ სანდრო თვალჭრელიძესთან

– ***ბატონო სანდრო, „ნაციონალური მოძრაობა“, როგორც ვანო მერაბიშვილმა დააანონსა 19 აპრილს რუსთაველზე, ყოფილი პარლამენტის შენობის წინ აქციას გამართავს. რისთვის სჭირდება „ნაციონალურ მოძრაობას“ ეს აქცია?***

– დავით კლდიაშვილის „ბაკულას ღორები“ მახსენდება. სწორედ ამ ტიპის დაშინება განიზრახა „ნაციონალურმა მოძრაობამ“. ამ აქციით მათ პრევენციის მცდელობა აქვთ, ციხეში არ ჩასვან. ჩემი აზრით, ეს აქცია სწორედ ამის წინააღმდეგ არის მიმართული. ამავდროულად საზღვარგარეთ პიარი კარგად აქვთ აწყობილი და ფიქრობენ, რომ ამ ყველაფერს ერთიანობაში გამოიყენებენ. თუმცა, ორიოდე დღის წინ ჩვენმა ხელისუფლებამ, როგორც იქნა, საზღვარგარეთ ლობისტური კომპანიები დაიქირავა, რასაც ოქტომბრიდან ვითხოვდი. გასული კვირის პარლამენტის სხდომის მერე მეჩვენება, რომ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ მკვეთრად დაიხია უკან. ვფიქრობ, 19 აპრილს დემონსტრაცია, გნებავთ, მიტინგი დაარქვით, შედგება თუ არა დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. რომც შედგეს, 20 ათასი კაცის მეტს მთელ საქართველოში ვერ შეკრებენ.



– ***პარლამენტმა მიიღო რეზოლუცია, საგარეო კურსთან დაკავშირებით, რომელსაც უმცირესობის წევრებმაც კენჭი უყარეს. რას იტყვით, რისი ნიშანია?***

– ეს არის „ნაციონალური მოძრაობის“ მხრიდან ნელ-ნელა უკან დახევის ნიშანი. ვფიქრობ, საკონსტიტუციო ცვლილებებშიც მიიღებს უმცირესობა მონაწილეობას, მაგრამ ამავდროულად ცდილობს, რომ სახე არ დაკარგოს. უკვე რევანშიზმზე კი არა თვითგადარჩენაზეა საუბარი. ეს ყველაფერ მოჰყვა ბატონი ბიძინა ივანიშვილის განცხადებას, რომ ის ცდილობს, ოპოზიციას სახე შეუნარჩუნოს. სხვათა შორის, უმრავლესობა ამაზე წავიდა. საგარეო კურსთან დაკავშირებით უნდა ვთქვა, რომ კონსტიტუციაში არ უნდა ჩაიწეროს ჩვენი ქვეყნის საგარეო კურსი, რადგან სრული ნონსენსია კონსტიტუციის ცვლილება იმისდა მიხედვით, როგორი იქნება საგარეო კურსი. ამერიკის შეერთებული შტატების დამოუკიდებლობის დეკლარაციაში სულ 53 შესწორებაა შესული. მაგალითად, რეალობა შეიცვალა, ევროკავშირი დაიშალა და ყველაზე ძლიერი სახელმწიფო ჩინეთი გახდა და გადავწყვიტეთ ჩინეთისკენ ლტოლვა, რა კონსტიტუცია ვცვალოთ?! ვფიქრობ, დეკლარაციის სახით საგარეო კურსისა და ორიენტაციის დაფიქსირება კარგია, რომ ჩვენი ახლანდელი მიზანია ევროკავშირსა და ჩრდილო ატლანტიკურ ალიანსში გავწევრიანდეთ. რა იქნება 50–100 წლის შემდეგ, ჩვენ არ ვიცით. მაგალითად, საფრანგეთის კონსტიტუცია 1789 წლიდან ფაქტიურად უცვლელია. არ შეიძლება კონსტიტუცია ყოველდღიურ მოთხოვნებს, უტილიტარულ მიზნებს მოვარგოთ, რასაც ბატონი მიხეილ სააკაშვილი აკეთებდა ყოველ წუთიერად.

– ***საკონსტიტუციო ცვლილებების განსახორციელებლად „ქართულმა ოცნებამ“, ფიქრობთ, საკონსტიტუციო უმრავლესობა მოიპოვა?***

– ვფიქრობ კი. ბიძინა ივანიშვილმა კარგად თქვა, როდესაც განაცხადა, რომ მისთვის, როგორც პოლიტიკოსისთვის, კარგი იქნებოდა, რომ საკონსტიტუციო ცვლილებები ჩავარდნილიყო, რადგან „ნაციონალური მოძრაობისგან“ აღარაფერი აღარ დარჩებოდა, მაგრამ საქართველოს იმიჯისთვის, შიდა სიმშვიდისთვის აუცილებელია საკონსტიტუციო ცვლილებები. მეჩვენება, რომ ამ ცვლილებებს ბატონი სააკაშვილიც დათანხმდება.

– ***რა მოტივით?***

– სხვა გამოსავალი არ დარჩენია. წარმოიდგინეთ, კონსტიტუციის ცვლილებების ჩავარდნის შემთხვევაში, მიხეილ სააკაშვილმა 19 აპრილს მთავრობა და პარლამენტი დაშალოს, რა მოხდება. მათგან არავინ ცოცხალი არ დარჩება. ხალხის რისხვას შინაგან საქმეთა სამინისტრო ველარ შეაკავებს, როდესაც მილიონობით ადამიანი შევარდება პრეზიდენტის რეზიდენციაში, მაშინ ყველა უძლური იქნება. ცეცხლს ეთამაშებიან. „ნაციონალურ მოძრაობაში“ არიან ახალგაზრდები, კარგად მოაზროვნეები, რომლებსაც ხელები სისხლში არ აქვთ გასვრილი. არ მესმის, რატომ ამბობენ უარს თავიანთ მომავალზე? ძველმა სახეებმა მკვეთრად შეცვალეს რიტორიკა.

– ***კონკრეტულად?***

– მაგალითად, ნუგზარ წიკლაურმა, აკაკი მინაშვილმა. ამ ადამიანებმა გააცნობიერეს, რომ დეპუტატები ყოველთვის არ იქნებიან, დაცვა ყოველთვის არ ეყოლებათ, რომ ქუჩაში ველარ გაივლიან. ხალხის რისხვა საშინელებაა. როდესაც ხალხი ბრბოდ იქცევა, მისი ხელებისგან გადარჩენა თითქმის შეუძლებელია. ასეთი მოვლენები ისტორიას ახსოვს. როგორ დაფლითეს საფრანგეთშიც, გერმანიაშიც, ინგლისშიც, ამერიკის შეერთებულ შტატებში ადამიანები. მათ უნდა გააცნობიერონ, რომ პრეზიდენტის ამბიციებს კი არა, ხალხს უნდა ემსახურონ. ვფიქრობ, ისინი უკვე მიხვდნენ ამას. თვითგადარჩენის ინსტინქტმა მუშაობა დაიწყო. რაც უფრო ახლოვდება ოქტომბერი, მით უფრო ტკბილები გახდებიან. იგივე პროცესების ასახვა ხდება საზოგადოებრივ მაუწყებელშიც.

– ***ბატონო სანდრო, საზოგადოებრივი მაუწყებლის საკითხი უფრო რომ გავშალოთ. თქვენი აზრით, რა მოვლენებს აქვს ადგილი?***

– სამეურვეო საბჭო ცხადია უნდა შეიცვალოს და თავისუფალი ადამიანებით დაკომპლექტდეს და არა პოლიტიკურად ანგაჟირებული ხალხით. არც „ქართული ოცნების“ წარმომადგენელი არ უნდა იყოს და არც „ნაციონალური მოძრაობის“ არ უნდა იყოს ბორდში წარმოდგენილი.

– ***არსებობს მოსაზრება, რომ საქართველოსნაირი პატარა ქვეყნისთვის საზოგადოებრივი მაუწყებელი დიდი ფუფუნებაა. თქვენი პოზიცია როგორია?***

– აბსოლუტური სისულელეა, რატომ არის ფუფუნება. საუბარია მეოთხე ხელისუფლებაზე. სამეურვეო საბჭოს წევრების არჩევნები უნდა მოხდეს და არა დანიშვნა. მე ეს მოდელი მომწონს. არჩევნები არის ერთადერთი მოდელი, რომელიც ყველაფრისგან გვიცავს.

– ***საკანონმდებლო ინიციატივით სამი წევრი ოპოზიციის მიერ უნდა იყოს წარმოდგენილი, სამი – უმრავლესობიდან, გამოდის, ეს მოდელი არ მოგწონთ...***

– საყოველთაო არჩევნები ჩემთვის უფრო მისაღებია. პოლიტიკურად არაანგაჟირებული უნდა იყოს, ეს არის მთავარი.

– ***საზოგადოებრივი მაუწყებლის დირექტორი როგორი წარმოგიდგენიათ?***

– დირექტორი ძალიან გამჭრიახი და გამოცდილი უნდა იყოს. მტკიცე ფსიქიკა უნდა ჰქონდეს და რაც მთავარია, თავისუფალი უნდა იყოს ყოველგვარი პოლიტიკისგან. საქართველოს ვერ შეცვლით, ან ერთი პარტიიდან დაურეკავენ, ან მეორიდან. ბატონი ბიძინა არ დარეკავს, მაგარამ რომელიმე დეპუტატმა შეიძლება დარეკოს. ამიტომ ვამბობ, რომ მტკიცე ფსიქიკისა და ძალიან გამოცდილი უნდა იყოს.

– ***როგორი ტელევიზია უნდა იყოს საზოგადოებრივი მაუწყებელი?***

– საზოგადოებრივი მაუწყებლიდან საქართველოს მოქალაქეებმა ნიუსი უნდა მოისმინონ. ოპოზიციაც და უმრავლესობაც თანაბრად უნდა იყვნენ წარმოდგენილი. ასევე ყველა ადამიანს უნდა შეეძლოს თავისი აზრის დაფიქსირება. დიდი ფილოსოფია არ გვჭირდება, ვნახოთ საფრანგეთის პირველი არხი, ბრიტანული ბი-ბი-სი, სადაც ეს ყველაფერი შესანიშნავად არის. ასეთ ტელევიზიებში პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლებს ძალიან იშვიათად ეძახიან, ასეთ ტელევიზიებში გამოცდილი სამოქალაქო ფიგურებია წარმოდგენილი. რაც შეიძლება ნაკლები პოლიტიკა უნდა მოდიოდეს საზოგადოებრივი მაუწყებლიდან. სამოქალაქო ტელევიზია უნდა იყოს, სადაც ქვეყნის იდეოლოგია, სოფლის პრობლემები, ეროვნული მემკვიდრეობა, განათლება, კულტურა, სპორტი იქნება წამყვანი და არა უგემოვნო თოქშოუები.

– ***მივიღებთ ასეთ საზოგადოებრივ მაუწყებელს, თუ ეს ყველაფერი მორიგი მცდელობაა, რომელიც განწირულია?***

– რა თქმა უნდა, იდეალურს ვერ მივიღებთ, მაგრამ ამისკენ სწრაფვას თუ დავინახავ, კმაყოფილი ვიქნები. წინააღმდეგ შემთხვევაში, როდესაც გადასახადებს გადავიხდი, ვიტყვი: გამოიყენეთ ყველგან, გარდა საზოგადოებრივი მაუწყებლისა.

– ***სხვათა შორის, ნიჰილისტური დამოკიდებულება არის გარკვეულ წრეებში...***

– ყველაფერს თავისი უნდა მიეზღოს. რასაკვირველია, იქნება ნიჰილისტური დამოკიდებულება. საზოგადოებრივმა მაუწყებელმა უნდა დაამტკიცოს გამოსწორებისკენ მზაობა.

# რაში სჭირდება ქუთაისს კოლხური შადრევანი

როლანდ ხოჯანაშვილი
„ახალი თაობის“ იმერეთის ბიურო

**პირველი სიტყვებიდანვე შეიძლება მიხვდეთ, რომ ტკბილად საკითხავი არ იქნება ის, რასაც ახლა შემოგთავაზებთ. ქუთაისელი ბაღისკიდელები ხუმრობენ: ეს რა გვიყო „ოცნებამ“, გვქონდა იმედი, რომ ან გუბაზი გახდებოდა მილიონერი, ან კიდევ კოლხური შადრევანი გაგვილამაზებდა ქუთეისის ცენტრსო.**

გუბაზის მილიონების შოვნისა რა მოგახსენოთ, მაგრამ პრემიად წოდებული გაორმაგებული ხელფასი კი აუღია ქუთაისის მაჟორიტარს, რომელსაც არცერთი შუამდგომლობა არ დაუკმაყოფილა ქალაქის თვითმმართველობამ—ესეც კოჰაბიტაცია იმერულად! რამდენად ნორმალურია, ვერ გეტყვით, მაგრამ ანომალიურად ვთვლი იმას, რომ ქალაქის შემოსავლების 85% იხარჯებოდეს ბიუროკრატიული აპარატის ხელფასებად. დანარჩენი 15 % ქუთაისის რომელ სფეროს რამდენად ეყოფა, ძნელად გასაგები არ უნდა იყოს.

ფაცაფუცით აგებული შენობები საქართველოს პრეზიდენტის მისვლისთანავე იხსნებოდა, იწყებდა ფუნქციონირებას და მალევე საღათას ძილს ეძლეოდა მერე. ქუთაისის ცენტრში, დავით აღმაშენებლის მოედანზე „კოლხური შადრევანი“ გაიხსნა, ძალიანაც ლამაზადაც ჩუხჩუხებდა მასზე წყალი, მაგრამ რამდენხანს, ეს უკვე აღარ იკითხოთ!

პრეზიდენტს სცოდნია მისი ერთ-ერთი თიკუნი და ამაყადაც გააკეთა განცხადება: „მე, როგორც შადრევან პირველი, ამ შადრევანს ვანიჭებს უპირატესობას და ის ჩემი ყველაზე საყვარელი შადრევანი იქნება!“ 2012 წლის 2 მაისი გახლდათ, ქუთაისქალაქობის დღესასწაული. ამ რიცხვიდან კი 1 ოქტომბრამდე დიდი დრო იყო და იმისი პროგნოზიც ძნელი გახლდათ, რომ უძლეველი „ნაცმოძრაობა“ დაიძლეოდა. სხვათაშორის, ამ პარტიის და უკვე კარგა ხნის წინ პოლიტიკური მოუსავლეთის გზას გაყენებული „მოქკავშირის“, „აღორძინებისა“ და „კომუნისტური პარტიის“ ზედმეტი წარმოდგენა თავის უძლეველობაში ხომ არ ღუპავს პოლიტიკურ გაერთიანებებს? კალიგულასაც ეგონა, რომაელებს ერთი თავი რომ ჰქონოდათ (ან კისერი), ადვილად მოჰკვეთდა, მაგრამ ზემოთნახსენებ პარტიებს სისხლისღვრისა ერიდებოდათ და მხოლოდ კისრისმოღრეცვით ან ტვინისარევითაც ფრიად კმაყოფილი დარჩებოდნენ. ახლა პარტისტორიას თავი დავანებოთ და 700 ათასიან შადრევანს მივუბრუნდეთ. ქალაქის თვითმმართველობის ბიუჯეტიდან წასული თანხა კოლოსალურია, მაგრამ „კოლხური შადრევანი“ ვერ შადრევნობს. შადრევანი მხოლოდ რამდენიმე თვის განმავლობაში მუშაობდა. მას სახელმწიფო ფირმა „მშენებელი 2011“ აშენებდა, თუმცა მერიას ობიექტის მიღება-ჩაბარების აქტი დღემდე არ აქვს და კომპანია სამუშაოების გაჭიანურების გამო ყოველდღიურად 3 500 ლარით ჯარიმდება. 200 დღის შემდეგ, წესით, სერვერი ფირმა იმავე თანხით დაჯარიმდება, რამდენიც თვითმმართველობამ გადაიხადა.



„ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე მამუკა მღვდელაძე ამბობს, რომ დაახლოებით ას მუშას, რომლებიც იყვნენ „კოლხური შადრევანის“ აგებაზე დასაქმებული, ხელფასებს თვეობით უგვიანებდნენ და შანტაჟის ქვეშ ჰყავდათ. ეს ერთი მხარეა, რომელზეც დავა შეიძლება და სხვა საკითხია კიდევ არქიტექტურა. მოევრორემონტებული ბაგრატის ტაძრიდან გადმოხედვისას „ბაღის კიდემდე“ თვალსაწიერს კომუნისტურ ეპოქამდე არაფერი ეფარებოდა თურმე, მერე ბაღსა და ბაგრატს შორის ერთი მაღლივი შენობა „წააგრძელეს“ და პირველი დარტყმა ქალაქის ცენტრის ანსამბლს მაშინ მიაყენეს. იქ, სადაც ახლა „კოლხური შადრევანია“, იმ ადგილას კათედრალური ტაძარი ყოფილა, რომელიც 1871 წელს უკურთხებიათ და „სობოროს“ ეძახდნენ რუსული ენის გავლენით („იმპორტულის“ ათვისებაში, ვთვლი, რომ ბადალი არ გვყავს, ასე, რომ არც ბარბარიზმების იმპორტის ნაკლებობას განვიცდით, ტრადიციულად). არსებობს ფოტო, რომელიც ნათლად გამოხატავს საერთოკომუნისტურ აქციას—ტაძრიდან ჯვრის ჩამოგდებას. ტაძარი, რომელიც საკმაოდ მასშტაბური ყოფილა, თეატრის აგების მოტივით დაანგრიეს (ლადო მესხიშვილის სახელობის დრამატული თეატრი 1955 წლის 5 ნოემბერს გაიხსნა), ცენტრალური მოედნის შუაგული დანგრეული ტაძრის ნაცვლად ლენინის ძეგლით იწონებდა თავს, მერე—სტალინის მონუმენტით, რომელსაც ხრუშოვის პერიოდმა დემონტაჟი გაუკეთა (საინტერესოა, ქუთაისის ლითოპონის ქარხნის იაფფასიანი საღებავი თუ შეასხეს დემონტაჟამდე „სტალინს?!“). 1995 წელს ნასტალინარ ადგილას დავით აღმაშენებლის ძეგლი დაიდგა. ამ ძეგლის დადგმა ჩემს სტუდენტობას დაემთხვა, მაგრამ როგორც ქრონიკულმა (უფრო სჯობია, თუ ვიტყვი—პერმანენტულმა) ოპოზიციონერმა გავაპროტესტე ედუარდის ვითომპატრიოტული აქტი. ვბუზღუნებდი, რა ეძეგლება ქუთაისს, ცენტრალური ქუჩებიც კი ძროხების მიერ იყო „ოკუპირებული“ და სანაგვე ურნებში კისერგადაგრძელებულებნი ათასგვარ „აჯაფსანდალს“ იტენიდნენ ფაშვში. საერთო შიმშილობისა და სიდუხჭირის ფონზე ამაყი ძეგლი კიდევ უფრო საცოდავს ხდიდა ერთ დროს ქართული ავტოწარმოების ფლაგმანის მოსახლეობას. მოკლედ, გახსნაზე არ წავედი, არც დემონტაჟისას მოუკლავს ვინმეს თავი, ვიქნებოდი თუ არა იქ. ძეგლთა გადატანა-გადმოტანით სახელგანთქმული ხელისუფლება სულაც არ დარდობდა ხალხის აზრს და არც არქიტექტურის მთლიანობის პრინციპს დაგიდევდა. მთავარი იყო სიტყუაი ცდენილი პირისაგან მიხეილისა და ასრულება, თუნდაც უხარისხოდ, მოგვარებულად ითვლებოდა. პარტიულ გემოვნებაზე (რას ვერჩი ამ პარტიასაც, ბარემ გაბედულად ვთქვა—მიხეილ საკაშვილის გემოვნებაზე უფრო) მორგებული შადრევანი 30 კოლხური ქანდაკებით ისეა ამოვარდნილი არქიტექტურული კონტექსტიდან, როგორც თავგადალურჯებული ბაგრატის ტაძარი. ისე, „კოლხურ შადრევანს“ 2,5 მეტრამდე სიმაღლის ჭავლი უნდა აესროლა, ხოლო განშლა 95 მეტრამდე ეწერა „პირველითგან“, ახლა კი მშრალზე გარიყული თევზივითაა საბრალოდ. თურმე ნუ იტყვით და შიდაფილტრებიც დასასუფთავებელია, ქანდაკებებიც გასალაქია, მაგრამ ამ კოჰაბიტაციის დროს ვის სცხელა მისთვის? ცალკე თვითმმართველობას გულს უწუხებს თოფურიძის გამოხდომები, ბევრს და ტყუილად ხარჯავთო, ცალკე მოსახლეობას უნდა ქუთაისის „მამებთან“ სხდომებზე დასწრება, მაგრამ ქუთაისის თვითმმართველობა მამინაცვლობასაც არ სწევს და რაღა უნდა ვილაპარაკოთ მეტი?!

ნაკლებად მჯერა, რომ „კოლხური შადრევანი“ დიდ დროს მოათევს ქუთაისის ცენტრში. ტაძრის აღებიდან მოყოლებული დავითის მერნის „გადარეკვით“ ცნობილი ადგილი ალბათ შადრევანსაც უმტკივნეულოდ მოიცილებს ოდესმე, მაგრამ ის გრანდიოზული თანხა რომ განიბნა იუდას ვერცხლივით, იმაზე პასუხისმგებელი იქნება ვინმე? თავის დროზე, ვინ იცის, რამდენი ქუთათურის პრობლემა მოიხსნებოდა ამ თანხით!

ამას ერთიც დავუმატოთ: თუ ზრდილობიანი იმერელივით ქუდმოხდილი ბაგრატის ტაძრის ნაცვლად გვაქვს კინაღამ ლიფტიანი რეკონსტრუქცია (იქნებ —დეკონსტრუირება უფრო) და თვალი შეეჩვია, იქნებ „დამხრჩვალ“ შადრევანსაც შევეგუოთ. შეგუება, ასე თუ ისე, გაძლებისა არ იყოს, კი გვაქვს გენეტიკაში!

# „რუსეთთან დიალოგი ნატოზე უარის თქმას არ ნიშნავს“

როლანდ ხოჯანაშვილი
„ახალი თაობის“ იმერეთის ბიურო

**„ახალ თაობას“ ესაუბრა თავდაცვისა და უსაფრთხოების საკითხების ექსპერტი თეონა აქუბარდია.**

***— ქალბატონო თეონა, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ყურადღების ცენტრში არაერთხელ მოექცა. ბოლო პერიოდში კი განსაკუთრებით გამწვავდა საკითხი თანხების ხარჯვის კუთხით. გაქვთ კონკრეტული მონაცემები ამ პრობლემასთან დაკავშირებით?***

— მოხარული ვარ, რომ როგორც იქნა დაიწყო გამომზეურება იმ ფაქტების, რაზეც მე, როგორც სამოქალაქო სექტორის წარმომადგენელი, ჟურნალისტები და რიგი სამხედრო ექსპერტები ვსაუბრობდით ამ ხნის განმავლობაში. სამწუხაროდ, იმ პერიოდში დიდი ყურადღება ამ საკითხებს არც საზოგადოების მხრიდან და მითუმეტეს, ხელისუფლების მხრიდან, არ ეთმობოდა. თავდაცვის რეფორმა მიჩნეული იყო როგორც ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულად იმ ხანად და ნებისმიერი კითხვა ამ თემაზე მტრულ კონტექსტში განიხილებოდა. უნდა გვახსოვდეს, რომ თავდაცვის ბიუჯეტი 2007-08 წლებში მილიარდ ლარზე მეტი იყო, ხოლო გამჭირვალობის დონე ამ თანხების განკარგვაზე ფაქტიურად არ არსებობდა. 2007 წელს, მახსოვს, თავდაცვისა და უშიშროების საკომიტეტო მოსმენაზე თავდაცვის მინისტრის მოადგილემ განაცხადა, რომ 1 მილიარდიანი ბიუჯეტის ნახევარი, 500 მილიონი, დახურული ინფორმაცია იყო და ამაზე ინფორმაციას ვერ მივიღებდით. სწორედ ამ პერიოდში მოხდა ძირითადად სამხედრო ინფრასტქრუტურის მშენებლობა და შეიარაღების შესყიდვა. მინისტრები უარს აცხადებნენ მედიასთან და საზოგადოებასთან თანამშრომლობაზე. საპარლამენტო კონტროლი, ფაქტიურად, არ ხორციელდებოდა ამ უწყებაზე. ისეთ გახმაურებულ საქმეებზეც კი, როგორიც ეს იყო ე.წ. ალვირესის საქმე, როცა ამერიკულ მედიაში იარაღის ვაჭრობის საქმეში საქართველოს სახელი ამოტივდივდა და ამერიკის ფედერალური სამსახურის წარმომადგენლები საქართველოშიც კი იყვნენ ჩამოსულები საკითხის შესასწავლად, ასევე ისრაელის კომპანია „ლბ სისტემთან“ დაკავშირებულ უპილოტო საფრენ აპარატების ირგვლივ ამტყდარი სკანდალი, როცა ქართული მხარე იძულებული იყო სასამართლო დავა შეეწყვიტა იმით, რომ მილიონობით ლარის გადახდა მოხდა ამ კომპანიისთვის ქვეყნის ბიუჯეტიდან და ბევრი სხვა ნაკლებად გახმაურებული საქმეები, არის იმის მანიშნებელი, რომ პრობლემა არსებობდა. არ მახსენდება ფაქტი, რომ თუნდაც ამ საკითხების განხილვა მომხდარიყოს ნდობის ჯგუფის ფარგლებში, რომელსაც კანონით ევალებოდა ისეთი საკითხების შესწავლა, რომელიც საიდუმლოოებას განეკუთვნებოდა. ამასთან ერთად, რეალურად, კონტროლის პალატა არ ამოწმებდა თავდაცვის უწყებას და არცერთი დასკვნა 2007 წლიდან არ არის საჯარო საზოგადოებისთვის თავდაცვის სამინისტროში ჩატარებული აუდიტის შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ იყო აუდიტის გეგმაში ამ უწყების შემოწმება. შესაბამისად, მიუხედავად სამართლებრივი ბერკეტებისა, შეიძლება ითქვას, რომ პოლიტიკურ ნებამდე იყო დაყვანილი ეს ყველაფერი. სწორედ ეს მიზეზებია, რატომაც მოექცა თავდაცვის უწყების ყოფილი ხელმძღვანელობა კრიტიკის ქვეშ. ამასთან ერთად, ჩემთვის, როგორც მოქალაქისთვის საინტერესოა ამ თემების გამოძიების შედეგები, რამდენადაც ქვეყნის მთავარმა პროკურორმა განაცხადა, გამოძიების დასრულების შედეგად გამოიკვეთება პასუხისმგებელი პირები ფინანსურ დარღვევების საკითხებში.

თავდაცვის სამინისტრომ და საპარლამენტო კომიტეტის ხელმძღვანელმა ირაკლი სესიაშვილმა საკმარისზე მეტი ინფორმაცია მიაწოდა საზოგადოებას იმის შესახებ, თუ როგორ იხარჯებოდა საბიუჯეტო სახსრები და ვის ხმარდებოდა მილიონობით ლარი თავდაცვის უწყებიდან.

ასევე, არ შეიძლება, ცალკე არ გამოვყო ჯარში ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტები და იმჟამინდელი სამხედრო პოლიციის მუშაობა, რომელიც, როგორც გაირკვა, პოლიტიკურ იარაღად იყო გამოყენებული ყოფილი ხელისუფლების მხრიდან. პროკურატურაში გაკეთდა ამ ფაქტებზე განცხადებები და მნიშვნელოვანია, რომ საზოგადოებამ იცოდეს ამ ფაქტების შესახებ.

***— რა რეკომენდაციას მისცემდით ხელისუფლებას საქართველოს უსაფრთხოებისა და თავდაცვის საკითხებში ზოგადად? რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას უახლოეს მომავალსა და შემდგომ პერიოდში?***

— ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცება არ არის მხოლოდ ნატოს წინაშე აღებული ვალდებულება. მიუხედავად იმისა, რომ იყო პრობლემები თავდაცვის უწყებაში, საზოგადოება ყველა სოციოლოგიურ გამოკითხვაში მაღალ ნდობას უცხადებდა ჯარს. ვფიქრობ, ამ ნდობას სჭირდება გამართლება. პირველ რიგში მნიშნელოვანია მოხდეს შეცდომების ანალიზი, რომელსაც ჰქონდა ადგილი თავდაცვის რეფორმების მიმდინარეობისას ვარდების რევოლუციიდან საპარლამენტო არჩევნებამდე. ამის საჭიროებაზე ქვეყნის თავდაცვის მინისტრიც საუბრობდა არაერთხელ. იმისათვის, რომ გამოვასწოროთ შეცდომა, უნდა ვიცოდეთ, როგორ აღარ უნდა მოიქცეს ხელისუფლება ამა თუ იმ საკითხის გადაწყვეტაში. აქ დიდი როლი შეუძლია ითამაშოს სამოქალაქო სექტორმაც. მნიშვნელოვანია ასევე მედიის ყურადღების გააქტიურება ქვეყნის თავდაცვის სფეროში მიმდინარე რეფორმებზე და საზოგადოების ჩართულობას ენიჭება უკიდურესად დიდი როლი. რადგანაც უსაფრთხოება და თავდაცვა არ არის რომელიმე პოლიტიკური გუნდის საქმე, ეს მთელს მოსახლეობას და ქვეყანას ეხება.

რაც შეეხება კონკრეტულ რეკომენდაციებს, აგვისტოს ომის შემდგომ არ მომხდარა სტრატეგიული დოკუმენტების განახლება არსებული საფრთხეების ანალიზის საფუძველზე. 2011 წელს მხოლოდ ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის განახლება მოხდა. თავდაცვის უწყებას შესაქმნელი აქვს კანონით დადგენილი შესაბამისი სტრატეგიული დოკუმენტები, რომელიც ადეკვატურად ასახავს ქვეყნის წინაშე ახალ ამოცანებს. ამ კუთხით ცალკე გამოვყოფდი რეზერვის კონცეფციას, რომლის მზადებაც არსებული ინფორმაციით მიმდინარეობს გაერთიანებულ შტაბში. საკმაოდ დიდი კრიტიკის ობიექტი იყო წინა რეზერვის პროგრამა და ამიტომ აუცილებელია, გააზრებულად მოხდეს ამ საკითხის ფორმირება. საუბარი განსახორციელებელ რეფორმებზე ალბათ შორს წაგვიყვანს, რადგან საკითხების წრე საკმაოდ დიდია, თუმცა მთავარი მაინც ამ ყველაფერში არის გამჭირვალობა კანონის ფაგლებში, გამჭირვალობა და საზოგადოებრივი კონტროლი შეიარაღებულ ძალებზე. სწორედ ამ საკითხებში შეგვიძლია არასამთავრობოებს აქტიობა და მიუხედავად იმისა, რომ არც თუ ისე მრავალი ორგანიზაციაა უსაფრთხოების სექტორში, მიზნის მიღწევა ვფიქრობ, შესაძლებელია.



***— ბოლო პერიოდში მუდმივი ოპონირების საკითხია საქართველოს კურსი. თქვენი თვალთახედვით, ახალი ხელისუფლება ნატოსკენ არ მიისწრაფის? რით ახსნით „ქართული ოცნებისათვის“ რუსული ორიენტაციის იარლიყის მიწებების მცდელობას „ნაციონალური მოძრაობის“ მხრიდან?***

— საქართველოს საგარეო კურსზე აპელირება „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ჯერ კიდევ საარჩევნო პერიოდში დაიწყო. ეს იყო მათი მხრიდან საკმაოდ უნიჭოდ შესრულებული შავი პიარული სვლა, რომელმაც შედეგი ვერ გამოიღო, არჩევნების შედეგებს თუ გავითვალისწინებთ. გახსოვთ ალბათ სარეკლამო კლიპები და განცხადებები იმის შესახებ, რომ „ქართული ოცნება“ წარსულში დაგვაბრუნებდა, რომ ეს ძალა რუსეთიდან იმართებოდა და ა.შ. დღევანდელი ეს რიტორიკაც ამ ყველაფრის ასევე უნიჭო გაგრძელება მგონია. მთავარი რამ, რატომაც მოსახლეობის უმრავლესობა დასავლურ კურსს უჭერს მხარს არის დასავლური ღირებულებები: დემოკრატია, ადამიანის ფუნდამენტური უფლებები, სამართლიანობა. სწორედ ამ საკითხებში წინსვლის პირობა იყო წინასაარჩევნოდ დღევანდელი ხელისუფლების მხრიდან. უხერხულია, როცა საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენლები აცხადებენ იმას, რომ ისინი ამ ხნის განმავლობაში ქვეყანას დასავლური მიმართულებით ატარებდნენ, მით უფრო ახლა, როცა ბევრ რამეს ფარდა ეხდება და ვნახეთ, რა დემოკრატია შენდებოდა ქვეყანაში.

ახალმა ხელისუფლებამ არაერთგზის განაცხადა, რომ რჩება ერთგული ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის კურსის და აგრძელებს ნატოსთან აღებული ვალდებულებების შესრულებას. დამტკიცებულია ნატოსთან ყოველწყლიური სამოქმედო გეგმაც და ამ მხრივ მეტი პროგრესის იმედები არსებობს როგორც ნატოში, ასევე ქვეყნის შიგნითაც. მთავარი მოთხოვნა, რასაც წინასაარჩევნოდ ევროპა უყენებდა ქვეყანას, იყო თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები. ეს გამოცდა ქვეყანამ წარმატებით ჩააბარა. ამ შანსებს უნდა ახლა გამოყენება, რათა რეალურად წინ წავიდეს ქვეყანა, როგორც ნატოში ინტეგრაციის მრივ, ასევე მოახერხოს დემოკრატიული რეფორმების უზრუნველყოფა.

ის ფაქტი, რომ საქართველოს ხელისუფლებამ დაიწყო დიალოგი რუსეთთან, არ ნიშნავს იმას, რომ ნატოში სწრაფვას რაიმე საფრთხე ემუქრება. მინდა შეგახსენოთ, რომ ჩვენი სტრატეგიული პარტნიორი შეერთებული შტატები და დასავლელი პარტნიორები ყოველთვის მოუწოდებდნენ საქართველოს ხელისუფლებას რუსეთთან ურთიერთობების დალაგებას. რა თქმა უნდა, ილუზია იმისი, რომ ეს იოლი იქნება, არავის აქვს, თუმცა მნიშნელოვანია რომ ქვეყანამ განაგრძოს მუშაობა ორივე მიმართულებით.

# ვინ გაისვრის ახმეტელის თეატრში?

ეკა ირემაშვილი

ახმეტელის თეატრი პრემიერისთვის ემზადება, „გასროლა“ – ასე ეწოდება სპექტაკლს, რომელსაც ახალგაზრდა რეჟისორი გიორგი ქანთარია დგამს. დასი პრემიერას თეატრის სცენაზე 15, 16 და 17 მარტს გაითამაშებს. ახალგაზრდა რეჟისორი სპექტაკლს ნილ საიმონის პიესის „ხმები“-ს მიხედვით დგამს. გიორგი ცნობილი რეჟისორის ნუკრი ქანთარიას ვაჟია, ახმეტელის თეატრში კი მისი დებიუტია. სპექტაკლის მხატვარია აივენგო ჭელიძე, კომპოზიტორი – ლექსო ტურიაშვილი. წარმოდგენაში მონაწილეობენ თამარ ბეჟუაშვილი (კუკი კიუზაკი), მამუკა მაზავრიშვილი (ერნი კიუზაკი), გვანცა კანდელაკი (კრის გორმანი), კახა ჯოხაძე (კენ გორმანი), ჯაბა ჯაფარიძე (გლენ კუპერი), თამთა პატაშური (კესი კუპერი), ბექნუ ქაფიანიძე (ლენ განცი), ნატალია წურწუმია, სალომე წურწუმია (კლერ განცი).

პრემიერამდე რამდენიმე დღით ადრე სპექტაკლის რეჟისორი „ახალ თაობას“ ესაუბრა.

**გიორგი ქანთარია, რეჟისორი:**

– ეს სპექტაკლი ნილ საიმონის პიესის მიხედვითაა დადგმული და მასში არის დეტექტიური მომენტებიც. სპექტაკლი დღევანდელობას ეხმიანება, მიუხედავად იმისა, რომ ამერიკული ამბავია და მოქმედებაც ამერიკაში ხდება. ერთი შეხედვით უწყინარი ამბავია, არ არის მასში არანაირი ინტრიგა. პოლიტიკური წიაღსვლები არ გვაქვს წარმოდგენაში, მასში ამბავი ნიუ იორკის მერის მოადგილის შემთხვევაზეა. მოქმედება, მიმდინარეობს ნიუ იორკის მერის მოადგილის, ჩარლი ბროკის, სახლში. მისი ქორწინების ათი წლისთავზე საუკეთესო მეგობრები იკრიბებიან. მაგრამ მათ საზარელი სურათი ხვდებათ, ჩარლიმ თავში ტყვია დაიხალა. პანიკაში ჩავარდნილი სტუმრები ყველა ხერხს ხმარობენ, სკანდალის თავიდან ასაცილებლად, რადგან ყველა მათგანის კარიერა ჩარლიზეა დამოკიდებული. ისეთი ამბავია ამ პიესაში, თუ მაყურებელმა დაიწყო ყურება, არ არსებობს მოდუნდეს. თუ მაყურებელი მარტო იმისთვის მოვიდა, რაზე გაიცინოს, მაშინ დროს ტყუილად დაკარგავს. ამ სპექტაკლს ნამდვილად აქვს სათქმელი.

***– თქვენი დებიუტია ახმეტელის თეატრში?***

– დიახ. ეს ორმაგი პასუხისმგებლობაა.

***– ნერვიულობთ?***

– ნერვიულობის რა გითხრათ, მაგრამ პასუხისმგებლობა არის. იმედი მაქვს, რომ სპექტაკლი შედგება. თუ ხალხი გაერთობა, ისიამოვნებს და დადებითი ენერგიით დაიმუხტება, მაშინ გამოდის, რომ სპექტაკლმა სათქმელი თქვა.

***– ნილ საიმონის პიესასაც პირველად დგამთ?***

– კი. ნილ საიმონს პირველად შევეხე. კარგა ხანია წერს, მაგრამ ამ ბოლო დროს მისი შემოქმედების მიმართ უფრო გაჩნდა ინტერესი. კარგად წერს, კარგად აწყობს ურთიერთობებს პერსონაჟებს შორის, კარგად ფლობს დრამატურგიას, მთლიან ხაზს, რაც რეჟისორისთვის და მსახიობისთვის საინტერესოა, ძალიან მსუბუქი პიესები აქვს, მაგრამ ამ სიმსუბუქეში დამალულია სუფთა ადამიანური ტკივილები, რომელსაც სხვადასხვა კუთხეებში შეძრომის საშუალებას გაძლევს.

***– მოიყოლეთ ახმეტელის თეატრში თქვენი გუნდი, თუ მხოლოდ ამ თეატრის შესაძლებლობებით შემოიფარგლეთ?***

– არავინ მომიყვანია, არც არავინ მომიწვევია, ყველა, ვინც ამ სპექტაკლზე მუშაობს, ახმეტელის თეატრის გუნდია. მგონია, ახმეტელის თეატრში არის იმის რესურსი, რომ სხვისი მოწვევა საჭირო არ იყოს.

***– ის ფაქტორი, რომ მამა ნუკრი ქანთარია საკმაოდ ცნობილი ხელოვანია, თქვენზე მოქმედებს?***

– ამას ვერაფერს ვუზამ. არის პასუხისმგებლობა, იმიტომ, რომ უფრო მეტი მომეთხოვება, სურვილიც მეტია, მაყურებლის დაკვირვებულობა და ინტერესიც მეტია.

***– მამას რჩევებს ეკითხებით თუ გირჩევნიათ აბსოლუტურად დამოუკიდებლად იმუშაოთ?***

– როცა მჭირდება, რჩევებს ვეკითხები. ის არის ადამიანი, რომელსაც უფრო მეტი გამოცდილება აქვს, თან კარგი და ბევრი სპექტაკლები აქვს დადგმული, ამიტომ, როცა ასეთი ადამიანი გყავს სახლში, რჩევა უნდა ჰკითხო.

***– მოვა მამა პრემიერაზე?***

– იმედი მაქვს, რომ მოვა. თუკი აქ იქნება, აუცილებლად მოვა.

***– კრიტიკისთვის მზად ხართ?***

– კი, როგორ არა. საერთოდ მგონია, რომ კრიტიკამ ცოტა უნდა ამოიწიოს და წამოვიდეს წინა პლანზე. ამჟამად მიჩუმებულია და ასე არ შეიძლება. ჩვენთან უნდა დამკვიდრდეს კულტურა, რომ პრემიერის შემდეგ გამოიცეს კრიტიკოსებისა და თეატრმცოდნეების პუბლიკაციები და მაყურებელმა ისწავლოს მათი წაკითხვა, სპექტაკლზე აზრის ჩამოყალიბება და თეატრში სიარული. თუმცა ისეც არ მინდა მოხდეს, რომ ვიღაცა კრიტიკოსის ან თეატრმცოდნის პუბლიკაციის გამო სპექტაკლზე არ მოვიდეს. ეს უნდა იყოს აბსოლუტურად ობიექტური შეფასება, რომ მაყურებელს გაუჩნდეს ინტერესი თეატრში სიარულისა. მაყურებელი თეატრალურ ცხოვრებაში კიდევ უფრო აქტიურად უნდა იყოს ჩართული. კრიტიკოსები და თეატრმცოდნეები არიან მედიატორები, რომლებმაც უნდა შექმნან გარკვეული აზრი სპექტაკლთან დაკავშირებით. ახლა, იცით, როგორ არის? მაყურებელი აკეთებს დასკვნებს, ერთმანეთს ურჩევენ, ეს კარგია, ის ცუდია, ამაზე წადი ბევრს იცინებ და ასე შემდეგ. სინამდვილეში ასე არ უნდა ხდებოდეს, მაყურებელი კი არა, პროფესიონალი ადამიანი უნდა ურჩევდეს მაყურებელს სპექტაკლებზე სიარულს. იმდენი ვიტირე და იმდენი ვიცინეთი არ უნდა ისაზღვრებოდეს, სპექტაკლი კარგია თუ ცუდი. მაყურებელი ზედაპირული შეგრძნებებისთვის არ უნდა




დადიოდეს თეატრში, ჩემი სურვილია მაყურებელი უფრო ღრმად ჩაუკვირდეს სპექტაკლის არსს და მარტო სიცილი და ტირილი არ უნდა იყოს გადამწყვეტი. მთელ მსოფლიოში ასეა, ჩვენთან კი ყველაფერი პირიქით ხდება. ბროდვეის მთელი პროდიუსერები ელოდებიან სამ ადამიანს, სამ კრიტიკოსს, თუ რას დაწერენ ამა თუ იმ სპექტაკლზე. ისიც მესმის, რომ კრიტიკოსს შეიძლება სპექტაკლი არ მოეწონოს და უარყოფითი რეცენზია დაწეროს, მაყურებელს კი პირიქით, ძალიან მოეწონოს სპექტაკლი და მასობრივად იაროს. ძალიან მინდა ჩვენთანაც იყოს ეს კულტურა, მეტი დაიწეროს სპექტაკლების შესახებ ყოველგვარი პიროვნული და პირადული ანგარიშის გაწევის გარეშე.

***– მაყურებელთა ნაწილი ალბათ იმიტომ მოვა, რომ ნუკრის შვილის ნამუშევარი შეაფასოს.***

– ოღონდ თეატრში მოვიდნენ, იარონ და არ აქვს მნიშვნელობა, რის გამო მოვლენ. ამისთვისაც მზად ვარ, სპეციალურად იმის გამო მოვლენ, რომ ნუკრი ქანთარიას შვილი ვარ. თუ არ მოეწონებათ და იტყვიან, რომ არ ვარგა, მაგრამ დამისაბუთებენ, რატომ არ ვარგა, გავიგებ; მაგრამ ყოველგვარი მიზეზის გარეშე, ერთი ხელის მოსმით ნამუშევრის მიწასთან გასწორებაც არ მომწონს. ჩემთვის მთავარია, რაც შეიძლება ბევრმა ხალხმა იაროს თეატრში.

***– მამა-შვილს ერთობლივ სპექტაკლზე გიფიქრიათ?***

– არა და არა!

***– რატომ?***

– ორი რეჟისორი ერთ სპექტაკლზე დიდი ტანჯვაა, ძალიან რთულია.

***– გეშინიათ და ამას იმიტომ ამბობთ?***

– არაფრის მეშინია, უბრალოდ, მართლა რთულია ორი რეჟისორის ერთ სპექტაკლზე მუშაობა. აქ ნუკრიზე არ არის საუბარი, ყველა ადამიანს თავისი მიმართულება და ხედვა აქვს, თუკი ერთ რეჟისორს ასეთი კონცეფციის ჩამოყალიბება სურს, მეორეს ეს ყველაფერი სულ სხვაგვარად ეჩვენება, ამიტომ ორი რეჟისორი ერთ სპექტაკლზე მუშაობისას მართლა რთულია.

***– სად იქნებით პრემიერის დროს?***

– კულისებში დგომა არ შემიძლია, ვერც პარტერში დავჯდები მაყურებლებში, მთლად სახლშიც ვერ დავრჩები. არ ვიცი სად ვიქნები, ალბათ ან რადისტთან დავჯდები ან გამნათებელთან.

***– მერე მათ არ უშლით ხელს?***

– არა, არავის ვუშლი ხელს, პირიქით, ძალიან ჩუმად ვზივარ ხოლმე. საერთოდ მიმაჩნია, რომ როცა მთავრდება გენერალური რეპეტიცია, იქ მთავრდება რეჟისორის ფუნქცია. ამის მერე რეჟისორი უნდა გავიდეს სცენიდან და ასპარეზი დაუთმოს მსახიობებს.

***– მკაცრი რეჟისორი ხართ?***

– არ ვიცი, არა მგონია, ეს ალბათ უფრო მსახიობებს უნდა ჰკითხოთ. ვცდილობ, რომ მკაცრი არ ვიყო. ვითხოვ იმ ვალდებულებების შესრულებას, რაც მსახიობს მოეთხოვება, ყველაფერს ვაკეთებ იმისთვის, რომ სპექტაკლი შედგეს. რასაც მე თვითონ არ ვაკეთებ, იმას არც მსახიობებისგან ვითხოვ.

***– რეჟისორთა ნაწილი ამბობს, რომ სპექტაკლი პრემიერის შემდეგ მათი აღარ არის და უკვე მსახიობთა კუთვნილებაა. მართლა ასეა?***

– კი, ასეა. სპექტაკლი მერე თავისით განაგრძობს განვითარებას, რეჟისორი მის დაბადებაში მონაწილეობს, მერე უკვე სპექტაკლი მაყურებელთან ერთად ვითარდება. ძალიან ბევრი რამ არის მსახიობებზე დამოკიდებული, რამდენ ხანს იცოცხლებს ესა თუ ის სპექტაკლი. მერე უკვე რეჟისორის ჩარევას აზრი არ აქვს.

***– მიუხედავად იმისა, რომ პრემიერა ჯერ არ გქონიათ, კიდევ დაბრუნდებით ახმეტელის თეატრში სამუშაოდ?***

– სადაც მეტყვიან, ყველგან მივალ და ახმეტელის თეატრშიც ისევ სიამოვნებით დავბრუნდები. თუკი შემოთავაზება იქნება, აუცილებლად მოვალ და ამ თეატრში სპექტაკლს კიდევ დავდგამ.

**თამაზ გოლაძე, ახმეტელის თეატრის მმართველი:**

– აი, გვაქვს კიდევ ერთი პრემიერა, რომელიც ნილ საიმონის პიესის მიხედვით იდგმება ახმეტელის თეატრში. სამი წლის განმავლობაში ჩვენ მოვახერხეთ, რომ ზოგადად თეატრში მაყურებლის პრობლემა, რომელიც ყველგან არსებობს, მოვაგვარეთ და მაყურებელი თეატრისკენ მოვაბრუნეთ. ეს იმით შევძელით, რომ ის სპექტაკლები, რომელიც ჩვენ გვაქვს, ალბათ დაემთხვა მაყურებლის ხედვას და მაყურებელი თეატრში დადის. კიდევ ერთხელ გავიმეორებ, ეს საკმარისი არ არის.

***– როგორ არჩევთ პიესებს პრემიერისთვის?***

– თეატრი არ უნდა დარჩეს ყოველთვის ერთ სიმაღლეზე, თეატრი სულ წინ და წინ უნდა მიდიოდეს და მაღლა და მაღლა წევდეს თავის შემოქმედებით თამასას. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ამ სამი წლის განმავლობაში თეატრმა ეს ნამდვილად მოახერხა. თეატრი არის ფენომენი, სადაც განვითარება ხდება და ამავე დროს მაყურებლის აღზრდაც ხდება. აკუტაგავათი ჩვენ პირველი ეტაპი დავასრულეთ.

***– ეს რას ნიშნავს?***

– ეს იმას ნიშნავს, რომ ახლა უნდა ვიაროთ უფრო მაღლა და მაღლა, უნდა ვავარჯიშოთ, უფრო სწორად გავხედნოთ გემოვნებაც, ნიჭიც, გულმოდგინებაც. ჩვენ ყოველთვის უნდა ვიაროთ ხარისხისკენ. ჩვენი სურვილი სურვილად დარჩება, თუ ამის კარგად მიტანას ვერ მოვახერხებთ მაყურებლამდე. შეიძლება ფსიქოლოგიური სპექტაკლები, დრამა აღიზიანებდეს მაყურებელს, თუმცა მიზეზები ჩვენთვის უცნობია. ამის კიდევ ერთი მაგალითია ის, რომ ნილ საიმონს შევეჭიდეთ, იმიტომ, რომ მისი პიესები საკმაოდ მრავალმხრივია, წესით, მისი ხელწერა მისაღები უნდა იყოს მაყურებლისთვის. ამის შემდეგ გვინდა, რომ ჩამოყალიბებული მიმართულება იყოს იმისთვის, რომ მაყურებელიც ჩვენს გვერდით გაიზარდოს. სულ ვერიდები ამ სიტყვას „გაიზარდოს“, რადგან

გაგრძელება მე-10 გვერდზე

**ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები**

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

იცხოვრეთ მომავალისთვის.
უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.




**საბანკო რეკვიზიტები:**
ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)

## განცხადებები

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

● მოვამზადებ ინგლისურში სკოლის მოსწავლეებს ვარკეთილის მიმდებარე ტერიტორიაზე. ტელ: 595-471-479.

● კოსმეტოლოგი ლამარა თოდუა თავის მრავალწლიანი გამოცდილებით და მამა-პაპური გამოცდილების მცენარეული რეცეპტურით კანის უამრავ დაავადებას არჩენს. სახის კანის გაწმენდა ხდება ახალი და ძველი რეცეპტურით. მყავს ათასობით მადლიერი პაციენტები. ვარჩენ გამონაყარს, მეჭეჭებს, დამწვრობას, სებორეას, ჰაიმორიტ-ფრონტიტს, თმის ცვენას, ქერტლს, ერთი პროცედურით ვაშორებ ტილებს. ვარჩენ სოკოს, ქავილს, ჩაზრუნებულ ფრჩხილებს, მაზოლებს, ძირმაგარებს, ნაიარევს. ახალნამშობიარებ დედებს მოვურჩენ მასტიტს, გამაგრებას. ნებისმიერი კანისთვის ვამზადებ მკვებავ და დამცავ კრემებს. მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ დ№1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა – ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-15-63-33 ექიმი ქ-ნი ნინო.

● ნანა ქიბროწაშვილი. შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მოგიხსნით ნეგატიური ზემოქმედებით გამოწვეულ პრობლემებს ფოტოსურათით: აგრესიას, აკვიატებას, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, აფორიაქებას, დაძაბულობას, შებოჭილობას, აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას.მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. ტელ: 599-498-423

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

# დინამო და დილა მდევრებს მოსწყდნენ

**ხანგრძლივი პაუზის შემდეგ განახლდა ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში. უცხო არავისთვის არ არის, რომ გუნდები უკვე ექვსეულებად დაყოფილები გააგრძელებენ ბრძოლას. რეგულარულ სეზონში პირველ ექვსეულში გასული გუნდები მედლებისა და ევროსაგზურებისთვის ბრძოლას აგრძელებენ, ხოლო ქვედა ექვსეული ელიტაში დარჩენისთვის.**

**დინამო (თბ) – ზუგდიდი 3:0**

**თბილისი. დინამო არენა**

1:0 ჩისკო (42), 2:0 ალვარო (64), 3:0 დვალი (74)

**დინამო:** ლორია, უსტარიცი, გ.კვარაცხელია, შაშიაშვილი, მილხრაუმი (ხმალაძე 82), გრაიციარი, ძარია, მერებაშვილი, ალვარო (კოტო 77), ჩისკო (ტატანაშვილი 86), დვალი

**ზუგდიდი:** ძაგანია, აფაქიძე, აკობია, აქუბარდია, რ.ონიანი, შონია, შ.ლომია (ფარჯიკია 74), გუგუჩია (ეხვაია 69), სიხარულია (ხუბუა, 59), წურწუმია, კუკავა

თბილისის „დინამომ“ სეზონებს შორის შესუსტებულ „ზუგდიდთან“ გამარჯვება რომ არ გაუჭირდებოდა, ფაქტი იყო და ასეც მოხდა. მიუხედავად იმისა, რომ ზამთარში „დინამოც“ საკმაოდ გაძლიერდა, გოლები იმ ფეხბურთელებმა გაიტანეს, რომლებიც რეგულარულ სეზონში ქმნიდნენ ამინდს დედაქალაქურ გუნდში.



ისედაც შესუსტებული „ზუგდიდი“ თბილისში კიდევ უფრო დიდი დანაკლისით ჩავიდა. ტრავმის გამო გუნდს დავით გამეზარდაშვილი, ირაკლი ქობალია და ვაკო ტყემალაძე დააკლდა, ხოლო გიორგი გაბედავა დისკვალიფიცირებული გახლდათ. თუმცა, „ზუგდიდმა“ ბოლომდე იბრძოლა, მაგრამ...

„დინამო“ უპირატესობას თავიდანვე იგდო ხელთ და მე-10 წუთზე გიორგი მერებაშვილის პასის შემდეგ ჩისკომ არაზუსტად დაარტყა. მალევე გრაიციარის საჯარიმოდან დარტყმული ბურთი ლაშა ძაგანიამ კუთხურზე გადააგდო.

23-ე წუთზე მომენტი ოდიშელებსაც ჰქონდა – ლუკა გუგუჩიამ ჩინებულად ითამაშა, რამდენიმე დინამოელი გააბითურა, მაგრამ ბოლოს არც კარში დაარტყა და არც კარგ მდგომარეობაში მყოფ თანაგუნდელებს მისცა პასი.

მალევე „დინამოს“ კიდევ ერთხელ გადარჩა. გივი კვარაცხელიამ უკან დაუგორა ბურთი ლორიას, რომელმაც მისი მოგერიება დააყოვნა და ლაშა კუკავას ცოტა დააკლდა, რომ მეტოქის შეცდომით ესარგებლა.

32-ე წუთზე, ალვარომ საჯარიმოს გარედან ძლიერად დაჰკრა და ბურთი ზედა ძელს მოხვდა. იქვე გოლის გატანა მერებაშვილმა სცადა, მაგრამ ზუგდიდელები ამჯერად მცველმა, ნიკა აფაქიძემ იხსნა.

ტაიმი ალბათ უგოლოდ დასრულდებოდა, რომ არა წინა ეპიზოდის გმირის, აფაქიძის შეცდომა. ზუგდიდელთა მცველს ბურთის მოგერიების ფეხზე აეჭრა, რომელიც ძაგანიამ გაჭირვებით მოიგერია, იქვე კი ჩემპიონატის ბომბარდირი ჩისკო იყო ჩასაფრებული და ანგარიში გახსნა.

სტუმრებს ანგარიშის გათანაბრება პირველივე ტაიმში შეეძლოთ, როდესაც „დინამოს“ მცველებმა ბურთი ცუდად ამოიტანეს საჯარიმოდან, მაგრამ როინ ონიანმა ეს მომენტი ვერ გამოიყენა.

მეორე ტაიმის დასაწყიში ჩისკოს ორჯერ შეექმნა მომენტი, თუმცა მთლად სახიფათოსაც ვერ დავარქმევთ,

საპირისპიროდ, „ზუგდიდს“ შეეძლო ანგარიშის გათანაბრება, მაგრამ მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა ლევან აკობიამ ბურთი კარს ააცილა.

„ზუგდიდი“ დაისაჯა – 64-ე წუთზე, ალვარომ საშუალო მანძილიდან ძლიერად დაჰკრა და – 2:0.

ათ წუთში ყველაფერი გადაწყდა. გიორგი შაშიაშვილის პასს ჩისკო კი ასცდა, მაგრამ დვალი დაუხვდა – 3:0.

**მატჩის შემდეგ**

**ელგუჯა ქომეთიანი:**

– თავიდანვე ვიცოდით, რომ რთული თამაში გვექნებოდა. „დინამო“ ლიდერია და ჩემპიონობასთან ახლოს არის. ჩვენ დიდი დანაკლისი გვქონდა. ძნელია, როდესაც ისეთი ფეხბურთელები არ გყავს, როგორიც ქობალია, გამეზარდაშვილი, ტყემალაძე და გაბედავა არიან. მიუხედავად ამისა, ფარხმალის დაყრას არ ვაპირებდით. მოედანზე ერთი ქალაქის გუნდი იყო. რთულია, ისეთი პატარა ქალაქისთვის, როგორც ზუგდიდია, „დინამოსთვის“ წინააღმდეგობის გაწევა. თუმცა, ბიჭებმა იბრძოლეს და იყო მომენტები, რომელთა გამოყენებაც, მეტი გამოცდილების შემთხვევაში, შეიძლებოდა. შორს ვარ იმ აზრისგან, რომ მოგება შეგვეძლო, ან უპირატესობა გვქონდა. უბრალოდ, გოლის გატანის შემთხვევაში, თამაში უფრო დაძაბული იქნებოდა. „დინამოს“ დამსახურებულ გამარჯვებას ვულოცავ.

**დუშან უჰრინი:**

– იოლი მატჩი ნამდვილად არ იყო. ვფიქრობ, ჩემს ფეხბურთელებს კონცენტრაცია ჰქონდათ დაკარგული. ჩვენთვის ყველა თამაში რთული იქნება. გოლის გატანის შემდეგ, შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი თამაში დავიჭირეთ. პირველ ტაიმთან შედარებით, მეორეში ჩვენი თამაში ვითამაშეთ. რთულია, როდესაც მეტოქე გუნდი 9 ფეხბურთელით დაცვაში დგას. ამ თამაშში ჩვენთვის მთავარი შემაფერხებელი, ეს მომენტი იყო. შემდეგი მატჩი გორის „დილასთან“ გვაქვს. იმედია, უკეთ ვითამაშებთ და მოვიგებთ.

**დილა – ზესტაფონი 2:1**

**გორი. თენგიზ ბურჯანაძე**

1:0 გვალია (22პ), 2:0 ჟუნიორი (29), 2:1 გორგიაშვილი (74)

**დილა:** შეყრილაძე, ალადაშვილი, კვახაძე, თოთაძე, კვირკველია, გვალია (ბეჭვაია 80), მაისურაძე, კახელიშვილი, ჯიშკარიანი (გორელიშვილი 64), ილურიძე, ჟუნიორი (მოდებაძე 75)

**ზესტაფონი:** კვასხვაძე, თორნიკე გრიგალაშვილი, ლოსანო, კაჭკაჭიშვილი, თემურ ღონღაძე, იელიჩი, პეტკოვი (აფციაური 60), რეკრუკი (გორგიაშვილი 46), რაჟამაშვილი (ენდელაძე 71), კუტალია, დემელი

ორი განსხვავებული ტაიმი – ასე შეიძლება დაიწყო ეს თამაში. პირველი გორელების იყო და სოლიდური სხვაობითაც გავიდნენ შესვენებაზე. პირველი გოლი ლაშა გვალიამ პენალტით გაიტანა, ხოლო ნათან ჟუნიორმა უკვე სათამაშო სიტუაციიდან მოახერხა იგივეს გაკეთება.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ზესტაფონელები აქტიურად აპროტესტებდნენ დანიშნულ პენალტს და ახლაც იგივე აზრზე რჩებიან.

მეორე ტაიმში „ზესტაფონმა“ თამაშს უმატა და ინიციატივა სრულად იგდო ხელთ, თუმცა მხოლოდ ერთხელ მოახერხა თორნიკე გორგიაშვილმა გატანა, რაც ქულის წასაღებადაც არ აღმოჩნდა საკმარისი.

**ტორპედო – ჩიხურა 0:0**

**ქუთაისი. ცენტრალური**

**ტორპედო:** მიგინეიშვილი, ზ.ჭელიძე, გ.ონიანი, გ.გურული, ტაბატაძე, გიგაური, ტუღუში (ე.გრიგალაშვილი 64), ბერიაშვილი, კუხიანიძე (ფირცხალავა 77), დოლიძე, საბანაძე (ფანცულაია 77)

**ჩიხურა:** სომხიშვილი, ოდიკაძე, საჯაია, რეხვიაშვილი, კაშია, დილმელაშვილი, ლომაშვილი, დ.ბოლქვაძე (ქიმაძე 84), კირკიტაძე, დეკანოიძე (გ.ჩხეტიანი 46), ნ.კვასხვაძე (გოცირიძე 75)

**გაძევება:** ჩხეტიანი (85)

რომ იტყვიან 6-ქულიანი მატჩი იყო. თუ „ტორპედო“ მოიგებდა, უახლოეს მდევარს საგრძნობლად მოწყდებოდა, წაგების შემთხვევაში კი ადგილს გაცვლიდა მეტოქეს.

მატჩი დაძაბული და საინტერესო გამოდგა. გუნდებმა მცდელობის მიუხედავად ვერ მოახერხეს ერთმანეთისთვის გოლების გატანა და მათ შორის სხვაობა იგივე დარჩა.

**სატურნირო ცხრილი, 1-6 ადგილებისთვის:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო (თბ) | 23 | 17 | 4 | 2 | 66:19 | 55 |
| 2.დილა | 23 | 17 | 1 | 5 | 38:16 | 52 |
| 3.ტორპედო | 23 | 14 | 4 | 5 | 41:18 | 46 |
| 4.ჩიხურა | 23 | 13 | 5 | 5 | 35:21 | 44 |
| 5.ზესტაფონი | 23 | 11 | 4 | 8 | 31:22 | 37 |
| 6.ზუგდიდი | 23 | 10 | 5 | 8 | 27:29 | 35 |

**მეტალურგი – კოლხეთი 1:0**

**რუსთავი. ფოლადი**

ფიფია (16პ)

**მეტალურგი:** ბედიაშვილი, ახალკაცი (ინწკირველი 75), გავაშელიშვილი, დობროვოლსკი, ფიფია (მენთეშაშვილი 59), მახვილაძე, ქავთარაძე (რაზმაძე 25), საჯაია, ხაბელაშვილი, სუხიაშვილი, სიხარულიძე

**კოლხეთი:** ხარშილაძე, კილასონია, ჩადუნელი, გოგონია, კაკულია (ქარცილავა 88), როსინი, ჯანაშია, ბუხაიძე, კვანტალიანი, გულუა, ფარულავა

**გაძევება:** მენთეშაშვილი (76)

ფოთელები ისევ რჩებიან ერთადერთ მოუგებელ გუნდად მიმდინარე ჩემპიონატში. მატჩის ბედი კი მე-16 წუთზე გადაწყდა, როდესაც გოგი ფიფიამ პენალტით გამარჯვების გოლი გაიტანა.

76-ე წუთზე კი, შეცვლაზე შესული ზურაბ მენთეშაშვილი ფოთელთა მცველმა საჯარიმოში წააქცია, არბიტრმა თერთმეტმეტრიანი არ დანიშნა, რასაც მენთეშაშვილის პროტესტი მოჰყვა და ეს გამოხტომა გაძევებად დაუჯდა.

**ვიტ ჯორჯია – სიონი 0:2**

**მცხეთა. მცხეთა პარკი**

0:1 ჰაიდუჩეკი (39), 0:2 ცხადაია (55)

**ვიტ ჯორჯია:** დაუშვილი, ხურცილავა, ადამაძე, ტეტუნაშვილი, კასრაძე, მჭედლიშვილი, დავლაშელიძე, გურეშიძე, ღიბრაძე, ჯანელიძე, კუხალეიშვილი (გაბრიჩიძე 69)

**სიონი:** ბობლიაშვილი, ორბელაძე, სვანიძე, ფოფხაძე, ელიავა, ჰაიდუჩეკი, ცხადაია (ქემოკლიძე 74), ლექვთაძე, უგრეხელიძე (გოგატიშვილი71), მიკუჩაძე (ჯოჯუა 68), ახალაია

ბოლნისელები საკმაოდ მოძლიერებულნი შეხვდნენ სეზონის განახლებას. „სიონმა“ ეს თასზეც დაამტკიცა და „ვიტ ჯორჯიასაც“ სტუმრად მოუგო. პირველი გოლი კუთხურს მოჰყვა – მიკუჩაძის ჩაწოდებული ბურთი ჯერ ახალაიამ მიიღო, შემდეგ კი ჰაიდუჩეკმა გააგრძელა და ანგარიში გახსნა. ეს ბოლნისელთა პოლონელი ლეგიონერის პირველი გოლი გახლდათ ჩვენს ჩემპიონატში.

55-ე წუთზე ვიტელი მცველების მოგერიებულ ბურთს, ცხადაიამ დაახლოებით 30 მეტრიდან ძლიერად დაჰკრა, ბურთი ერთ-ერთ მცველს მოხვდა, მიმართულება შეიცვალა და – 0:2.

**მერანი – დინამო (ბთ) 0:1**

**მარტვილი. ცენტრალური**

მაკარიანი (52)

**მერანი:** შეროზია, მელიავა, ქარქუზაშვილი, იობაშვილი, ხუბუა, დიდავა, ბუკია (გუგუნაშვილი 66), ფონიავა, კუჭუხიძე (კრისი 77), ს.ლომია, მეგრელაძე (ტორონჯაძე 60)

**დინამო:** პიცანი, ფარტენაძე, ლობჟანიძე, ჟვანია, გაბუნია (კიკნაველიძე 46), მახარაძე, მუჯირი, მაკარიანი (დიასამიძე 88), კოშკაძე, ა.გურული, ჩიმაკაძე (ბაციკაძე 83)

52-ე წუთზე ნოდარ კიკნაველიძის ჩაწოდებულ ჯარიმას, თითქმის ცარიელ კართან კარენ მაკარიანი დაუხვდა და ზღვისპირელთათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის გოლი გაიტანა.

**სატურნირო ცხრილი, 7-12 ადგილებისთვის:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მეტალურგი | 23 | 10 | 4 | 9 | 22:26 | 34 |
| 2.მერანი | 23 | 7 | 2 | 14 | 23:37 | 23 |
| 3.ვიტ ჯორჯია | 23 | 5 | 7 | 11 | 15:31 | 22 |
| 4.სიონი | 23 | 5 | 6 | 12 | 16:38 | 21 |
| 5.დინამო (ბთ) | 23 | 4 | 4 | 15 | 23:47 | 16 |
| 6.კოლხეთი | 23 | 0 | 4 | 19 | 11:44 | 4 |

**ბომბარდირები:** ჩისკო (დინამო თბ) – 18 ბურთი; ჯაბა დვალი (დინამო თბ) – 17; საბა ლომია (მერანი) – 13; ალვარო (დინამო თბ) – 12; ნიკა საბანაძე (ტორპედო) – 10.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# ბორჯღალოსნებმა აბუ დაფასებულად გააცილეს

**საქართველო – ესპანეთი 61:18**

**საქართველო:** ლაშა ხმალაძე, თამაზ მჭედლიძე, დავით კაჭარავა, მერაბ შარიქაძე, ირაკლი მაჩხანელი, მერაბ კვირიკაშვილი, ირაკლი აბუსერიძე; ვასილ კაკოვინი, რეზო ბელქანია, დავით ქუბრიაშვილი, ლევან დათუნაშვილი, კონსტანტინე მიქაუტაძე, ვიქტორ კოლელიშვილი, მამუკა გორგოძე, დიმიტრი ბასილაია;



**მარქაფა:** ირაკლი ნატრიაშვილი, ზურაბ ჟვანია, დავით ზირაქაშვილი, გიორგი ჩხაიძე, შალვა სუთიაშვილი, ვაჟა ხუციშვილი, თედო ზიბზიბაძე, ბექა წიკლაური;

**ესპანეთი:** სესარ სემპერე, ჟულიენ გოია, კარლოს ბლანკო, ხაიმე ნავა, მატიას ტუდელა, კორი სიმპსონი, ხაუნ კერეტო; დავიდ გურგენიძე, ლასა უნაი, ხესუს მორენო, მეთიუ კუკი, ხესუს რეკუერდა, ხუან მაგუნასელაია, გლენ როლსი, ლიონელ პარდო;

**მარქაფა:** ავგუსტინ ორტისი, ჯო ჰატჩინსონი, ხუან ნავა, ჯეკი კარტერი, ნიკ მარშალი, ხუან ტუდელა, პაბლო ფეიხოო, ტომ პარკერი

საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე ევროპის ერთა თასის მე-4 ტურის მატჩი გამართა და ესპანეთის ეროვნული გუნდი სოლიდური ანგარიშით 61:18 დაამარცხა.

უნდა ითქვას, რომ ესპანელებთან მატჩი „ბორჯღალოსნებისთვის“ საუკეთესო გამოდგა მიმდინარე გათამაშებაში და მაყურებელს წინა ტურებში მიყენებული „წყენები“ დაავიწყეს.

გარდა იმისა, რომ „ბორჯღალოსნებს“ საკუთარი გულშემატკივრის თვალში რეაბილიტაცია სჭირდებოდათ, ძალიან მნიშვნელოვანი იყო ჯგუფში ლიდერობის შენარჩუნება. ეს ყველაფერი კი პრემიალური ქულითა და დიდი ანგარიშით უნდა მოეპოვებიათ.

რაც ყველაზე მთავარია, ესპანელებთან მატჩი ნაკრების რეკორდსმენი კაპიტნის ირაკლი აბუსერიძის გაცილების იყო და ცხადია, მასაც მაჟორულ ნოტაზე სურდა წასვლა. თანაგუნდელებმა კაპიტანს გული არ დაწყვიტეს და შესანიშნავი გაცილება მოუწყვეს.

მიუხედავად ზემოთ ჩამოთვლილი მოტივაციებისა, მატჩი ესპანელთა უპირატესობით დაიწყო და მე-6 წუთზე დანიშნული ჯარიმა კორი სიმპსონმა ზუსტად დაჰკრა. თუმცა, მალევე ჯარიმა უკვე ესპანელთა კარისკენ დაინიშნა და კვირიკაშვილმა ანგარიში გაათანაბრა – 3:3.

12-ე წუთზე ქართველები ისევ დაჯარიმდნენ – სიმპსონი ამჯერადაც უშეცდომო იყო ესპანელები ბოლოჯერ დააწინაურა – 3:6.

ათიოდე წუთში კვირიკაშვილმა ანგარიში გაათანაბრა და ამის შემდეგ მოედანზე ქართველები სრულად დომინირებდნენ.

25-ე წუთზე ირაკლი აბუსერიძისა და დავით კაჭარავას კონტრიერიში დიმიტრი ბასილაიამ ლელოთი დაასრულა, 3 წუთში კი, თამაზ მჭედლიძის, კოტე მიქაუტაძისა და მერაბ შარიქაძის აქტიურობას მეორე ლელო მოჰყვა. ჰორიზონტზე ის პრემიალური ქულა გამოჩნდა, რომლის მოპოვებაც ასე უჭირდა ჩვენს ნაკრებს.

კვირიკაშვილმა ორივე ლელო გარდასახა, რასაც ზედ კიდევ ერთი ჯარიმა დაურთო – 23:6.

თუმცა, ეს პირველი ტაიმის ბოლო აკორდი არ იყო. აი, ბოლო აკორდი კი, სწორედ ჩვენი კაპიტნის იყო, რომელმაც ჩვეულად გადაჰკიდა ბურთი ფრთაზე, სადაც სამი ქართველი ერთ ესპანელს შეატოვა და ლევან ხმალაძემ ლელოთი, ხოლო კვირიკაშვილმა რეალიზაციით ტაიმის ანგარიში დააფიქსირეს – 30:6.

მეორე ტაიმი ახალი დაწყებული იყო, როდესაც ჩვენებმა სასურველი პრემიალური ქულის აღება მოახერხეს. ჩვენებმა შეტევა მარცხენა ფლანგზე განავითარეს და ირაკლი მაჩხანელს მისი დასრულება არ გასჭირვებია. ნაკრებს მეხუთე ლელო ვასილ კაკოვინმა მოუტანა. „მეკომ“ რეალიზაცია ორივე ჯერზე გააცუდა – 40:6.

სოლიდური უპირატესობის შემდეგ ჩვენები ცოტა მოეშვნენ და მეტოქემ ეს მოდუნება არ გვაპატია – მატიას ტუდელისა და ზუსტი რეალიზაციის შემდეგ ანგარიში 40:13 გახდა.

63-ე წუთზე ტრიბუნებს ხანგრძლივი ოვაცია მოსწყდა. ეს არ იყო ან ლამაზი ლელთი, ან რაიმე დასამახსოვრებელი ეპიზოდით გამოწვეული. მოედნიდან საქართველოს ნაკრების კაპიტანი გავიდა, რომელმაც ეროვნულ გუნდში ბოლო მატჩი ჩაატარა.

67-ე წუთზე კი „ბორჯღალოსნებმა“ კაპიტნის პატივსაცემად შესანიშნავად გაათამაშეს ბურთი ხელდახელ. კვრიკაშვილი-შარიქაძე-ხმალაძის კომბინაცია ბასილაიამ დაასრულა, მეკომ ზუსტად გარდასახა – 47:13.

ესპანელებმა კიდევ ერთხელ გაიბრძოლეს, რაოდენ გასაოცარიც არ უნდა იყოს, ჩვენებს შერკინება მოუგეს და კიდევ ერთხელ შეაღწიეს ჩვენ ჩათვლის მოედანში, თუმცა გარდასახვა ვერ გამოიყენეს.



პასუხის გასაცემად ჩვენებს წუთზე მეტი არ დასჭირვებიათ – ამჯერად ლელო თამაზ მჭედლიძემ მიითვალა, ხოლო გარდასახვა ზუსტად ბექა წიკლაურმა დაარტყა – 54:18.

მჭედლიძემ ვერ მოისვენა და მატჩის ბოლო წუთზე ქართველთა იერიშს მეტოქის ჩათვლის მოედანთან ხუთ მეტრში შერკინება მოჰყვა. მასპინძლებმა იძალეს და ჩვენმა გარემარბმა ლელო დადო. ბექა წიკლაურმა რეალიზაცია ზუსტად დაარტყა და მატჩის საბოლოო შედეგი დააფიქსირა – 61:18.

მსაჯის საფინალო სასტვენის შემდეგ მიხეილ მესხის სტადიონზე შეკრებილმა გულშემატკივარმა და მორაგბეებმა ნაკრებიდან რეკორდსმენი კაპიტანი ირაკლი აბუსერიძეს გაცილება მოუწყვეს.

# დათო ტურაშვილის პიესას საჯაროდ განიხილავენ

ეკა ირემაშვილი

11 მარტს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში დათო ტურაშვილის პიესას „დოდოს მოლოდინში“ განიხილავენ. განხილვამდე პიესის საჯარო კითხვა გაიმართება, რომელსაც დისკუსია მოყვება. პიესა მწერალმა ქალთა მიმართ ძალადობის თემაზე შექმნა. დებატებში მონაწილეობას მიიღებენ ექსპერტები გენდერის საკითხებში თამარ საბედაშვილი და თათა ცოფურიშვილი.

დათო ტურაშვილის „დოდოს მოლოდინში“ მკითხველში დიდი მოწონებით სარგებლობს, უფრო მეტიც, მისი შეძენის მსურველიც ბევრია, რადგან წიგნი მცირე ტირაჟით გამოიცა და ელვის სისწრაფით გაიყიდა. დათო ტურაშვილი თავის ახალ ნაწარმოებში ამჯერად საბერძნეთში სამუშაოდ წასულ ქართველ ქალებზე წერს. „დოდოს მოლოდინის“ გარეშე დარჩენილი მკითხველი მოთმინებით ელოდება წიგნის ახალი ტირაჟით დაბეჭდვას, რომ დათო ტურაშვილის ახალი ნაწარმოები წაიკითხოს.

დათო ტურაშვილის პიესის „დოდოს მოლოდინში“ საჯარო განხილვა-დისკუსია გაეროს ერთობლივი პროგრამა „გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისათვის საქართველოში“ ფარგლებში შედგება.

გაეროს ქალთა ორგანიზაცია პარტნიორ ორგანიზაციებთან, მათ შორის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ერთად გენდერული კვირეულისადმი მიძღვნილ ღონისძიებებს გეგმავს. ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ კვირეულს უერთდება მარჯანიშვილის თეატრიც. თეატრი გაეროს ქალთა ორგანიზაციის მიერ ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ გენდერულ კვირეულს შეუერთდა. მარჯანიშვილის თეატრის მსახიობებმა ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ შექმნილი პიესა ,,სიზმარი“ გააცოცხლეს. სპექტაკლი 3 მარტს წარმოდგენილი იყო თელავში ვაჟა-ფშაველას სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში, 6 მარტს შალვა დადიანის სახელობის ზუგდიდის დრამატულ თეატრში და ამ უქმეებზე სპექტაკლი მარჯანიშვილის თეატრი სხვენზე გათამაშდა.

პიესა მარჯანიშვილის თეატრისა და გაეროს ქალთა ორგანიზაციის ხელშეწყობით გაეროს ერთიანი პროგრამის ,,გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისათვის საქართველოში“ ფარგლებში დაიდგა. ის ერთ-ერთია იმ 9 საუკეთესო პიესას შორის, რომელიც ქართველმა დრამატურგებმა ოჯახში ძალადობის თემატიკაზე შექმნეს.

სპექტაკლი ზურაბ პაპიაშვილის პიესის მიხედვით დაიდგა და მას „სიზმარი“ ეწოდება. სცენოგრაფი, მუსიკალური გამფორმებელი და რეჟისორი ნინო მაღლაკელიძე-შმიიტსია, ქორეოგრაფი – გია მარღანია. სპექტაკლში მონაწილეობენ ეკა ნიჟარაძე (ნანა), ონისე ონიანი (გურამი), ვალერი კორშია (მამა), ქეთი ცხაკაია (ლამარა) და ნინო წულაძე (ქეთი).

– გაეროს ქალთა ორგანიზაციისა და კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის ეს სპეციალური ინიციატივა მიზნად ისახავს საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებას ქალთა მიმართ ძალადობის, კერძოდ, ოჯახში ძალადობის შესახებ და ამ საკითხების ირგვლივ საზოგადოებრივი დისკუსიის ხელშეწყობას, – აცხადებენ მარჯანიშვილის თეატრში.

# ნუგზარ თუშიშვილის იუბილე სამებაში იზეიმეს

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ლეს გამართვა. ჩემმა მეგობარმა ირინა თურქიამ და სხვა ახლობელმა ადამიანებმა ითავეს სამების ახალგაზრდულ ცენტრში ჩემი შემოქმედებითი საღამოს მოკრძალებულად ჩატარება. ჩემი ნაწარმოებების სტილისტიკიდან გამომდინარე, მათ ჩათვალეს, რომ სასულიერო დაწესებულებაში გამართლებული იქნებოდა ამ ღონისძიების ჩატარება.



მოგეხსენებათ ჩემი შემოქმედება უფრო რელიგიური და ეროვნული მოტივებით არის აღსავსე. ალბათ ამიტომ, ჩემს გარეშე გადაწყვიტეს სამების ახალგაზრდულ ცენტრში ჩემი საღამოს გაკეთება და ბოლოს მეც დავთანხმდი.

***– ბევრია 60 წელი?***

– არ არის ბევრი, ადამიანს ერთი სიცოცხლე არ ეყოფა, რომ ყველაფერი ამოწუროს. სამი სიცოცხლეც არ არის საკმარისი.

***– ისევ აქტიურად მუშაობთ?***

– კი, ვმუშაობ, ადრე ბევრი ნაწარმოები გამომქონდა მსმენელის სამსჯავროზე, მაგრამ მაშინ სხვა დრო იყო, დაფინანსებაც იყო და ხელშეწყობაც. ახლა თუ კულტურის სამინისტრო არ დაგვეხმარა, ჩვენ უძლურები ვართ, მაშინ უნდა იყო მილიონერი, რომ ყველაფერი დააფინანსო.

***– უფრო ფართო მასშტაბით აპირებთ კონცერტის ჩატარებას?***

– ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში კონცერტი სამჯერ მქონდა. ბოლოს 2002 წელს ჩავატარე. მაშინაც ვინერვიულე, მაგრამ მოვიდა მსმენელი, მომღერლებიც მოვიდნენ და ჩატარდა ბრწყინვალე კონცერტი.

***– ამ საღამოში მონაწილეები თვითონ შეარჩიეთ?***

– დიახ, ვინც ჩემს სიმღერებს ასრულებენ, ისინი მე შევარჩიე. ახალი სიმღერებიც მაქვს და ყველას გამოყვანა ფაქტიურად შეუძლებელია. საათნახევარში მთელ ჩემს შემოქმედებას ნამდვილად ვერ ჩავატევდი.

**მერაბ სეფაშვილი, მომღერალი:**

– ნუგზარ თუშიშვილთან ძალიან დიდი ხნის ურთიერთობა მაკავშირებს. ჯერ კიდევ მაშინ ვიცნობდი, სანამ ნუგზარი დაიწყებდა თავის შემოქმედებით ცხოვრებას, ის პიანისტი იყო, უკრავდა ანსამბლში, შემდეგ ისე მოხდა, რომ საკმაოდ ბევრი სიმღერა შევასრულე მისი, 90-იან წლებში მოგვიწია თანამშრომლობა. ადამიანურად, შემოქმედებითად ძალიან მიყვარს. 60 წლის გახდა და ცოტა ღიმილნარევი მოვედი, ისე გაფრინდა წლები, ვერც გავიგე. მინდა, რომ ბედნიერი იყოს, ვუსურვო შემოქმედებითად ისეთი ცხოვრება, როგორიც თვითონ უნდა და როგორსაც იმსახურებს. რაც მთავარია, გავამხნევოთ, რომ 60 წელი არაფერია, ცხოვრება ახლა იწყება. დიდი იმედი მაქვს, რომ მისი იუბილე კიდევ უფრო ფართოდ იქნება აღნიშნული, რადგან ძალიან ბევრი კარგი ნაწარმოები აქვს გაკეთებული – სიმღერები, საგალობლები, ძალიან საინტერესოდ მუშაობს, მრავალფეროვანი ავტორია და იმსახურებს ყურადღებას. კარგი იქნება, უფრო დიდი მასშტაბებით თუ შევხვდებით მის ერთგულ მსმენელს და ნუგზარ თუშიშვილის შემოქმედებას კიდევ უფრო მეტი ადამიანი გაიცნობს.

**თემურ წიკლაური, მომღერალი:**

– ნუგზარს იმდენი ძალიან კარგი სიმღერა აქვს დაწერილი, რომ მისი უყურადღებოდ დატოვება არაფრით არ შეიძლება. ძალიან დიდი ხანია მას ვიცნობ, ჩემს რეპერტუარშიც არის მისი უამრავი სიმღერა, თითქმის ყველა სიმღერამ თავისი ადგილი დაიკავა იმ პერიოდშიც და ახლაც რომ ვისმენ, მართლაც ღირებული სიმღერები მიმღერია თავისი შინაარსითაც, მელოდიითაც, ლექსითაც, მართალია მისი მიმდინარეობა მინორული, სასიყვარულო ჟანრშია გადაწყვეტილი, მაგრამ საგმირო საქმეებიც აქვს განხილული და ბოლო მისი სიმღერა, რომელიც გავაკეთე, არის „დაე, იარონ, იარონ“, მუხრან მაჭავარიანის ლექსზე, რომელიც საეტაპო სიმღერად იქცა როგორც ჩემთვის, ასევე მის შემოქმედებაში უდიდესი ადგილი დაიკავა. დადგება დრო, როცა უფრო ფართოდ და სახალხოდ მოეფინება მისი შემოქმედება მთელ საქართველოს. ახლაც კი ეფინება, მაგრამ ჩვენ ნაკლებ გამტანები ვართ, სათითაო კაცი მარტო ვერაფერს ვხდებით. მთავარია, შემართება იყოს და ყველაფერი გამოვა. მიხარია, რომ იგი აგრძელებს ცხოველმყოფელ შემოქმედებას და არ ჩერდება. მისთვის დამახასიათებელია ის, რომ კითხულობს, არ ჩერდება, არ არის მარტო ერთ პოეტს გადაკიდებული და მრავალფეროვანი ლექსები აქვს შერჩეული. პოეტებში ეძებს იმ სულს და სატკივარს, რაც თვითონ აწუხებს და მერე, რაც ჩვენც გვაწუხებს.

**ინგა ბერაძე, მომღერალი:**

– ვულოცავ იუბილეს ბატონ ნუგზარს. ბედნიერი, გახარებული და ჯანმრთელი ყოფილიყოს. ვუსურვებ წარმატებებს, ნამდვილად გამორჩეული სიმღერები აქვს, პატრიოტული, არაჩვეულებრივია მისი საგალობლები, გაარჩევთ ყველასგან, რადგან თავისი ხელწერა აქვს. ჩვენ წლები გვაკავშირებს ერთმანეთთან, ჯერ კიდევ ინსტიტუტიდან ვმეგობრობთ, ჩვენთან ერთად იყვნენ ლელა სიხარულიძე და ზვიად დოლიძე, ბევრი სიმღერა დაუწერია ჩემთვის და ჩემი შვილისთვის გიგისთვის. ამჯერად, ვინაიდან გიგი არ არის თბილისში, ჩვენ ვიდეოს სახით წარმოვადგინეთ ბატონი ნუგზარის სიმღერა. ვულოცავ კიდევ ერთხელ და ვლოცავ სულით და გულით.

**თემურ ყვითელაშვილი, გიტარისტი:**

– მინდა მივულოცო ბატონ ნუგზარს საიუბილეო თარიღი, მას დიდი ხანია ვიცნობ, მისი შემოქმედებით ყოველთვის აღფრთოვანებული ვიყავი, საოცარი შემოქმედებითი ენერგია აქვს, მრავალმხრივი ხელოვანია, დიდი სიყვარული აქვს როგორც მსმენელისგან, ასევე მუსიკოსებისა და მომღერლებისგან, ვუსურვებ იმ დაფასებას, რასაც იმსახურებს. დიდ საკონცერტო დარბაზში ნამდვილად იმსახურებს მისი შემოქმედება გრანდიოზული იუბილეს აღნიშვნას. მეც და ჩემი კოლეგებიც, მუსიკოსები და მომღერლები სიამოვნებით მივიღებთ მონაწილეობას მის საიუბილეო საღამოში. ორ თვეში გამოვა ჩემი ახალი ალბომი, რომელშიც შევიდა ნუგზარ თუშიშვილის სიმღერა, რომელიც სპეციალურად დამიწერა და ძალიან ლამაზია.



**მამა იოანე:**

– ქრისტესმიერი დიდი სიყვარულით და მამობრივი ლოცვა-კურთხევით მოგესალმებით და მაქვს პატივი გადმოგცეთ მისი უწმინდესობის ლოცვა-კურთხევა. ბატონმა ნუგზარმა მომიძღვნა სიმღერა, როდესაც ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხარების სახელობის ტაძარს ვაშენებდით. საოცარი სიმღერაა, ტაძარი აშენდა, დამშვენდა და დღეს იქ წირვა-ლოცვა აღევლინება. საქართველოს სიხარულია თითოეული ტაძრის აგება. ამ საღამოს ესწრებიან ქართული ესტრადის ვარსკვლავები, ჩვენ მათ სიმღერებზე აღვიზარდეთ და შევთხოვ ღმერთს ამ წმინდა თაღების ქვეშ, რომ დიდხანს იყოთ. გმადლობთ, რომ არსებობთ. მადლობა, რომ ენა, მამული, სარწმუნოება შემოგვინახეთ. ჩვენ ვალდებული ვართ ჩვენს შვილებს ვასწავლოთ ეს სამი საუნჯე და განვუმარტოთ მათი მნიშვნელობა და ახალგაზრდებო, არასოდეს დაგვავიწყდეს ვისი გორისა ვართ.

**გიორგი ფარესიშვილი, ორგანიზატორი:**

– მოხარული ვარ, რომ ჩვენს ცენტრში იმართება ყველასგან გამორჩეული ქართველი კომპოზიტორის ნუგზარ თუშიშვილის 60 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საღამო. ბედნიერი ვარ, რომ ნუგზარ თუშიშვილი ჩვენს გვერდით ცხოვრობს, ის ამშვენებს და უხდება საქართველოს. მინდა მისი მშობლიური კუთხის თელავის და ვარდისუბნის სიყვარული გადავცე. დამეთანხმებით, რომ მას ულამაზესი სიმღერები აქვს და ამიტომაც აღვნიშნავთ ამ დიდებულ ტაძარში მის იუბილეს. ასეთი ადამიანები ყოველთვის ფასდებიან, ისეთი ადამიანები ასრულებენ მის სიმღერებს, რომლებიც ნამდვილი ლეგენდები არიან. კიდევ ერთხელ ვულოცავ ბატონ ნუგზარს 60 წლის იუბილეს, ჯანმრთელობას, ბედნიერებას და შემოქმედებით წარმატებებს ვუსურვებ.

## სკანვორდი



1. ჩეხური ავტომარკა; 2. იდუმალება; 3. ... ნორისი; 4. ირლანდიური ეროვნული ცეკვა; 5. ფუჭი, უნაყოფო; 6. სომნამბულიზმი; 7. უბანი თბილისში; 8. მამალი ცხენი; 9. მეგრული კერძი; 10. თევზის წვნიანი; 11. რემბრანდტის ტილო; 12. პოლონეთის დედაქალაქი; 13. ... რივზი; 14. შინაური ცხოველი; 15. მოქალაქეობის ჩამორთმევა ძველ საბერძნეთში; 16. ბასკური ტერორისტული ორგანიზაცია; 17. ... ბოლდუინი; 18. წერილობითი საჩივარი (ძვ.) 19. დროებითი სადგომი ღია ცის ქვეშ; 20. ბარის თანამშრომელი; 21. მწვერვალი კავკასიონზე; 22. ბრიჯიტ ...; 23. საფრენი აპარატი; 24. ბავშვის მეტყველების შეზღუდულობა; 25. სესხი; 26. საესტრადო-თეატრალური წარმოდგენა; 27. იაპონური თეატრი; 28. სამიანი ნარდში; 29. ... თამაშობანი (ცირკი); 30. ბრინჯაო; 31. შინაური ფრინველი; 32. საბერძნეთი.

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:**

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. პრატერი; 2. ყაბალახი; 3. სეტერი; 4. მუაში; 5. მიცუბიში; 8. ჩასპანდი; 12. ელბა; 13. ფლამენგო; 14. ფრახტი; 16. ტავერნა; 18. კარნე; 20. ტირე.

**თარაზულად:** 6. ერისტიკა; 7. ფრეჟიუსი; 8. ჩუვაჩი; 9. ვეკუა; 10. სალონიკი; 11. ბუდეშური; 15. ალმადოვარი; 17. კამენა; 19. ტრიტიკალე; 21. სნუკერი; 22. მონორელსი; 23. რეალობა.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. მსჯავრი; 2. ჩედერი; 3. შლაგბაუმი; 4. ქურუმი; 5. შიმპანზე; 7. რიყე; 11. იშტვანი; 13. ჰორაციო; 15. ურანი; 16. ბასრა; 18. ირისი; 19. ძეგლი.

**თარაზულად:** 6. სიურტე; 8. სევილია; 9. ჰარლემი; 10. ვენეცია; 12. დიეტა; 14. მირონი; 17. მორჩილაძე; 20. ნიაგარა; 21. ინვარი; 22. სტელსი; 23. საფიხვნო.

# ვინ გაისვრის ახმეტელის თეატრში?

დასაწყისი მე-8 გვერდზე

ვფიქრობ, არ ეწყინოს მაყურებელს, მაგრამ ამაში სულიერ აღზრდას ვგულისხმობ, რადგან თეატრი სწორედ სულიერ აღზრდას ემსახურება. ახლა მიდის ფიქრი და მსჯელობა იმაზე, რა დავდგათ ნილ საიმონის შემდეგ. ახლა უფრო მეტი ყურადღებით, მეტი დაკვირვებით, მეტი განცდით ვაპირებთ მეორე ეტაპის დაწყებას.

***– რა არის მეორე ეტაპი?***

– მეორე ეტაპი უნდა შეეხოს შიდა თეატრალურ ცხოვრებას. პირველმა ეტაპმა ნათელი სურათი დაგვიდო წინ, როგორც თანამშრომლების, ასევე მსახიობების, ვინ როგორ არის თეატრისაკენ მომართული. მეორე ეტაპი იქნება ის, რომ ვიღაცას დავემშვიდობებით, ვიღაცას სალამს ვეტყვით და კეთილი იქნება მისი მობრძანება თეატრში. ეს ეტაპი გასავლელია, გვინდა თუ არ გვინდა, მოგვწონს თუ არ მოგვწონს, ეს საჭიროა, რადგან თეატრს სჭირდება გვერდში დგომა და არა საკუთარ თავზე ფიქრი, თუმცა რასაკვირველია, საკუთარ თავზეც უნდა იფიქროს ადამიანმა. პირველი ეტაპის მანძილზე უამრავი ახალგაზრდა შემოდიოდა და გადიოდა, ახლა უკვე გადაწყდება ვინ გააგრძელებს ღირსეულად ახმეტელის თეატრის ლამაზ და კეთილ ტრადიციებს. ამაზე მოგვიწევს საკმაოდ სერიოზული მუშაობა. უნდა შეირჩეს ის ხალხი, ვინც ამ თეატრში დარჩენის ღირსია და ახმეტელის თეატრის გზას წინსვლისკენ წარმართავს.

***– ვინ შეარჩევს ამ ადამიანებს?***

– ამას შეარჩევს სცენა და მაყურებელი.

***– და არანაირი კომპეტენტური ჟიური?***

– არა, მგონია, რომ ეს ცოტა ზედმეტია. ამას არჩევს სცენა და თუნდაც ხუთი მაყურებლიდან სამიც კი შეარჩევს საუკეთესოს. ცხოვრება საოცარია, შეიძლება ჩვენ არ ვაქცევთ ყურადღებას, მაგრამ თვითონ ცხოვრებაც არჩევს. სერიოზულად გვინდა, რომ ჩვენი სპექტაკლები გავიტანოთ როგორც საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში, ასევე მის ფარგლებს გარეთაც.

***– უცხოეთში გეგმავთ წასვლას?***

– რატომაც არა?! ჩვენ საქართველოს რამდენიმე ქალაქში უკვე ვიყავით, ახლა გვინდა შევეჭიდოთ საზღვარგარეთს. ვფიქრობ, დღეს ახმეტელის თეატრი ამისთვის მზად არის. აი, ასეთი გეგმები აქვს ახმეტელის თეატრს, ამბიციური, მაგრამ აბსოლუტურად ჯანსაღი.

# ვენესუელაში საპრეზიდენტო არჩევნები 14 აპრილს გაიმართება

ვენესუელაში საპრეზიდენტო არჩევნები 14 აპრილს გაიმართება.

საპრეზიდენტო არჩევნებისთარიღი ქვეყნის ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ განსაზღვრა.

ახალი არჩევნების ჩატარების აუცილებლობა პრეზიდენტ უგო ჩავესის გარდაცვალების შემდეგ გაჩნდა.

საზოგადოებრივი აზრის კვლევის თანახმად, ამ დროისთვის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი ნიკოლას მადურო ლიდერობს, რომელსაც ჩავესი თავის მემკვიდრედ ასახელებდა.



მის ძირითად კონკურენტად ოპოზიციის ლიდერი ენრიკე კაპრილესი სახელდება, რომელიც გასული წლის ოქტომბერში ჩავესთან დამარცხდა.

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი, სერგეი ლავროვი ვენესუელაში გასამართ საპრეზიდენტო არჩევნებს მიესალმება და აცხადებს, რომ მოსახლეობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას პატივს სცემს.

„ჩვენს მხარს დავუჭერთ და პატივს ვცემთ იმ არჩევანს, რომელსაც ვენესუელას მოსახლეობა მიიღებს და ვიმედოვნებთ, რომ დანარჩენი ქვეყნებიც ასე მოიქცევიან და არ შეეცდებიან ამ არჩევანზე გავლენა მოახდინონ", განაცხადა ლავროვმა.

მისი განცხადებით, ვენესუელას მოსახლეობის 60 პროცენტი, უგო ჩავესის პოლიტიკის გაგრძელებას უჭერს მხარს.

„რა თქმა უნდა ჩვენ ვისურვებდით, მოსახლეობას მიელო ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც რუსეთისა და ვენესუელას ორმხრივი თანამშრომლობის განვითარებას კიდევ უფრო შეუწყობს ხელს",-დასძინა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა.

ამ ფონზე, ვენესუელის ვიცე-პრეზიდენტ ნიკოლას მადუროსა და რუსეთის პირველ პირ ვლადიმირ პუტინს შორის სატელეფონო საუბარი შედგა.

„რია ნოვოსტის" ინფორმაციით, საუბრისას მადურომ პუტინი დაარწმუნა, რომ კომანდანტე უგო ჩავესის გარდაცვალების მიუხედავად, ვენესუელასა და რუსეთს შორის არსებული სტრატეგიული პარტნიორული ურთიერთობები არ შეიცვლება.

პუტინმა მადუროს და ვენესუელას ჩავესის გარდაცვალების გამო რუსი ხალხის სახელით მიუსამძიმრა.

როგორც ცნობილია, ვენესუელა სამხრეთ ამერიკაში რუსეთის ნომერ პირველ მოკავშირედ მოიაზრება. წლების განმავლობაში ამ ქვეყნებს სამხედრო და ეკონომიკურ სფეროში მჭიდრო თანამშრომლობა აკავშირებდათ. პუტინმა აწ გარდაცვლილი ჩავესი რუსეთის ახლო მეგობრად მოიხსენია.

ჩავესი 58 წლის ასაკში კიბოსგან გარდაიცვალა. მან თავის მემკვიდრედ სიცოცხლეშივე გამოაცხადა ნიკოლას მადურო, რომელიც ამა წლის აპრილში დაგეგმილ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას აპირებს და გამარჯვების უმთავრეს ფავორიტადაც მიიჩნევა.

# დედამიწას დიდმა ასტეროიდმა ჩაუარა

დედამიწას წუხელ დიდმა ასტეროიდმა „2013ეტ"-მა ჩაუქროლა. მისი დიამეტრი დაახლოებით 140 მეტრს შეადგენდა. ის 42 000 კილომეტრ/საათი სიჩქარით მოძრაობდა, და დედამიწიდან 950 000 კილომეტრით იყო დაშორებული, რაც დაახლოებით 2,5-ჯერ მეტია, ვიდრე მთვარემდე არსებული დაშორება. იგი ჩელიაბინსკის ბოლიდის სიდიდით რვაჯერ აღემატებოდა.



დედამიწასთან შეჯახების შემთხვევაში შედეგები გაცილებით მძიმე იქნებოდა, ვიდრე ეს ჩელიაბინსკში ასტეროიდის ჩამოვარდნას მოჰყვა. მას მთელი ქალაქის განადგურება შეეძლო. მით უმეტეს, რომ ის მხოლოდ მცირერიცხოვანმა ასტრონომებმა შეამჩნიეს, რომლებიც ულტრაძლიერ ტელესკოპებთან მუშაობენ, სპეციალისტებმა ქალაქ გოლდსტოუნის პლანეტის რადარზე კოსმოსური სტუმრის რადიოზონდირება გადაწყვიტეს, რათა მისი ზომები და სხვა მახასიათებლები დაედგინათ. ეს მონაცემები ჯერჯერობით არ გამოქვეყნებულა.

საინტერესოა, რომ ასტეროიდი „2013ეტ" მეცნიერებმა მხოლოდ 3 მარტს, ამერიკული პროექტის ფარგლებში აღმოაჩინეს, რომლის მიზანიც „ჩატალინა"-ს ასტეროიდების ძებნა იყო.

„ყველაზე საშიში ის არის, რომ არ ვიცით, საიდან ჩნდება ეს ასტეროიდები", – აღნიშნა ასტრონომიული დაკვირვების სამსახურის ხელმძღვანელმა პატრიკ პაოლუჩიმ.

ასტეროიდ „2013ეტ"-ის გარდა შაბათს დედამიწას კიდევ ერთმა, ახლახან აღმოჩენილმა ასტეროიდმა „2013 ეც20"-მა ჩაუარა. ის გაცილებით მცირე (3-დან 12 მეტრამდეა) დიამეტრისაა, სამაგიეროდ, დედამიწას უფრო მოუახლოვდა –– მხოლოდ 135 000 კილომეტრის დაშორებით.

შეგახსენებთ, რომ ჩელიაბინსკის ოლქში მეტეორიტი 16 თებერვალს ჩამოვარდა, რამაც რეგიონს სერიოზული ზარალი მიაყენა. ჯანდაცვის სამინისტროს მონაცემებით, დაშავდა დაახლოებით 1,1 ათასი ადამიანი, უმთავრესად, მინების ნამსხვრევებით. მძიმედ დაჭრილი ერთ-ერთი ქალბატონი კი ჩელიაბინსკიდან მოსკოვის საავადმყოფოში გადაიყვანეს. ჩელიაბინსკის ოლქის გუბერნატორის ინფორმაციით, რეგიონისათვის მიყენებული ზარალის ოდენობა მილიარდ რუსულ რუბლს შეადგენს.


## სამგლოვიარო განცხადებები

„ახალი თაობის" რედაქცია თანაგრძნობას უცხადებს მიშა ჟორჟოლიანს მამის

**რამაზ ჟორჟოლიანის**

გარდაცვალების გამო.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**


# ჰამიდ კარზაი: „აშშ-ის ხელისუფლება „თალიბანთან" მოლაპარაკებებს აწარმოებს"

ავღანეთის პრეზიდენტის ჰამიდ კარზაის განცხადებით, „აშშ-ის ხელისუფლება „თალიბანთან""" მოლაპარაკებებს აწარმოებს".



კარზაის განცხადებით, „მოძრაობა „თალიბანსა" და აშშ-ის დელეგაციას შორის ერთი წლის წინ ჩაშლილი მოლაპარაკებები განახლდა".

მისივე თქმით, „"თალიბანისა" და აშშ-ის მაღალჩინოსნები ყოველდღიურ მოლაპარაკებებში მონაწილეობენ".

თავის მხრივ, „თალიბების" წარმომადგენელი ზაბიულა მუჰაჯიდი კარზაის სიტყვებს უარყოფს და აცხადებს, რომ მოლაპარაკებების შეჩერების მომენტიდან არანაირი პროგრესი არ ყოფილა.

ამ ფონზე, აფეთქების შედეგად, რომელიც ტერორისტმა-თვითმკვლელმა ავღანეთის ქალაქ ხოსტში განახორციელა, ცხრა ადამიანი დაიღუპა. მათ შორის რვა ბავშვია და ერთი პოლიციელი. ორი ადამიანი დაჭრილია. ინფორმაციას ამის შესახებ „ფრანს პრესი" ადგილობრივ ხელისუფლებაზე დაყრდნობით ავრცელებს.

„ტერორისტმა თვითმკვლელმა თავი ავღანური და საერთაშორისო ძალების საკონროლოგამშვებ პუნქტთან აიფეთქა. პოლიციელი მას შემდეგ დაიღუპა, რაც მან შეამჩნია თავდამსხმელი და შეეცადა დაეკავებინა ის", – ნათქვამია ადგილობრივი გუბერნატორის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

# ბაშარ ასადმა თანამდებობიდან გადადგომის პირობა დაასახელა

სირიის პრეზიდენტმა ბაშარ ასადმა თანამდებობიდან გადადგომის პირობა დაასახელა. მისი თქმით, ის პოსტს მხოლოდ იმ შემთხვევაში დატოვებს, თუ ეს ქვეყანაში კრიზისის დასრულების გარანტია იქნება. საკუთარი გადადგომის შესახებ სირიის პრეზიდენტმა თურქულ მედიასთან ინტერვიუში ისაუბრა.



ბაშარ ასადის განცხადებით, ის აშშ-ის სირიის მტერ სახელმწიფოდ მიიჩნევს, ამიტომაც ყურადღებას არ აქცევს ვაშინგტონის მოთხოვნას მის გადადგომასთან დაკავშირებით.

„ჩემი გადადგომა რომ ჩემი ქვეყნის გადარჩენას ნიშნავდეს, მაშინ ხელისუფლებაში ერთი დღითაც კი არ გავჩერდებოდი", – აღნიშნა პრეზიდენტმა.

მისივე თქმით, გადადგომის შესახებ განაჩენი სირიელმა ხალხმა უნდა მიიღოს და აღნიშნა, რომ სირიის შიდა საქმეებში ჩარევას ვერ აიტანს.

ცოტა ხნის წინ, ბაშარ ასადმა ასევე თურქულ პრესასთან ინტერვიუში განაცხადა, რომ თუ მის ქვეყანას დასჭირდა, იგი აუცილებლად დატოვებს თანამდებობას. თუმცა დაამატა, რომ ასეთი გადაწყვეტილება სირიის ხალხმა დემოკრატიული არჩევნების საშუალებით უნდა მიიღოს და არა მესამე ძალის-აშშ-ის დახმარებით.

შეგახსენებთ, რომ სირიაში სამოქალაქო ომი 2011 წლის მარტიდან გრძელდება. გაეროს მონაცემებით, სახელისუფლებო ძალებსა და მეამბოხეებს შორის შეიარაღებულ კონფლიქტის შედეგად დაღუპულთა რიცხვმა 70 ათასს გადააჭარბა, დევნილთა რაოდენობამ კი მილიონს მიაღწია.

# მიხეილ გორბაჩოვი — პუტინმა თავისი სტილი უნდა შეცვალოს

ყოფილმა საბჭოთა ლიდერმა მიხეილ გორბაჩოვმა რუსეთის ფედერაციის ხელისუფლება და პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი ტელეკომპანია „ბი-ბი-სის" ეთერში გააკრიტიკა.



გორბაჩოვის განცხადებით, ხელისუფლების ინიციატივით მიღებული ახალი კანონები პირდაპირი შეტევაა ადამიანის უფლებებზე. გორბაჩოვმა პუტინის გარემოცვას „კორუმპირებული ჩინოვნიკები და ქურდები" უწოდა. მან რუსეთის პრეზიდენტს ურჩია, რომ საკუთარი მოქალაქეების არ შეეშინდეს და არადემოკრატიული კანონები არ მიიღოს.

„მე ვფიქრობ, რომ პუტინმა თავისი სტილი უნდა შეცვალოს და რეჟიმში კორქტივები შეიტანოს. თუ სიტუაცია არ შეიცვლება, რუსეთი გააგრძელებს დინების მიმართულებით ცურვას, ზუსტად ისე, როგორც ყინულის ნაჭერი ჩრდილოეთის ოკეანეში", – განაცხადა მან.

მიხეილ გორბაჩოვი (დ.2 მარტი, 1931) – საბჭოთა კავშირის ლიდერი 1985-1991 წლებში. მის მიერ განხორციელებულმა რეფორმამ დაასრულა ცივი ომი, თუმცა ამასთან დასრულდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ჰეგემონიაც და დაიშალა თავად საბჭოთა კავშირი. 1990 წელს მიენიჭა ნობელის მშვიდობის პრემია.

# ნელსონ მანდელა საავადმყოფოში მოათავსეს

სამხრეთ აფრიკის ყოფილი პრეზიდენტი, ნელსონ მანდელა საავადმყოფოში მოათავსეს. ამის შესახებ, „ფრანს პრესი" იუწყება.



სამხრეთ აფრიკის ყოფილი პრეზიდენტის, ნელსონ მანდელას პრეს-სამსახურის ინფორმაციით, 94 წლის მანდელა სრულ სამედიცინო გამოკვლევების კურს იტარებს.

პირველად მანდელა საავადმყოფოში 2012 წელს მოათავსეს. მიზეზად მაშინაც პროფილაქტიკის მიზნით, სამედიცინო გამოკვლევის ჩატარება დასახელდა, თუმცა როგორც შემდეგ გაირკვა მას თიაქარის ოპერაცია ჩაუტარდა.

ნელსონ მანდელა უკვე წლებია რაც საზოგადოების წინაშე არ გამოჩენილა, რაც მოსახლეობაში ბადებს ეჭვს რომ ის საერთოდ აღარ არის ცოცხალი, თუმცა ყოფილი პრეზიდენტის ოჯახის წევრები ამ ინფორმაციას კატეგორიულად უარყოფენ.

ნელსონ მანდელამ ციხეში 27 წელი გაატარა. პატიმრობიდან ის 1990 წელს გათავისუფლდა, უკვე ოთხი წლის შემდეგ კი აფრიკის ნაციონალურმა კონგრესმა მისი ხელმძღვანელობით არჩევნებზე ისტორიული გამარჯვება მოიპოვა. აღნიშნულ არჩევნებში მონაწილეობა პირველად შავკანიანმა სამხრეთ აფრიკელებმაც მიიღეს. მანდელა პირველი შავკანიანი პრეზიდენტი გახდა, რომელმაც ეს პოსტი დაიკავა.

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის პრეზიდენტის პოსტზე ერთი ვადით ყოფნის შემდეგ, მანდელამ უფლებამოსილება 1999 წელს თაბო მბეკის გადასცა.

ნელსონ მანდელა (სრულად როლიჰლაჰლა დალიბუნგა მანდელა, დ. 18 ივლისი, 1918, მვეცო, ტრანსკაი, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა) იყო ანტიაპარტეიდის მოძრაობის აქტივისტი და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტი.

პრეზიდენტობამდე იყო ანტიაპარტეიდის მოძრაობის აქტივისტი და აფრიკის ნაციონალური კონგრესის (ანკ) ლიდერი. როგორც აღვნიშნეთ, მანდელამ ციხეში გაატარა 27 წელი საბოტაჟისათვის მას შემდეგ, რაც „ანკ" იატაკქვეშეთში გადავიდა და შეიარაღებული ბრძოლა დაიწყო.

ციხეში გატარებული 27 წლის განმავლობაში მანდელა გახდა ანტიაპარტეიდის მოძრაობის და ზოგადად რასული თანასწორობისათვის ბრძოლის სიმბოლო როგორც სამხრეთ აფრიკაში, ასევე მის საზღვრებს გარეთ.

სამხრეთ აფრიკის მაშინდელი მთავრობა, ისევე როგორც მისი მხარდამჭერი ქვეყნები გმობდნენ მანდელასა და „ანკ-ს" ქმედებებს და მათ მოიხსენიებდნენ, როგორც კომუნისტებს და ტერორისტებს.

1990 წელს ციხიდან განთავისუფლების შემდეგ, მანდელამ შეცვალა თავისი პოლიტიკური კურსი ზომიერისაკენ, რამაც ხელი შეუწყო სამხრეთ აფრიკაში რასობრივი შუღლის შემსუბუქებას და დემოკრატიის დამყარებას.

მანდელას მიღებული აქვს ასზე მეტი სხვადასხვა ჯილდო, მათ შორის ნობელის პრემია მშვიდობის დარგში 1993 წელს. სამხრეთ აფრიკაში ის მოიხსენიება როგორც მანდიბა, წოდება რომელსაც მანდელას კლანის მხცოვან და პატივცემულ წევრებს ანიჭებენ.

**მოამზადა გერა მამულაშვილმა**

## TV პროგრამა

**ორშაბათი 11 მარტი**

06.30 დ/ფ „განდის ძიებაში" 07.30 „ჩვენი დილა" (პ/ე) 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 01.50 „მოამბე" 11.00 „სამოთხის ვაშლები" (პ/ე) 12.45 „პირადი ექიმი" — მარი მალაზონია (პ/ე) 13.30 „დღეს ორის ნახევარზე" 15.00 დ/ფ „ადამიანი – პლანეტა" 17.00 დ/ფ „მეცნიერების ისტორია" 18.00 „პეპე და მეგობრები" 19.05 ტ/სერ „სიყვარულის კოცნა" 21.00 ტ/სერ „დონ ძენო — კაცი ნორმა დელფიიდან" 22.00 „დიალოგი დავით პაიჭაძესთან" 23.00 „კომენტატორი" 00.00 „საფარი" 00.30 მხ/ფ „გველები თვითმფრინავში" (ს.ელ ჯექსონი)

08.00 დ/ფ „მსოფლიოს ქალაქები" — „ბერნი" 09.00 მხ/ფ „ბანზაი" 10.30 მხ/ფ „განრისხებული ფანტომასი" (ჟ.მარე) 12.15 მხ/ფ „ფანტომასი სკოტლანდ იარდის წინააღმდეგ" (ლუი დე ფიუნესი) 14.00 დ/ფ „სიცოცხლე" 3 ნაწ. 15.00, 17.00, 20.00, 23.00 „ბრიფინგის დრო" 16.00 დ/ფ „100 უდიდესი აღმოჩენა" 6 ნაწ. 19.00 ტ/სერ „საიდუმლო გამოძიებანი" 2 სერია 22.00 „თავისუფალი ტრიბუნა" 00.00 „მოამბე" (აფხაზურ" ოსურ" სომხურ" აზერბაიჯანულ" რუსულ ენებზე)

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. „იღბლიანი მოახლე" 11.20 სერ. „მაფიის ძვრივი" 13.00 სერ. „24 – 5" 14.40 კონცერტი: „შინი" 16.00 სერ. „დამალული სიმართლე" 17.50 სერ. „თილისმა" 18.50 სერ. „სახიფათო ვნება" 21.00 სერ. „მარტოსული" 22.00 ქ/სერ „ცხელი ძაღლი" 9 სერ. 23.00 მხ/ფ „ქილერები" (ე.კუჩერი) 01.05 სერ. „ღვინის გზა" 01.40 მხ/ფ „დამცველი" (დ. ლუნდგრენი) (ტიტ.) 03.05 მუსიკა

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. „სიყვარული მშვენიერია" 11.00 სერ. „იდუმალი ქალი" 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 12.30 „შუა დღე" 15.30 შერეკილები 17.00 სერ.„ვნების უფსკრული" 18.45 სერ. „ცრემლების გვირგვინი" 20.05 სერიალი „ერთგულების ძალა" 22.00 მხ/ფ „იღბლიანი ჯენტლმენები-2" 00.00 შიშის ფაქტორი 01.00, 03.30 მხ/ფ 03.00 კურიერი დაიჯესტი

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.05 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ „ველური ბუნება" 06.40 მხ/ფ „აურზაური სალხინეთში". 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 „განთიადი" 10.00, 18.05, 21.15 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.05, 18.55, 21.55, 23.50, 00.30 ისტორიის დღიური 10.10 პატრიარქის ქადაგება 10.30 უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა 10.35 ლექსით ქებათა ქება 10.40 კვირიაკე 12.10 კალამის წვერი,ბულბულის ნისკარტი 12.15 მხ/ფ „მაცი ხვიტია" 13.35 კონცერტი-საფორტეპიანო მუსიკის საღამო - ე. სავიცკი 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.05 განთიადის სტუმრები 15.30 სპექტაკლი „ვალი" 17.05 დოკ/ფ „ველური ბუნება" 17.30 ნიამორი 18.10 მრავალჟამიერი 18.30 ქრისტიანული სწავლება 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.00, 22.00, 00.10, 02.30 სიახლენი 19.15 მხ/ფ „ნერგები" 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 საღვთისმეტყველო საუბრები 21.55 უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა 22.25 საქართველოს ისტორია 22.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 22.55 კალამის წვერი,ბულბულის ნისკარტი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ/ფ „ტერენტი გრანელი" 00.35 განთიადის სტუმრები 01.00 პერსპექტივა

მაესტრო 07.00, 05.35, 06.00, 07.00 ახალი ამბების კოლაჟი (გამ) 07.30, 11.30, 12.30, 15.30, 17.10, 18.45, 05.55, 06.35 უცხოეთის ამბები 07.55, 10.55, 11.55, 12.55, 14.55, 15.55, 16.55, 18.55, 06.55 უკომენტაროდ+ამინდი 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 00.00 ახალი ამბები 08.10, 09.10, 10.15 მაღვიძარა(დილის პროგრამა) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 13.15, 14.15, 04.00 თავისუფალი დრო 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 16.10 მაესტროს პრესკლუბი 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 19.00 ახალი ამბები ინგლისურ ენაზე 19.05, 00.30 თოქ-შოუ „სუბიექტური აზრი" 20.00 ამბები მოკლედ 20.05, 01.40 თოქ-შოუ — „არგუმენტები" 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.00, 01.20 „ყოველდღიური აბები" 22.20, 02.30 თოქ-შოუ „პოლიტმეტრი"

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით**

# ახალი თაობა

Akhali-Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


11 მარტი

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1,6595 |
| ევრო | 2,1615 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 2,4879 |
| 100 რუსული რუბლი | 5,3945 |

**ამინდის პროგნოზი 11 მარტისთვის**





## მათთვის, ვინც ვერ მოახერხა საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიის 4-ტომეულის შეძენა!

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე
საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია
ტომი 1
უძველესი დროიდან VI საუკუნემდე

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე
საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია
ტომი 2
VI-XI საუკუნეები

22 თებერვლიდან იყიდება
**პირველი და მეორე ტომები**
1 მარტიდან
**მესამე ტომი**
5 მარტიდან
**მეოთხე ტომი**

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე
საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია
ტომი 4
XVII-XX საუკუნეები

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე
საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია
ტომი 3
XII-XVI საუკუნეები

**ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი**

**ინფორმაციისთვის დარეკეთ 294-02-55**


## ასტროპროგნოზი

11 მარტისთვის

ყველამ გაითვალისწინეთ!

**წარმატებული დღეა**

**ვერძი** – ფული გაქვთ, მეტს იშოვით. **კურო** – ახალ ბიზნესს წამოიწყებთ. **ტყუპები** – არავის აყვეთ, საკუთარ თავს დაუჯერეთ. **კირჩხიბი** – რომანტიკული თავგადასავალი კარგ ხასიათზე დაგაყენებთ. **ლომი** – ახალი პერსპექტივა გადაგეშლებათ, გახარებული ხართ. **ქალწული** – სახლში დიდი სიხარული გელით. **სასწორი** – გზიდან ფულს მიიღებთ, სახლში შენაძენი გელით. **ღრიანკალი** – ყური მიუგდეთ გულისთქმას, სხვას ნუ დაუჯერებთ. **მშვილდოსანი** – იმიჯის შეცვლა ცუდი არ არის, მთავარია, იცოდეთ, რა გსურთ. **თხის რქა** – დაისვენეთ და გაერთეთ, გადაღლილი ხართ. **მერწყული** – ახალი პარტნიორი მოგეწონებათ, ამდენს არ ელოდით. **თევზები** – საქმესააწყობთ, მთავარია, არ აჩქარდეთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი

**თარაზულად:** 3. სახელმწიფო სამხრეთ ამერიკაში; 8. დროებითი სადგომი; 9. ჯარის მოწინავე ნაწილი; 11. საგზაო შემთხვევა; 12. ტრიგონომეტრიული ფუნქცია; 14. ცხრა შემსრულებლის ანსამბლი; 15. სხვისი ლიტერატურული ნაშრომის მითვისება; 20. დუმფარასებრთა ოჯახის წყლის მცენარე; 22. ქალაქის ტრანსპორტი; 23. ლანგარი; 24. იაპონელთა ეროვნული სამოსი; 25. ... ჩვენი არსობისა“; 26. კატარღა; 27. რადიოაქტიურობის საზომი ერთეული.

**შვეულად:** 1. საფოსტო ნიშანი; 2. ყარყატების ოჯახის ფრინველი; 4. კუთხის საზომი ერთეული; 5. ჩოგბურთში დაბალი და ძლიერი დარტყმა; 6. სტადიონი ბრაზილიაში; 7. პატარა ტანის ადამიანი; 10. პატარა მტაცებელი ნადირი; 12. საზაფხულო ფეხსაცმელი; 13. პატაკი; 16. ნიგერიის დედაქალაქი; 17. იმამის ხელისუფლება; 18. უთითებო ხელთათმანი; 19. ბოძებული საპატიო წოდებულება; 21. საპალტოე ქსოვილი.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*



## ნუგზარ თუშიშვილის იუბილე სამებაში იზეიმეს

*ეკა ირემაშვილი*

ქართველი კომპოზიტორის, არაერთი ცნობილი სიმღერის ავტორის ნუგზარ თუშიშვილის 60 წლის იუბილე საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის დარბაზში მისმა უახლოესმა ადამიანებმა იზეიმეს. კომპოზიტორის საიუბილეო შემოქმედებით საღამოზე მიწვეული იყვნენ თემურ წიკლაური, მერაბ სეფაშვილი, ტატო გოდერძიშვილი, ეთერ კაკულია, ჯაბა მესტვირიშვილი, გიორგი სუხიტაშვილი, აჩიკო ნიჟარაძე, ნუგზარ კობერიძე, ლელა ნინუა, გიორგი თუშიშვილი და ვაჟთა გუნდი „ივერიონი“. ღონისძიებას ესწრებოდნენ კომპოზიტორის მეგობრები, კოლეგები და საზოგადო მოღვაწეები. საიუბილეო საღამო საპატრიარქოს ახალგაზრდული ცენტრის ორგანიზებით გაიმართა.

ცენტრის დარბაზში გამოფენილი იყო ასმათ ყურშავიშვილის ნაქარგების გამოფენა, რომელიც საიუბილეო საღამომდე რამდენიმე საათით ადრე გაიხსნა და ხელოვანის ნამუშევრების კატალოგის წარდგინებაც გაიმართა. გამოფენა მიეძღვნა წმინდა თამარ მეფის 800 წლისთავს და საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის 80 წლის იუბილეს. ნუგზარ თუშიშვილის საიუბილეო კონცერტის დაწყებამდე, შეკრებილი საზოგადოება ხელოვანის მიერ მოქარგულ ღვთისმშობელს, წმინდა გიორგის, თამარ მეფეს, დავით აღმაშენებელს, ვახტანგ გორგასალს, ვაჟას, ილიას, აკაკის, გალაკტიონის ნაქარგობებს ათვალიერებდა. გამოფენა საპატრიარქოს ახალგაზრდული ცენტრის ორგანიზებით გაიხსნა და 11 მარტამდე გაგრძელდება. ამავე ცენტრში გელა დაიაურის პოეზიის საღამოც მოეწყო, რომელსაც დეკანოზი პეტრე კვარაცხელია უძღვებოდა.



კომპოზიტორ ნუგზარ თუშიშვილის საიუბილეო საღამოს მისი მეგობრები, კოლეგები, ოჯახის წევრები და მისი შემოქმედების თაყვანისმცემლები ესწრებოდნენ. საღამო ანსამბლმა „ივერიონმა“ გახსნა, რომელიც შეცვალეს მომღერლებმა გაგა მესტვირიშვილმა, მარიამ გოგოჩიშვილმა. მომღერლების გარდა, დიდ ეკრანზე ნაჩვენები იქნა კომპოზიტორის მიერ შექმნილ სიმღერებზე გადაღებული კლიპები – ნინი ბადურაშვილის მიერ შესრულებული „ფსოუს წყალი“, სახელმწიფო კაპელას მიერ შესრულებული საგალობელი „წმინდაო ღმერთო“, რომელიც ომში დაღუპული გმირების ხსოვნას მიეძღვნა. იუბილარ კომპოზიტორს 60 წლის შესრულება მიულოცა პოეტმა ნუგზარ კობერიძემ. კომპოზიტორის ვაჟმა გიორგი თუშიშვილმა წაიკითხა ლექსი, რომელსაც პოეტი ლელა ნინუა შეენაცვლა. მერაბ სეფაშვილმა ორი სიმღერა შეასრულა, უმიკროფონოდ იმღერა ტატო გოდერძიშვილმა, რომელმაც განაცხადა, რომ მომღერლების გადაწყვეტილებით, ნუგზარ თუშიშვილის საიუბილეო საღამო „არტ ჰოლში“ უფრო მასშტაბურად აღინიშნება და მასში მონაწილეობას ქართული ესტრადის ცნობილი მომღერლები მიიღებენ, 112-ე საჯარო სკოლის მოსწავლეებმა სკოლის ჰიმნი შეასრულეს, რომლის ავტორიც იუბილარი კომპოზიტორია. საღამოს კულმინაცია თემურ წიკლაურის მიერ შესრულებული ორი სიმღერა გახდა, რომელმაც დამსწრე საზოგადოებაზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა. მომღერალი მქუხარე აპლოდისმენტებითა და ბრავოს შეძახილებით დაჯილდოვდა. ნუგზარ თუშიშვილის საღამო საგალობელით დასრულდა, რომელიც მის უწმინდესობას ილია მეორეს ეძღვნება.



**ნუგზარ თუშიშვილი, კომპოზიტორი:**

– თვითონაც ვფიქრობ, რატომ გადაწყდა ამ წმინდა ადგილას ჩემი იუბილეს აღნიშვნა. 60 წლის გავხდი და ჩემი აზრი არც ყოფილა აქ იუბი-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

## ევროპის ჩემპიონატისთვის მზადება დაიწყო



ჭიდაობის ეროვნულ ფედერაციაში თბილისში დაგეგმილ ევროპის ჩემპიონატთან დაკავშირებით ფედერაციის პრეზიდენტმა ლუკა კურტანიძემ, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა ლევან ყიფიანმა და მინისტრის მოადგილე თამაზ თევზაძემ ერთობლივი ბრიფინგი გამართეს. ცხადია, თემა მომავალი ჩემპიონატის საორგანიზაციო საკითხები და საქართველოს ეროვნული ნაკრები გუნდების სამზადისი იყო.

ბრიფინგზე გამოცხადდა ჟურნალისტთა აკრედიტაციის ვადები და პირობები. 19-24 მარტს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციისა და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ორგანიზებით, საქართველოს მთავრობის მხარდაჭერითა და პრემიერ მინისტრის პატრონაჟით, თავისუფალ, ბერძნულ-რომაულ და ქალთა ჭიდაობაში ევროპის ჩემპიონატი ჩატარდება. ჩემპიონატი თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართება.

ღონისძიების ფარგლებში საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტის ინიციატივით დაგეგმილია ორდღიანი კონფერენცია, კონგრესი და ტრეინინგები. 2013 წლის ევროპის ჩემპიონატში მონაწილეობს – 47 ქვეყანა, 490 სპორტსმენი, სპორტული დელეგაციების 560 წევრი, 40 ქვეყნის ფედერაციის პრეზიდენტი. ევროპის ჩემპიონატს გააშუქებს 18 ქვეყნის სპორტული მედიის წარმომადგენელი.

მ. ჟ.

ლურჯი წითელი ყვითელი შავი